ლელო

№065 (12 135)

20 მარტი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

თბილისი. 24 მარტი. ეროვნული სტადიონი. საქართველო vs რუსეთი

15:00

# ნახევარი გუნდი შეიცვალა

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შაბათს, 24 მარტს, ევროპის ერთა თასის მორიგ შეხვედრაში, რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსანთა გუნდი ესპანელებთან მატჩისგან განსხვავებით საგრძნობლად სახეშეცვლილი იქნება. სანვრთნელ შეკრებაზე საფრანგეთიდან ჩამოდის 12 ისეთი მორაგბე, ვისაც ესპანელებთან ნაგებულ შეხვედრაში არ უთამაშია.

ესენი არიან: პირველხაზელები **დავით ხინჩაგიშვილი** და **დავით გასვიანი**; მეორე ხაზში დაგვემატებიან **ლევან დათუნაშვილი** და **ზურაბ მჭედლიშვილი**; თითქმის მთლიანად შეიცვლება მესამე ხაზი - რუსებთან სათამაშოდ ჩამოვიდნენ **გია ლაბაძე**, **გიორგი ჩხაიძე** და **ბესო უდესიანი**. უკანა ხაზს გააძლიერებენ: **ირაკლი აბუსერიძე**, **ბესიკ ხამაშურიძე**, **მალხაზ ურჯუკაშვილი** და **პალიკო ჯიმშელაძე**. გამორიცხული არაა, ხვალ გუნდს კიდევ ერთი პირველხაზელი, **დავით ზირაქაშვილიც** დაემატოს.

ბორჯღალოსნები სასტუმრო "კალასში" დაბინავდებიან და ვარჯიშებს "შევარდენის" სარაგბო სტადიონზე გამართავენ.

### საქართველო რუსეთთან

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი** (ბურგუენი), **დავით გასვიანი** (ვქსი), **ავთო კოპალიანი** (მონტობანი), **რევაზ ბელქანია** (ფიჟაკი), **დავით დადუნაშვილი** (მასი)

მეორე ხაზი: **ვიქტორ დიდებულიძე**(მასი), **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი)

მესამე ხაზი: **გია ლაბაძე** (ტულონი), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **ილია მაისურაძე** (ნანტი)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **დავით კაჭარავა** (ყორჩები), **გიორგი ელიზბარაშვილი** (მატორი); 11-14: **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ბესიკ ხამაშურიძე** (კანი), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (კანი); 15: **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი)

GFF

# ბრაზილია თანახმაა!

CBF BRASIL

## ...მაგრამ არა 22 აგვისტოს. ახალ თარიღზე მოლაპარაკებები შესარჩევი მატჩების შემდეგ განახლდება



## დუნგა მზადაა, კლაუსმა უნდა იფიქროს

ვრცლად 2



## შოტლანდია-საქართველო ბრიტანულ პრესაში

## შოთა არველაძე: შოტლანდია თავიდანვე წნეხში მოგვაქცევს...

## ალექს მაკლიში: საქართველო ძალიან სახიფათო მეტოქეა

2





ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

## ტრიბუნებმა არ უნდა დაგვთრგუნოს...

იაშვილი ტურის ფეხბურთელად დაასახელეს

3

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



შოთა არველაძე და ალექს მაკლიში

შოტლანდია-საქართველო ბრიტანულ პრესაში

# ჩვენ დავამარცხებთ შოტლანდიას...

## გოგუა შურისძიებისთვის ემზადება, არველაძე ფრთხილობს, მაკლიშიც...

შოტლანდია-საქართველოს მატჩის მოახლოებასთან ერთად, ბრიტანულ პრესაში ამ თამაშისადმი მიძღვნილი მასალები პირდაპირპროპორციულად მატულობს. დღეს რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით...

### Sportinglife: ხიზანიშვილი ამბობს, რომ შოტლანდია საქართველოს ბოლო შანსია

ინგლისურმა ინტერნეტგამოცემა "სპორტინგლაიფმა" საქართველოს ნაკრებისა და "ბლექბერნის" მცველის **ზურაბ ხიზანიშვილის** კომენტარები გამოაქვეყნა.

*"ზურაბ ხიზანიშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ნაკრები "ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიას მოუგებს: ეს საქართველოსთვის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ბოლო შანსია და თუ მოვიგებთ, ძალიან კარგი იქნება".*

ხიზანიშვილის ყოფილი მწვრთნელი **ალექს მაკლიში** კი ნაკრებში პირველი შეხვედრისთვის ემზადება. ქართველი მცველი ფიქრობს, რომ ეს ფაქტორი შოტლანდიელებზე დადებითად იმოქმედებს. მისი ვარაუდით, თამაში ძალიან საინტერესო და მიმზიდველი იქნება. ამას გარდა:

*"შოტლანდიას კარგი გუნდი და მწვრთნელი ჰყავს. მაკლიშს "რეინჯერსიდან" ვიცნობ. ის საქართველოს ნაკრების კიდევ რამდენიმე მოთამაშეს იცნობს. რა თქმა უნდა, შოტლანდიას შეუძლია, თამაშის მოგება, რადგან ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, დიდი ამბიციები აქვს და ჯგუფში პირველ ადგილზეა. ამ კუთხით, საქართველო ღარიბულად გამოიყურება, თუმცა ძლიერი მოთამაშეები ჩვენც გვყავს. არ აქვს მნიშვნელობა, შოტლანდიას ვხვდებით, ინგლისს თუ იტალიას, ჩვენ ყველასთან მონდომებით ვითამაშებთ".*

ხიზანიშვილი ყოფილი თანაგუნდელის **ბარი ფერგიუსონის** წინააღმდეგ ითამაშებს. ქართველებისთვის სასიხარულო სიახლე ისაა, რომ მასპინძლებს არა ერთი მოთამაშე აკლიათ. შოტლანდიელთა მწვრთნელი მეტოქეში ცბიერ მოწინააღმდეგეს ხედავს. ხიზანიშვილიც ფიქრობს, რომ ქართველებს მოგება შეუძლიათ.

*"ვიცი, რომ შოტლანდიის ნაკრებს დისკვალიფიკაციისა და ტრავმების გამო, რამდენიმე მოთამაშე დააკლდა. საქართველოსთვის იოლი არც ერთი შეხვედრა არაა, მაგრამ თუკი მოვინდომებთ, "ჰემპდენ პარკზე" მოგების შანსი გვექნება".*

### Scotsman: ფიფას რეიტინგს რომ დაეჯერებოდეს...

შოტლანდიურ გაზეთ "სქოთსმენში" კი ქართველებზე წერაში განაფული **დენ ბრენანი** ამ მასალას აქვეყნებს:

*"ფიფას რეიტინგი სანდო კრიტერიუმი რომ იყოს, შოტლანდიას საქართველოსი არ უნდა ეშინოდეს. ციურიხში მდებარე კომპიუტერის მონაცემებით, ბრიტანელები მეტოქეს ლამის 70 ადგილით უსწრებენ. ერთი შეხედვით, საქართველოს შემადგენლობა რადიკალურად არც შეცვლილა. ფარერებთან მოგების შემდეგ, გუნდმა სამი მატჩი წააგო. თუმცა საქმეში გარკვევის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ კლაუს ტოპმიოლერის ხელში ქართველებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს. უკრაინაში სრულიად შემთხვევით წააგეს, იტალიას კი კანკავას გაგდებამდე არაფერი დაუთმეს. ქართველების პროგრესის თვალსაჩინო მაგალითი თურქებთან საშინაო გამარჯვება (1:0) იყო, ხოლო მანამდე ურუგვაის 2:0 სძლიეს. აქ გამოჩნდა, რომ მოედანზე 11 ღირსეული და ბრძოლისუნარიანი მამაკაცი იყო"...*

"რეინჯერსის" ყოფილი ფორვარდი, ამჟერად "ალკმაარის" კაპიტანი **შოთა არველაძე** ამბობს: *"ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ამხანაგურ შეხვედრაში ძლიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია. ახლა, იგივე ოფიციალურ მატჩებშიც უნდა მოვახერხოთ. დიახ, შოტლანდია უფრო თავდაჯერებული უნდა იყოს, რადგან ჯგუფის ლიდერია. თუმცა ჩვენც გავძლიერდით. მე ადრეც ვამბობდი, რომ გუნდს უცხოელი მწვრთნელი სჭირდებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში კარგი სპეციალისტები არ არიან. უბრალოდ, ისინი ძალიან ახლოს იყვნენ მოთამაშეებთან. არადა, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის გარკვეული დისტანცია უნდა არსებობდეს. ტოპმიოლერი გამოცდილი სპეციალისტია, იცის გუნდის ორგანიზება, იცის, რას ითხოვს მოთამაშეებისგან. ჩვენ გვყავს ბევრი ნიჭიერი მოთამაშე, რომელთაც საუკეთესო ლიგებში თამაში შეუძლიათ. არ დავასახელებ მათ გვარებს, მაგრამ არიან 23-25 წლის ბიჭები და მათ ბევრის მიღწევა შეუძლიათ. ერთ მათგანს მაკლიშიც მშვენივრად იცნობს. ის "დანდისა" და "რეინჯერსის" ყოფილი მცველი ხიზანიშვილია. ზურა "ბლექბერნში" კიდევ უფრო გაიზარდა".*

თუკი შოტლანდიისადმი ხიზანიშვილის დამოკიდებულება ერთგვარად ნოსტალგიურია, **გოგიტა გოგუას** აქვს საფუძველი, თავი დაჩაგრულად იგრძნოს. მას "ჰართსში" თამაშის უფლება არ მისცეს. 23 წლის ნახევარმცველს თანაგუნდელები "ქართველ გატუზოს" უწოდებენ. "ჰემპდენ პარკის" მატჩი მისთვის შურისძიების შანსია.

*"საქართველოს ნაკრების დაბალი რეიტინგის გამო, შოტლანდიურ კლუბში თამაშის უფლება არ მომცეს. ამიტომ, გლაზგოში სწორედ ამ რეიტინგის გაუმჯობესებას შევეცდებით. პირადად მე კი, მსურს დავამტკიცო, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატში სათამაშოდ მზად ვიყავი".*

### BBC: მაკლიში აცხადებს, რომ საქართველო ძალიან სახიფათოა

გუშინ, **შოთა არველაძის** კომენტარები BBC-მაც დაბეჭდა. აქ, საქართველოს ნაკრების ფორვარდი უშუალოდ მოსალოდნელ სათამაშო სცენარზე მსჯელობს და ყოფილ მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** თბილად მოიხსენიებს. აი, ეს წერილიც:

"რეინჯერსის" ყოფილი ფორვარდი შოთა არველაძე გლაზგოში რთულ გამოცდას ელის. მისი დიდი წვლილიცაა იმაში, რომ "ალკმაარი" უეფას თასის მეოთხედფინალში გავიდა. არველაძემ მიმდინარე შესარჩევი ციკლის სამ მატჩში ითამაშა და 4 გოლი გაიტანა. ის ამბობს:

*"გლაზგოში ძალიან მძიმე მატჩი გველის. ჩვენ ვიცით, როგორ თამაშობს შოტლანდია. ისინი ეცდებიან, თავიდანვე მძიმე წნეხში მოგვაქციონ. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება მათი მთავარი ამოცანა".*

"ჰემპდენ პარკის" მატჩი, გარკვეულწილად, შოტლანდიელთა ახალი მწვრთნელისა და მისი ყოფილი შეგირდის დაპირისპირებაც იქნება. მაკლიშის ხელმძღვანელობით, შოთა "აიბროქსზე" 2001-2005 წლებში თამაშობდა. ამ პერიოდში "რეინჯერსმა" არა ერთი ტიტული მოიგო. მაკლიშს შაბათს დებიუტი აქვს. 34 წლის არველაძეს კი, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, იმედი აქვს, რომ ეროვნულ გუნდთან ერთად წარმატებას მიაღწევს:

*"მაკლიში კარგი მწვრთნელია. მას შეუძლია გუნდის დალაგება, მიუხედავად იმისა, რომ 25 მოთამაშე ჰყავს და ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ ისინი ყოველთვის მართლები არიან. და მაკლიშმა იცის, როგორ მიხედოს ამ პრობლემას".*

შემდეგ, BBC-ს კორესპონდენტს მოჰყავს შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ გორდონის** (19 მატჩი ეროვნულ ნაკრებში) სიტყვები. გორდონი დარწმუნებულია, რომ გუნდში ისეთივე ამაღლებული განწყობაა, როგორც ეს საფრანგეთთან მატჩის წინ იყო:

*"მაკლიშთან ურთიერთობაში პრობლემა არ მაქვს და ამ მხრივ, იმედიანადაც ვარ განწყობილი. მას შეუძლია, გააგრძელოს უოლტერ სმიტის მიერ კარგად დაწყებული საქმე. ჩვენ მზად ვართ საბრძოლველად".*

თავად მაკლიშს რაც შეეხება, BBC-სთან კომენტარში ის თავის გუნდს აფრთხილებს:

*"არ მინდა, რომ ჩემს ფეხბურთელებს ვინმეს შიში ჰქონდეთ. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ნაკრებს ჩვენთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია. ასე რომ, მეტოქე ძალიან სახიფათოა. არ შეგვაცდინოს იმან, რომ მიმდინარე შესარჩევში მათ სამი თამაში წააგეს უკრაინასთან, საფრანგეთსა და იტალიასთან. ვიცი, რომ ამის შემდეგ ქართველებმა თამაშიც გააუმჯობესეს და შედეგებიც".*

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ნაკრები

# ბრაზილიას სურს, წელსვე გვეწვიოს

## პენტაკამპეონთა საკითხს ტოპმიოლერი გადაწყვეტს

საუბრები საქართველოსა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩის შესაძლო ჩატარებაზე ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. ამ თამაშის თარიღად 2007 წლის 22 აგვისტო დასახელდა. მოლაპარაკებებიც კი დაიწყო და ლონდონში ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციისა და ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც კი შეხვდნენ ერთმანეთს... თუმცა, მოულოდნელად, ბრაზილიურმა მხარემ ფინანსური პირობები შეცვალა და მოლაპარაკებებიც ჩიხში შევიდა. ცოტა ხნის წინ კი ჩვენი ფედერაციის თავკაცობამ სამხრეთამერიკელებთან თბილისში წლეულს თამაში გამორიცხულადაც კი ჩათვალა. გუშინ კი ამ საკითხზე საპირისპირო და იმედისმომცემი ინფორმაცია შევიტყვეთ.

*"ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციასა და მის თავკაც ტეიშეირას წელსვე სურთ თბილისში საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება.. სამწუხაროდ, ამ თამაშის 22 აგვისტოს ჩატარება უკვე გამოირიცხა, რადგან ამ დღეს ბრაზილიას უკვე დაგეგმილი აქვს ამხანაგური მატჩი. როგორც გავიგე, მათ 30 ქვეყნის ნაკრებმა შესთავაზა ამხანაგური შეხვედრის ჩატარება, თუმცა ტეიშეირას სიმპათიები საქართველოს ნაკრებისკენ იხრება.*

*ბრაზილიური მხარე ქართულისგან თბილისში სათამაშოდ ორი სავარაუდო თარიღის დასახელებას ელის. ეს კი, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, კლაუს ტოპმიოლერმა უნდა გადაწყვიტოს. ბრაზილიელები ამ ორი თარიღიდან ერთ-ერთს ამოირჩევენ და მერე უკვე მოლაპარაკებები კონკრეტულ ფაზაში გადავა. როგორც ვატყობ, ბრაზილიელები ფინანსურ მხარეზე საუბრისას ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას გაითვალისწინებენ და ფინანსურად მისაღებ პირობებზე იქნება საუბარი",* - გვითხრა გუშინ სამხრეთ ამერიკაში დაკავშირებისას **ნიკო პატარქალიშვილმა**, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციამ ამხანაგურ მატჩებზე მოლაპარაკების უფლებამოსილება მისცა. წლეულს ორი თარიღია - 12 სექტემბერი და 24 ნოემბერი, რომელიც ფიფამ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად დაადგინა.

ბუნებრივია, ამის შემდეგ ფედერაციის პოზიციითაც დავინტერესდით და გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით.

*"ბრაზილიასთან თბილისში ამხანაგური მატჩის ჩატარება ჩვენთვისაც პრესტიჟულია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენთვის ბრაზილიასთან თამაში ყველაზე უფრო ხელსაყრელი 22 აგვისტოს იყო. რაც შეეხება სხვა თარიღს, ამას კლაუს ტოპმიოლერთან ერთად გადავწყვეტთ. ამჟერად მხოლოდ შოტლანდიასა და ფარერებთან მატჩებზე ვართ აქცენტირებულნი. ეს თამაშები ჩაივლის და ამხანაგური შეხვედრების ორგანიზებაზე მერე, ნაკრების მწვრთნელებთან ერთად ვიმსჯელებთ".*

**დავით ცაბაძე**



კლაუს ტოპმიოლერი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება**

შაბათს, 24 მარტს, 17 საათსა და 30 წუთზე რესპუბლიკის მოედანი გადაიკეტება და გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ დიდ ეკრანზე იხილონ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შოტლანდიისა და საქართველოს ეროვნულ გუნდთა დაპირისპირება.

ერთად ვუქომაგოთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს!

**ჩვენ ერთი გუნდი ვართ!**

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში




საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

www.kazbegi.com
გაზეთი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# ტრიბუნებმა არ უნდა დაგვთრგუნოს...

## იაშვილი ტურის ფეხბურთელად დაასახელეს

ორი გოლი და საგოლე პასი – ასეთია საქართველოს ნაკრებისა და "ფრაიბურგის" ფორვარდის ალექსანდრე იაშვილის მონაგარი "კაიზერსლაუტერნთან" მატჩში. ასეთი თამაშისთვის იაშვილი პოპულარულმა "კიკერმა" 1-ანით შეაფასა. ის ერთადერთი ქართველია, რომელიც მეორე ბუნდესლიგის 26-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. უფრო მეტიც, იმავე "კიკერმა" სწორედ ქართველი ფორვარდი დაასახელა ტურის ფეხბურთელად.

იაშვილს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით და საკლუბოს გარდა მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე გავესაუბრეთ.

- ამ მატჩამდეც საკმაო შანსი გვქონდა ბუნდესლიგაში ალზევებისა. ამდენად "კაიზერთან" თამაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სამწუხაროდ, სტუმრები სწრაფი გოლით დაწინაურდნენ - უკვე მე-4 წუთზე ვაგებდით. თუმცა მილებულმა გოლმა გამოგვაფხიზლა და მალევე ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, მერე კი დავწინაურდით კიდეც. "კაიზერს" ამ თამაშამდე ბუნდესლიგაში ალზევების ჩვენზე უკეთესი შანსი ჰქონდა და ბუნებრივია სტუმრები მატჩის გადარჩენას შეეცადნენ. ბოლო 10 წუთში კი ყველაფერს წერტილი დავუსვით. 82-ე წუთზე ჩემმა გატანილმა ბურთმა მეტოქეს იმედები გადაუწურა. მატჩის ბოლომდე კი ერთიც გავიტანეთ.

**- ამ მოგების შემდეგ ბუნდესლიგაში დაბრუნების ჩინებული შანსი გაქვთ...**

- დიახ, "კარლსრუეს" საკმაო ფორა აქვს და არა მგონია, ამ გუნდს რომელიმე დაეწიოს. მეორეზე "ჰანზაა", რომელსაც 5 ქულით ჩამოვრჩებით. მესამე-მეოთხეზე მყოფი "დუისბურგი" და "კაიზერი", ჩვენ, დათო სირაძის "აუესა" და "ფიურტს" მხოლოდ ქულით გვისწრებს. წინ კიდევ 8 ტურია. ისე გამოდის, რომ ორი ადგილისთვის ექვსი გუნდი ვიბრძვით.

**- როგორ ფიქრობ, შეძლებთ ბუნდესლიგაში დაბრუნებას?**

- ყველა ამაზეა კონცენტრირებული. თუმცა მეტოქეებზეც ბევრია დამოკიდებული. ჩვენ რომ უდანაკარგოდ ვითამაშოთ, მეტოქეებმაც ხომ უნდა დაკარგონ ქულები? ერთი სიტყვით, შანსი გვაქვს და კარგი იქნება თუკი "კარლსრუესთან" ერთად ჩვენ და დათო სირაძის "აუე" გადავა ბუნდესლიგაში.

**- "ფრაიბურგში" ეს ფოლკერ ფინკეს ბოლო სეზონია და მიზნის მიღწევა ალბათ მასაც ძალიან უნდა...**

- კი, ეგრეა. ჩვენც ძალიან გვინდა, რომ ბუნდესლიკაში დაბრუნებით ფინკეს ერთგვარი საჩუქარი გავუკეთოთ.

**- ბოლო დროს გოლებს მოუხშირე, პოზიცია შეგიცვალეს, თუ... ეს რით ავხსნათ?**

- სადაც საჭირო ვარ იქ მათამაშებენ, ხან თავდასხმაში და ხან შემტევ ნახევარმცველად. რაც შეეხება გოლების სიმრავლეს, მთლიანად გუნდი ათამაშდა ბრწყინვალედ და როცა გუნდი კარგად თამაშობს, მაშინ უფრო იოლია წარმატებული თამაში.

**- ახალი სეზონიდან "ფრაიბურგს" ახალი თავკაცი ეყოლება. რობინ დუტზე რას იტყოდი?**

- ბევრი არაფერი ვიცი. მხოლოდ ის გავიგე, რომ მესამე ბუნდესლიგაში "შტუტგარტერ კიკერსს" წვრთნიდა. იმედი მაქვს ახალი მწვრთნელი კარგად წარუძღვება ახალ საქმეს.

**- სეზონის ბოლოს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი გიმთავრდება. გუნდს შეიცვლი თუ დარჩები?**

- ამ ეტაპზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ახლა მხოლოდ ერთზე ვფიქრობ – ბუნდესლიგაში დავბრუნდეთ, დანარჩენს კი მერე გადავწვეტ.

**- ოთარ ხიზანეიშვილის საქმეები როგორაა?**

- ნაოპერაციებ, მარცხენა ფეხზე შეაწუხა ტკივილებმა. როგორც გაირკვა ძვლის ნანაზარდი ჰქონია და აწუხებდა. ბოლოს ძალიან სტკიოდა, შეიძლებოდა გართულებოდა კიდეც და სხვა გზა აღარ იყო, ოპერაცია გაიკეთა. ახლა ბაზელშია, ორ დღეში დაბრუნდება ფრაიბურგში და კარგი იქნება თუკი ბოლო ტურებში მაინც შეძლებს თამაშს.

**- ოთარი რას აპირებს, კლუბს შეიცვლის?**

- არ ვიცი. სჯობს ამაზე თავად მას ჰკითხოთ.

**- კვირის ბოლოს შოტლანდიაში გველის თამაში. გლაზგოურ მატჩზე რას იტყოდი?**

- რთული მატჩი გველის, მაგრამ ვფიქრობ, მასპინძლებსაც არ უნდა ელოდეთ იოლი გასეირნება. გლაზგოში ოპტიმისტური განწყობით მივდივარ და იმედია, უქულოდ არ დავბრუნდებით.

**- ბევრი თვლის, რომ ამ თამაშს არ წავაგებთ...**

- წავაგებთ კი არა, მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე. ძალზე რთული მატჩი გველის, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

**- შოტლანდიელი ფანები მეტოქისთვის დამატებითი სტიმული იქნება. ტრიბუნების აქტიურობა ჩვენს გუნდს ხომ არ დათრგუნავს?**

- არა, რატომ უნდა დათრგუნოს. ნაკრები იმ ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული, რომლებისთვისაც სავსე ტრიბუნა და მხურვალე ქომაგობა ახალი ხილი არაა. ასე რომ ამ ფაქტორმა ჩვენს გუნდზე უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს.

**- გარკვეული პაუზის შემდეგ ისევ ეროვნულში ხარ. ალბათ, ნაკრებში გოლით დაბრუნებაზე გიფიქრია...**

- ბუნებრივია, ძალიან მინდა ასე იყოს. ნებისმიერი ფეხბურთელი, მით უმეტეს თავდამსხმელი ყველა თამაშში გოლის გატანას ცდილობს. კარგი იქნება თუ ეს პატივი მე მერგება... საერთო ჯამში კი მნიშვნელობა არ აქვს გოლს ვინ გაიტანს. მთავარია, თამაში ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დავასრულოთ.

**დავით ცაბაძე**

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

21-წლამდელთა ნაკრები

# შაბათს რიზესთან, მერე ტრაბზონთან

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები გუშინ თბილისიდან თურქეთს გაემგზავრა. **პეტარ სეგრტმა** საკვალიფიკაციო ციკლისთვის გუნდის მზადება უკვე დაიწყო და თურქული შეკრებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. **ვახტანგ ფანცხავა** "ზესტაფონის" ნახევარმცველ **გიორგი განუგრავას** ნაცვლად გერმანიაში მყოფ 19-წლამდელებს გაჰყვა. პეტარ სეგრტს კი ფანცხავას მაგივრად 21-წლამდელებისთვის არავინ დაუმატებია. ასე რომ, მწვრთნელის განკარგულებაში თურქულ შეკრებაზე შემდეგ ფეხბურთელები არიან:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი ლორია (დინამო), ირაკლი დგებუაძე (ოლიმპი).**

მცველები: **გურამ კაშია (დინამო), გიორგი ნავალოვსკი, ლერი ხოხონიშვილი (ორივე ოლიმპი), აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ელბაქიძე (ამერი).**

ნახევარმცველები: **ვახტანგ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა), ალექსანდრე კობახიძე, გიორგი მერებაშვიი, ირაკლი ჩირიკაშვილი (ყველა დინამო), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ბექა ჟღენტი (ტორპედო, მ. რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (ჩიხურა).**

თავდამსხმელები: **გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), ლადო დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ორივე ოლიმპი), ვახტანგ ფანცხავა (გაგრა), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი).**

თურქეთში შეკრებას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 27 მარტს დაასრულებს. მანამდე სეგრტის გუნდი ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. შაბათს, 24 მარტს, ჩვენი ახალგაზრდები "რიზესფორს" (მთავარი და სარეზერვო გუნდის ფეხბურთელების კრებულს) დაუპირისპირდებიან. ორშაბათს, 26 მარტს კი - "ტრაბზონსფორს" (ასევე ძირითადი და დუბლების ფეხბურთელების კრებულს).

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი

19-წლამდელთა ნაკრები

# განუგრავას ნაცვლად ფანცხავა

გუშინ თბილისიდან გერმანიაში გაემგზავრა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ჯერ გერმანიაში, მერე კი ლუქსემბურგში მორიგ მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. მზადების ფარგლებში **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

გერმანიაში გამგზავრების წინ გაირკვა, რომ ჭაბუკთა ნაკრებს ამ ეტაპზე "ზესტაფონის" ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა** ვერ დაეხმარება. საამისო მიზეზი ისაა, რომ განუგრავა ბერძნულ "პანათინაიკოსში" ტესტირებაზე იმყოფება., ჰაინც ტოპმიოლერმა ნაკრებში გიორგი განუგრავას ნაცვლად "გაგრის" თავდამსხმელი **ვახტანგ ფანცხავა** გამოიძახა. სხვათა შორის, ფანცხავა ამ რამდენიმე კვირის წინ პორტუგალიაში ჩატარებულ 19-წლამდელთა საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს. ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობა ამ ცვლილების შემდეგ ასე გამოიყურება:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო).**

მცველები: **დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ორივე ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ამირან სანაია, გიორგი ხიდეშელი (ორივე ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (გაგრა).**

ნახევარმცველები: **ალექსი ბენაშვილი, ნიკო კვასხვაძე (ყველა ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან ყენია (ლოკომოტივი).**

თავდამსხმელები: **ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან ბლაგიძე (გიმარაეში, პორტუგალი), ვახტანგ ფანცხავა (გაგრა).**

ჩვენი ჭაბუკები გუშინვე, ქალაქ კობლენცში, გერმანიის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდნენ. ხვალ, 21 მარტს კი ქალაქ ბად ემსში გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...

ტონუსი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 42-6 | 42 |
| 2. დინამო | 17 | 13 | 0 | 4 | 35-33 | 39 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 11 | 5 | 1 | 33-6 | 38 |
| 4. ამერი | 17 | 11 | 4 | 2 | 33-11 | 37 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 17 | 10 | 4 | 3 | 35-23 | 34 |
| 6. სიონი | 17 | 9 | 2 | 6 | 22-15 | 29 |
| 7. ტორპედო | 17 | 8 | 4 | 5 | 18-15 | 28 |
| 8. ბათუმი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-16 | 19 |
| 9. მერანი | 17 | 4 | 5 | 8 | 14-29 | 17 |
| 10. ბორჯომი | 17 | 4 | 5 | 8 | 16-27 | 17 |
| 11. ლოკომოტივი | 17 | 4 | 4 | 9 | 12-23 | 16 |
| 12. ჩიხურა | 17 | 3 | 4 | 10 | 11-27 | 13 |
| 13. დილა | 17 | 0 | 3 | 14 | 9-45 | 3 |
| 14. კახეთი | 17 | 0 | 1 | 16 | 11-51 | 1 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| 2. ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 24-3 | 22 |
| 3. დინამო | 8 | 7 | 0 | 1 | 18-5 | 21 |
| 4. ზესტაფონი | 9 | 6 | 3 | 0 | 18-1 | 21 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 2 | 0 | 20-9 | 20 |
| 6. ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-9 | 17 |
| 7. სიონი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-5 | 16 |
| 8. ლოკომოტივი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-12 | 13 |
| 9. ბათუმი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-8 | 10 |
| 10. ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 11. ჩიხურა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 12. მერანი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-16 | 6 |
| 13. დილა | 8 | 0 | 1 | 7 | 2-21 | 1 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 7-22 | 1 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-3 | 20 |
| 2. დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 17-8 | 18 |
| 3. ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 4. ამერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-8 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 6. სიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7. ტორპედო | 8 | 3 | 2 | 3 | 7-6 | 11 |
| 8. მერანი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 | 11 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 10. ბორჯომი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 11. ჩიხურა | 9 | 1 | 1 | 7 | 5-17 | 4 |
| 12. ლოკომოტივი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-11 | 3 |
| 13. დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 7-24 | 2 |
| 14. კახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-29 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფიფია(ზესტაფონი) | 11 |
| 2-3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| | იაშვილი (დინამო) | 9 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯ.) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 9 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 10-16 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.) | 5 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| 17-26 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 |
| 27-40 | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 3 |
| | კობახიძე (დინამო) | 3 |
| 41-69 | გ. თოდუა (ოლიმპი) | 2 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 2 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 2 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 2 |
| | ვაჩეიშვილი (დილა) | 2 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 2 |
| | გოლქვაძე (ამერი) | 2 |
| | კობაიძე (კახეთი) | 2 |
| | ნკემი (ბორჯომი) | 2 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | ყენია (ლოკომოტივი) | 2 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 2 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 2 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 2 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | გოიომო (სიონი) | 2 |
| | ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 2 |
| | დარასელია (სიონი) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | საჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| 4 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 2 |
| 5-17 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | გოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფ./ტორპ.) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |

### გაფუჭებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-9 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ტორპედო) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-6 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | გრიშიკაშვილი (დინამო) | 1 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფიფია (ზესტაფონი) | 14 (11+3) |
| 2-3 | ფეიქრიშვილი (ვიტ/დინ) | 12 (6+6) |
| | იაშვილი (დინამო) | 12 (9+3) |
| 4-6 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორ.) | 11 (9+2) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 7-9 | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 (5+4) |
| 10-12 | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 (7+1) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 8 (5+3) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 8 (3+5) |
| 13-14 | ბოგოხიძე (დინამო) | 7 (5+2) |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 7 (6+1) |
| 15-21 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 (4+2) |
| | ჩასემი (სიონი) | 6 (5+1) |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 6 (4+2) |
| | გოლქვაძე (ამერი) | 6 (2+4) |
| | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დ.) | 6 (1+5) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 6 (3+3) |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 (4+2) |
| 22-32 | გაგუა (მერანი) | 5 (3+2) |
| | სირბილაძე (ოლ./დინამო) | 5 (4+1) |
| | ხუციშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | გენაძე (ოლიმპი) | 5 (3+2) |
| | გამეზარდაშვილი (ტორ.) | 5 (4+1) |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტ.) | 5 (5+0) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 5 (3+2) |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 5 (5+0) |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 5 (4+1) |
| | კობახიძე (დინამო) | 5 (3+2) |
| 33-43 | ჯელაძე (ამერი) | 4 (0+4) |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკო.) | 4 (0+4) |
| | გურული (ტორპედო) | 4 (1+3) |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 4 (3+1) |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორ.) | 4 (3+1) |
| | ევოჩე (სიონი) | 4 (3+1) |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | შ. ლონდაძე(ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯ.) | 4 (4+0) |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 4 (2+2) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 (3+1) |
| 44-58 | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 3 (2+1) |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 (3+0) |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 3 (2+1) |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 (3+0) |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 3 (1+2) |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | გ. თოდუა (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 3 (1+2) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 (1+2) |
| | გუშარაშვილი (ლოკომ.) | 3 (2+1) |
| | ლუჟაშვილი (ვიტ ჯორ.) | 3 (0+3) |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 3 (1+2) |

### შემსვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-3 | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 3 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 3 |
| 4-11 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯ.) | 2 |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| 12-31 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 2-3 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 5 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| 4-10 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | გოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| 11-18 | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჟაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | იაშვილი (დინამო) | 3 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 3 |
| 19-38 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბაჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გაგუა (მერანი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 2 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 2 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-23 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 1 |

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-5 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| 3-7 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფონი-ვიტ ჯორ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |

### უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-4 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

### მიღებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 5 |
| | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 5 |
| 3 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 6 |
| 4 | ლორია (დინამო) | 8 |

XVII ტურის სიმბოლური ნაკრები




### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კოდალაევი (ტორპ./ბორჯ.) | 275 |
| 2 | სეფიაშვილი (მერანი) | 151 |
| 3 | გრიშიკაშვილი (დინამო) | 122 |
| 4 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 117 |
| 5 | მამალაძე (ჩიხურა/სიონი) | 97 |
| 6 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 90 |

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 14 |
| 2 | 0:1 | 13 |
| 3 | 1:0 | 12 |
| 4 | 2:0 | 10 |
| 5-6 | 3:0 | 8 |
| | 2:1 | 8 |
| 7-8 | 3:1 | 6 |
| | 1:1 | 6 |
| 9 | 0:3 | 5 |
| 10-11 | 0:2 | 4 |
| | 1:3 | 4 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-27 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელგაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ლაგაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 6 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 7 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 8 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 302 |
| 9 | კოდალაევი (ტორ./ბორჯომი) | 275 |
| 10 | სომხიშვილი (ბათუმი) | 264 |
| 11 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 260 |
| 12 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 256 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვადაჭკორია | 12 |
| 2 | ფანიაშვილი | 11 |
| 3 | კვარაცხელია | 10 |
| 4-6 | სილაგავა | 9 |
| | ხარიტონაშვილი | 9 |
| | მაისურაძე | 9 |
| 7-9 | კრიჭაშვილი | 8 |
| | სანაია | 8 |
| | ბუქლიშვილი | 8 |
| 10-11 | კიკაჩეიშვილი | 6 |
| | პ. დოგრაშვილი | 6 |
| 12-13 | ჭაჭუა | 5 |
| | ხეცაძე | 5 |
| 14-16 | ნონიკაშვილი | 4 |
| | ბუიშვილი | 4 |
| | ელისაბედაშვილი | 4 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| 3-9 | ქებაძე(ოლიმპი) | 5 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 5 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 5 |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 1 |

| გასულ ტურში | ჩემპიონატში |
|---|---|
| 18 გოლი (საშუალოდ მატჩში 2.57) | 307 გოლი (საშუალოდ მატჩში 2.57) |
| 24 ყვითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 3.42) | 385 ყვითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 3.23) |
| 2 წითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 0.28) | 27 წითელი ბარათი (საშუალოდ მატჩში 0.22) |



გიორგი ადამია (შუაში)

# ადამია ბომბარდირობას აპირებს

მე-17 ტურის შემდეგ აზერბაიჯანში ერთპიროვნული ლიდერი "ნეფთჩია". **გიორგი ადამიას** კლუბი 33 ქულით პირველ ადგილზეა, რაშიც ლომის წილი ბაქოელთა ქართველ ლეგიონერს მიუძღვის. ტურის ცენტრალურ მატჩში "ნეფთჩი" "არაზს" მასპინძლობდა, რომელთაც 30-30 ქულა ჰქონდათ. გააზერბაიჯანელებული სერბი **სუბაშიჩის** დუბლისა და ადამიას გოლის წყალობით "ნეფთჩიმ" 3:0 გაანადგურა სტუმართა გუნდი. გიორგიმ მატჩის მე-80 წუთზე გაიტანა, ათი წუთით ადრე კი მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიიღო. ადამია კვლავ მარცხენა ფრთაზე გაამწესეს. ქართველს ლამაზი გოლი გაუტანია, მან **ბორეცის** პასი მიიღო და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. ადამიას ჩემპიონატში 9 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ერთით ჩამორჩება **იაკუბუ ბამბას** ("ქარვანი") და **ზაურ რამაზანოვს** ("ხაზარი").

დღით ადრე კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა, ჩემპიონი "ბაქი" "ხაზარს" ილებდა. მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა **ამირან მუჯირმა**, რომელმაც ერთ ეპიზოდში ახლო მანძილიდან ბურთს ფეხი ააცილა. მუჯირი შესვენებისას შეცვალეს. **ალეკო გოგობერიშვილმა** სრულად ითამაშა, "ბაქიში" მიბრუნებულ **გიორგი მეგრელაძეს** კი არ უთამაშია. სტუმართა რიგებში 89-ე წუთამდე ითამაშა **ვალერი აბრამიძემ**. 89-ე წუთზე ის "ბაქის" ლეგიონერ **სისოკოსთან** ჩხუბისთვის გააძევეს (ისევე როგორც, სისოკო). მატჩი 0:0 დასრულდა.

ქართული დაპირისპირება შედგა თაუზშიც, სადაც "თურანმა" 2:4 წააგო "ქარვანთან". მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშა **ირაკლი ვაშაკიძემ**, სტუმართა შორის კი ქართული ტრიოდან მხოლოდ **ალექსანდრე ინწკირველი** იყო მოედანზე. "გილანი"-"შაჰდაგის" მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა. "გილანის" რიგებში ითამაშეს **გიორგი კრასოვსკიმ** და **დიმიტრი კაპანაძემ**. "ნეფთჩის" "ხაზარი" 2 ქულით ჩამორჩება, თუმცა მატჩით ნაკლები აქვს გამართული. "ქარვანს" 30 ქულა აქვს, "ბაქის" - 29. "თურანს" - 18, "ყარაბახს" - 18, "გილანს" - 9.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კონკურენტი ასათიანს რუსეთში საუკეთესოდ მიიჩნევს

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ცენტრალურ მცველ **მალხაზ ასათიანს** მისი კონკურენტი **სერგეი ეფიმოვი** რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო მცველად მიიჩნევს. 19 წლის მცველს **ანატოლი ბიშოვეცი** წლევანდელ სეზონში უკვე ძირითად შემადგენლობაში აყენებს. თუმცა მალე მალხაზ ასათიანი შემადგენლობას დაუბრუნდება და "სპორტ-ექსპრესიც" ამის შესახებ შეეკითხა.

*"მერე რა მოხდა? მე, რა, თაროზე შემომდებენ? ასე თუ მოხდა, ძალიან მეწყინება. თუმცა ძირითადში დასამკვიდრებლად მაინც ვიბრძოლებ. დიახ, ასათიანთან კონკურენცია ძალიან ძნელია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მალხაზი ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრალური მცველია. თვით იგნაშევიჩზე უკეთესიცაა, იმის მიუხედავად, რომ არმიელიც ძალიან მომწონს. ასათიანი ტექნიკურია და თამაშს საოცრად კითხულობს, პირველი პასი, შეტევებში ჩართვა – ყველაფერი გააჩნია. თუმცა ეს ბრძოლაზე ხელის აღების საფუძველს არ მაძლევს, ასე არაა? ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული".*

## საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა**

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბაგრა-მესხეთი | 1:0 |
| მერცხალი-რაჭა | 0:3 |
| დინამო 2-ამერი 2 | 1:1 |
| მალაროელი-ჩიხურა 2 | 3:0 |
| სამტრედია-სპარტაკი | 1:0 |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 2 | 2:0 |
| ნ. დინამო-ზესტაფონი 2 | გადაიდო |
| მეშახტე-მგლები | გადაიდო |
| მეშაქრე-გურია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 21 | 17 | 2 | 2 | 38-10 | 53 |
| 2. მესხეთი | 21 | 14 | 4 | 3 | 36-11 | 46 |
| 3. ოლიმპი | 22 | 11 | 4 | 7 | 42-23 | 37 |
| 4. მეშაქრე | 21 | 10 | 7 | 4 | 28-19 | 37 |
| 5. ბაგრა | 22 | 11 | 2 | 9 | 32-27 | 35 |
| 6. ამერი 2 | 22 | 9 | 8 | 5 | 33-26 | 35 |
| 7. ვიტ ჯორჯია 2 | 22 | 10 | 4 | 8 | 35-20 | 34 |
| 8. დინამო 2 | 22 | 8 | 6 | 8 | 42-23 | 30 |
| 9. ნ. დინამო | 21 | 9 | 2 | 10 | 30-31 | 29 |
| 10. ზესტაფონი 2 | 21 | 7 | 7 | 7 | 21-17 | 28 |
| 11. მალაროელი | 21 | 7 | 7 | 7 | 28-26 | 28 |
| 12. სამტრედია | 21 | 7 | 6 | 8 | 21-31 | 27 |
| 13. მეშახტე | 19 | 7 | 3 | 9 | 27-27 | 24 |
| 14. ჩიხურა 2 | 21 | 6 | 3 | 12 | 20-36 | 21 |
| 15. სპარტაკი | 22 | 6 | 3 | 12 | 12-31 | 21 |
| 16. რაჭა | 20 | 5 | 6 | 9 | 21-32 | 21 |
| 17. გურია | 21 | 5 | 3 | 13 | 22-49 | 18 |
| 18. მერცხალი | 21 | 2 | 3 | 16 | 14-60 | 9 |

# კვირკველია მეტალურგის კაპიტანია

უკრაინის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე მოვლენა მოხდა. ყველასთვის მოულოდნელად, კაცნაკლულმა კრივოი როგის "კრივბასმა" ოდესაში "ჩერნომორეცს" 3:2 სძლია.

**ვასილ გიგიაძემ** თავისი მეცხრე ბურთი გაიტანა და ისევ უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიის სათავეშია. თუმცა "ხარკოვის" თავდამსხმელი **გლადკიი** დაეწია - ორივეს 9-9 ბურთი აქვს გატანილი. ერთი გოლით მათ კიევის "დინამოს" უზბეკი თავდამსხმელი **მაქსიმ შაცკიხი** ჩამორჩება.

გიგიაძემ ოდესელებთან მხოლოდ 67 წუთი ითამაშა და შეცვალეს. ამის მიზეზებზე "კრივბასის" მთავარ მწვრთნელ **ოლეგ ტარანს** დაეკითხნენ: *"გიგიაძემ პირველი წრის ბოლოს სერიოზული ტრავმა მიიღო. მან მხოლოდ თებერვალში განაახლა ვარჯიში და მოსამზადებელი ეტაპის ძირითადი ნაწილი გამოტოვა. ჩვენ კი მატჩის ბოლოს "ჩერნომორეცის" ზეწოლას ველოდით და ცვლილებაც ამან განაპირობა".*

მართალია, ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" კიევის "არსენალი" 1:2 დამარცხდა, მაგრამ მოედანზე 55-ე წუთზე შესული "მეთოფეთა" თავდამსხმელის **ლაშა ჯაკობიას** მონდომება ყველა მიმოხილვაში გამოარჩიეს.

ზაპოროჟიელთა ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ: *"ჯაკობიას მოედანზე გამოჩენისთანავე, "მეტალურგის" კართან რეალური სახიფათო მომენტები გახშირდა. 75-ე წუთზე მას ბურთის გატანაც შეეძლო. "არსენალის" თავდამსხმელმა ბურთი საჯარიმოში მიიღო, კარისკენ შეტრიალდა და უძლიერესად დაარტყა. მეკარე პოსტრანსკი ბურთს თითებითღა შესწვდა და მასპინძლები ძელმა იხსნა. საერთოდ, ჯაკობიას გამოჩენამ "არსენალი" ძალიან გამოაცოცხლა".*

დაბოლოს, ზაპოროჟიეს "მეტალურგი" მოედანზე ახალმა კაპიტანმა გაიყვანა და იგი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **დავით კვირკველიაა**. გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, დათო კაპიტნად ახლახან აირჩიეს. ეტყობა, თანაგუნდელთა ნდობამ ქართველზე კარგად იმოქმედა, რადგან მასპინძელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო და "არსენალს" გოლიც გაუტანა.

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებში კაპიტნები და ვიცე-კაპიტნები მომრავლდნენ: **შოთა არველაძე** "ალკმაარის" კაპიტანია, ვასილ გიგიაძე - "კრივბასის", ლაშა ჯაკობია - "არსენალის", **დათო კვირკველია** - "მეტალურგის", ალექსანდრე იაშვილი - "ფრაიბურგის", **ანდრეი გუსინის** არყოფნაში, "კრილია სოვეტოვს" **დათო მუჯირი** კაპიტნობს, **ლევან კობიაშვილი** "შალკეს" ვიცე-კაპიტანია, **კახა კალაძე** - "მილანის".

მოკლედ, საქართველოს ნაკრები მსოფლიოში ყველაზე მეტი კაპიტნებისა და ვიცე-კაპიტნების გუნდია.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით კვირკველია (ბურთით)

# ზაპოროჟიეს ნაცვლად სკონტო?

შოტლანდიას ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ვესტუმრებითო, თქვა **კლაუს ტოპმიოლერმა** კარგა ხნის წინათ. თუმცა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა არავის შეშურდება. ნაკრების დაცვას ერთბაშად ოთხი მოთამაშე აკლია - **კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, მათე ღვინიანიძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი**, ამჟამად მაინც არ აკლია ლამის მთელი შემადგენლობაო, ესეც თქვა. სასიხარულო ამბავი ყოფილა.

დაცვაზე ვთქვით და მის გარდა პრობლემები კიდევ საკმაოდაა. მართალია, **გიორგი დემეტრაძე** და **ზურაბ მენთეშაშვილი** ტრავმირებულები არ არიან, მაგრამ ორივე უთამაშებელია.

სამწუხაროდ, უკრაინის ფედერაციის წინააღმდეგ დაწყებული სასამართლო პროცესის შემდეგ, დემეტრაძე დონეცკის "მეტალურგის" ძირითადში ერთხელაც არ გამოჩენილა - მხოლოდ შეცვლაზე ითამაშა. უკრაინული პრესის მტკიცებით, კო ადრიანსე გიორგის სათამაშო ფორმით უკმაყოფილო ყოფილა.

ერთი რამ მაინც გვაიმედებს - გიორგის კლუბში ადრეც ჰქონდა პრობლემები და ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში მონდომებით თამაშობდა. ის ამ კუთხით გამორჩეული მოთამაშეა და შოტლანდიაში მისიც გვეიმედება.

უფრო რთულ მდგომარეობაშია მენთეშაშვილი. მან ნოემბერში იაროსლავლის "შინიკი" დატოვა. მას შემდეგ ნახევარმცველი ფორმის შესანარჩუნებლად ჯერ რუსთავის "ოლიმპში" ვარჯიშობდა, ბოლოს კი რიგის "სკონტოში". თუმცა სამთვიანი უთამაშებლობა მაინც თავისას შვება, ნახევარმცველი ისევ უგუნდოდაა და რადგან ტოპმიოლერი მენთეშაშვილსაც ენდობა, ბუნებრივია, მისი მდგომარეობაც გვაღელვებს.

გუშინ, ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ** მასზე გვითხრა:

*"როგორც ვიცი, მენთეშაშვილის აყვანა ზაპოროჟიეს "მეტალურგს" სურდა. თუმცა პირობებზე ვერ მორიგდნენ და ლატვიაში დაბრუნდა. ის ბოლოს "სკონტოში" ვარჯიშობდა და შეიძლება, ამ გუნდშიც დარჩეს. თუმცა დაზუსტებით ამაზე ვერაფერს გეტყვით".*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი/ს. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიდი გაცვლა: ტონი ადრიანოს ნაცვლად?

## ინტერში ადრიანოს უდისციპლინობა მობეზრდათ და მსურველებისგან შესაფერის წინადადებას ელიან

იტალიური პრესის ბოლო ცნობებით, ზაფხულში "ინტერმა" **ადრიანო** შეიძლება, **ლუკა ტონიში** გაცვალოს. შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი "ნერაძურიში" გადასვლას სეზონის წინ ცდილობდა. აგვისტოში, შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, სპეციალური პრესკონფერენციაც კი მოიწვია, სადაც ღიად განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა და სკუდეტოსთვის ბრძოლა უნდოდა. პრესა წერდა, რომ ტონისთვის "ინტერს" 25 მილიონი ევრო გამზადებული ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ "ფიორენტინის" მეპატრონემ ლუკა დარჩენაზე დაიყოლია. თუმცა, საკითხავია, რის ფასად. ბოლო ცნობებს თუ დავუჯერებთ, "ვიოლასთვის" 15 ქულის ჩამოკლების შემდეგ, პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** ტონისთვის სიტყვა მიუცია, თუ წელს დარჩები და სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაში დაგვეხმარები, სეზონის ბოლოს აღარავინ დაგაკავებო.

"ინტერს" სკუდეტო უკვე განაღდებული აქვს და უკვე სატრანსფერო გეგმებს აწყობს. დიდია ალბათობა, რომ ზაფხულში **ერნან კრესპოს** მიერ დაკავებული ადგილი გამოთავისუფლდეს, რადგან არგენტინელს მისი მესაკუთრე "ჩელსი" ლონდონში დაბრუნებას სთხოვს. ისე ჩანს, რომ კრესპოს წასვლას "ინტერი" დიდად არ ეწინააღმდეგება და მის ნაცვლად ახალი ფორვარდის მოყვანაზე მუშაობს. "ფიორენტინა" ტონის ახლა 20 მილიონ ევროდ აფასებს, მაგრამ გაცვლის ვარიანტზეც თანახმაა, თუკი იტალიელის ნაცვლად "ინტერი" ადრიანოს შესთავაზებს. სიახლე არაა, რომ ადრიანოსა და "ინტერს" ყოველ სამ თვეში ერთხელ ერთნეთთან რაღაც პრობლემა აქვთ. მიზეზი დისციპლინური ხასიათისაა, თუმცა



ადრიანო

ზოგჯერ წმინდა საფეხბურთოც. იტალიაში ამბობენ, რომ მილანურ კლუბში ბრაზილიელის ხუშტურების ატანა უკვე მობეზრდათ და სარფიანი შემოთავაზების შემთხვევაში, სიამოვნებითაც გაასხვისებდნენ. მეორე მხრივ, "იისფერთა" მეპატრონე **დიეგო დელა ვალეც** ადასტურებს, რომ ტონის მომავალი გაურკვეველია, თუმცა ამ თემაზე საუბრისგან სეზონის ბოლომდე თავს იკავებს: *"არ მინდა ტონიზე ლაპარაკი, სანამ სეზონი არ დასრულდება – თქვა დელა ვალემ – ამის საჭიროება ჯერჯერობით არ არის, რადგან წინ კიდევ რამდენიმე თვე გვაქვს."*

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგიმ რეალს და ბარსას შეუტია

## რა ალაპარაკებს შოტლანდიელ სპეციალისტს: შიში და ეჭვი, თუ სიმართლე?

ცნობილია, რომ "რეალი" და "ბარსელონა" **კრისტიანო რონალდოთი** არიან დაინტერესებულები. თითქოს აქ უჩვეულო არაფერია, მაგრამ "მანჩესტერის" დამრიგებელი სულ სხვაგვარად ფიქრობს. აი, რა განაცხადა **სერ ალექს ფერგიუსონმა**: *"ესპანური გრანდები ძალიან ულირსად იქცევიან. გასაგებია, რომ კრისტიანო უნიჭიერესი ფეხბურთელია და მის შეძენაზე ბევრი კლუბი ოცნებობს, მაგრამ ერთია ჯანსაღი სატრანსფერო დაინტერესება და მეორე პოპულისტური საარჩევნო მანიპულაციები. "რეალისა" და "ბარსელონის" ხელმძღვანელები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მომხრე შეიძინონ, რათა მაქსიმალურად დიდ ხანს გაიხანგრძლივონ კაბინეტებში ყოფნის პერიოდი. მჯერა, რონალდო ყველაფერს თავად მიხვდება და დაასკვნის, რაშია საქმე. ის ამისათვის საკმარისად დიდია."*

სერ ალექსის განცხადება "რეალის" გენერალურ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩს** სასაცილოდაც არ ეყო. სერბმა "მანჩესტერის" მთავარ მწვრთნელს შეახსენა, რომ გასული წლის 2 ივლისს ის და **რამონ კალდერონი** სოსიოებმა ნდობის რამდენიმე წლიანი მანდატით აირჩიეს და რონალდოთი დაინტერესება საარჩევნო მანიპულაციებს არანაირად არ უკავშირდება. ანალოგიური პოზიცია აქვთ "ბარსას" მესვეურებსაც. მათ მხოლოდ ის დაამატეს, რომ ფერგიუსონს ეჭვი და წამყვანი მოთამაშის დაკარგვის შიში ალაპარაკებს.

### დეკუმ ოპერაცია გაიკეთა

შაბათს, "რეკრეატივოსთან" მატჩში **დეკუმ** მარჯვენა ხელის შუა თითი იტკინა. "ბარსელონის" ექიმებმა ფეხბურთელი საგულდაგულოდ შეამოწმეს და დარწმუნდნენ, რომ ქირურგიული ჩარევის გარეშე ტრავმის მოშუშება შეუძლებელი გახდებოდა. გუშინ ანდერსონ ლუის და სოუზა ბარსელონის ერთ-ერთ კერძო კლინიკაში მიიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. გარეთ გამოსულმა ქირურგმა საზოგადოებას აცნობა, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი ორ კვირას გასტანს. გამორიცხული არ არის, დეკუმ საკუთარი გუნდის თამაშები არ გამოტოვოს და სახვევებით ითამაშოს. ვნახოთ, ყველაფერი ექიმების კონსილიუმზე გადაწყდება.

### ყოფილი ბოსი, შეიძლება, დაიჭირონ

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი **კლოდ სიმონე**, შეიძლება, ციხეში მოხვდეს. ფრანგული წყაროების ცნობით, მოსიე კლოდს ფინანსურ მაქინაციებში სდებენ ბრალს. თუ ეს დამტკიცდა, მას 10 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს.

### გამართლებულ ემრეს ჰერტა გამოუჩნდა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ნიუკასლის" თურქ ნახევარმცველ **ემრე ბელოზოღლუს** რასიზმის ბრალდება მოუხსნა. საქმე ეხება "ევერტონთან" მატჩში მომხდარ ინციდენტს. ამასობაში კი, გერმანული "ბილდ ცაიტუნგი" იუწყება, რომ "ჰერტა" **ილდირაი ბაშთურქის** გაყიდვას აპირებს და მის შემცვლელად, სწორედ ემრე ესახება.

### ნიუკასლს ფერდინანდი და ფორლანი მოუნდა

"ნიუკასლმა" "ვესტ ჰემს" **ანტონ ფერდინანდის** გაყიდვა შესთავაზა. შესაძლო გარიგების დეტალები უცნობია. ჩაქუჩების თავკაც **ალან კერბიშლის** მცველთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. კლუბის გავარდნის შემთხვევაში ფერდინანდი "აპტონ პარკზე" დარჩენას ისედაც არ აპირებს. ნიუკასლელებს კი ბარსელონელი თავდამსხმელი **დიეგო ფორლანიც** სურთ. ურუგვაელს "ბარსელონაც" აკვირდება. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ვარსკვლავს "ვილიარეალიდან" აბარგების შესახებ არაფერი უთქვამს.



ფრანკ რიიკაარდი

ჩელსი

# რიიკაარდი ან ჰიდინკი?

"სანდი მირორის" გუშინდელ ნომერში სენსაციური ინფორმაცია დაიწერა. ინგლისური გამოცემის მტკიცებით, **რომან აბრამოვიჩი** "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტის ერთ-ერთ კანდიდატად **ფრანკ რიიკაარდს** განიხილავს. ამბობენ, რუსი ოლიგარქის უპირველესი ფავორიტი **გუუს ჰიდინკიაო**, თუმცა აბრამოვიჩი სათადარიგო ვარიანტებსაც განიხილავს და ცდილობს, "ბარსელონის" დამრიგებელთან ამთავითვე დაიჭიროს საქმე. იმავე "სანდი მირორის" ინკოგნიტო ინფორმატორს თუ დავუჯერებთ, ბატონი რომანი კიდევ ერთ, ფრიად საინტერესო ვარიანტზეც ფიქრობს. შესაძლოა, "ჩელსის" მეპატრონემ ორივე ჰოლანდიელი მიიწვიოს. თუ მოვლენები ამგვარად განვითარდება, ჰიდინკი დირექტორატში დასაქმდება, რიიკაარდი კი მწვრთნელად იმუშავებს. ამასთან, რუსეთის ეროვნული გუნდის ამჟამინდელ მესაჭეს უფლება ექნება, ახალგაზრდა კოლეგას რჩევებით მიმართოს.

მართალია, "არისტოკრატების" ხელმძღვანელობა ოფიციალურ საუბრებში დიდი შემართებით ამტკიცებს, რომ **ჟოზე მოურინიოს** აბრამოვიჩთან არანაირი პრობლემა არ აქვს და კლუბში სრული სიამტკბილობა სუფევს, მაგრამ რაც დრო გადის, ასეთი განცხადებების სულისკვეთებას სულ უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი იზიარებს. თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი, რომ პორტუგალიელი სპეციალისტი ლონდონურ კოლექტივს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. ამიტომ, რიიკაარდის გვარის პრესაში გამოჩენამ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ინგლისელი კოლეგები შეეცადნენ, "ბარსას" თავკაცის კომენტარი მოეპოვებინათ, თუმცა მან მედიელებთან საუბარი არ ისურვა. სხვათა შორის, რიიკაარდთან დალაპარაკება ბარსელონელმა კორესპონდენტებმაც ვერ შეძლეს. ბატონი ფრანკის დუმილმა ჭორები კიდევ უფრო გააძლიერა. ახლა იმასაც ამბობენ, აბრამოვიჩმა რიიკაარდს დუმილი მოსთხოვა, რათა საქმე არ გაფუჭდესო...

### მოურინიო 8.1 მილიონს მიიღებს

"სანდი მირორის" კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს. მისი ცნობით, **ჟოზე მოურინიო** "ჩელსის" ივნისში დატოვებს და კომპენსაციის სახით, 8.1 მილიონ გირვანქას მიიღებს. ტაბლოიდის მტკიცებით, კომპენსაცია განისაზღვრება მწვრთნელის მიერ ბოლო სეზონში გამომუშავებული თანხით. ივნისამდე მოურინიომ ხელფასის სახით 5.2 მილიონი გირვანქა უნდა მიიღოს, პრემიების სახით კი, დამატებით, 2.9 მილიონი. მართალია, მისი კონტრაქტი 2010 წელს იწურება, მაგრამ კლუბის მხრიდან შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, კომპენსაციის მაქსიმალური რაოდენობა მწვრთნელის ბოლო წლის შემოსავლის ტოლი იქნება.

შალკე

# კრსტაიჩი გმირია

## გამაყრუებელი ყიჟინა აუფ შალკეზე: აპარატმა 129 დეციბელი დააფიქსირა, რაც რაკეტის გაშვების ხმას უტოლდება!

შაბათს, გელზენკირხენში წასვლამდე, **მლადენ კრსტაიჩმა** კომპიუტერი სახლში (დიუსელდორფში) დატოვა - ლეპტოპის ჩანთა მას ამ დღეებში სხვა რამისთვის სჭირდება. აგერ უკვე სამი კვირაა, რაც "შალკეს" სერბი მცველი ამ ჩანთით თაბაშირს დაატარებს, თაბაშირს, რომელსაც ყოველ ვარჯიშისა და თამაშის წინ წელზე იხვევს. კრსტაიჩი ტრავმირებულია (ნეკნი აქვს გაბზარული) და წესით, მისთვის არც სრული დატვირთვით ვარჯიშია დასაშვები და მით უმეტეს, არც თამაში, მაგრამ სერბი არ ნებდება და მოედანზე მაინც გადის. შაბათს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში ითამაშა და "შალკეს" "შტუტგარტთან" მოაგებინა (გამარჯვების გოლი შეაგდო), კვირას კი ბელგრადისკენ აიღო გეზი, რათა მომავალ შაბათს სერბეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაეხმაროს - სერბები ყაზახეთს (ხაზს ვუსვამთ, ყაზახეთს!) ხვდებიან, რის შემდეგაც, ოთხშაბათს პორტუგალიას უნდა დაუპირისპირდნენ. სამი დღის მერე კი, "შალკე" "ბაიერნს" სტუმრობს და კრსტაიჩი მიუნხენშიც უსათუოდ ითამაშებს.

ფეხბურთელების დიდი ნაწილი ასეთ დროს დასვენებას ამჯობინებს ხოლმე, მაგრამ მლადენი მათ რიცხვს არ განეკუთვნება. ცნობისათვის, უკვე 32 წლისაა და მისი კარიერაც ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის. *"დასვენება? რა დროს დასვენებაა, სულ მალე ხომ ფეხბურთს საერთოდ ველარ ვითამაშებ. იმისათვის, რომ რომელიმე შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ვთქვა, ჩემი თამაში 100 პროცენტით უნდა იყოს გამორიცხული. ხოლო, თუკი არსებობს იმის შანსი, რომ ვიასპარეზო, თუკი როგორმე ეს შესაძლებელია, მაშინ ვთამაშობ. ექიმებმა მითხრეს, რომ თუ თაბაშირს გავიკეთებდი და ყოველი ვარჯიშის ან მატჩის წინ მედიკამენტებს მივიღებდი, 90 წუთის მანძილზე სირბილს შევძლებდი. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იძულებით პაუზაზე უარი მეთქვა,"* - აცხადებს კრსტაიჩი.

შაბათს მან არა მხოლოდ ითამაშა, არამედ **ლევან კობიაშვილის** გუნდი გადაარჩინა კიდეც. "შტუტგარტის" კარში მის მიერ გატანილი გოლი, რომელმაც გელზენკირხენულ კლუბს 3 ქულა მოუტანა, ულამაზესი არ იყო, მაგრამ, რაც მთავარია, იყო გადამწყვეტი. ეს გოლი კუთხურს მოჰყვა, მაგრამ როგორ დაინიშნა კუთხური? "შალკე" უტევდა, ბურთი **მესუთ იოზილს** ჰქონდა და ის ის იყო, 18 წლის თურქმა საკუთარ ნახევარზე დაბრუნება გადაწყვიტა, როცა მას კრსტაიჩი მივარდა, ბურთი ფაქტობრივად ძალით გამოჰგლიჯა და სოლორეიდი წამოიწყო, ზუსტად ისეთი, **ლუსიო** რომ ახორციელებს ხოლმე. რომ არა მლადენის ეს გადაწყვეტილება, კუთხური, რომელსაც გოლი მოჰყვა, არ დაინიშნებოდა.

ცალკე სასაუბრო თემაა ის, რაც "აუფ შალკეს" ტრიბუნებზე გოლის დროს მოხდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გახლდათ "შალკეს" პირველი გოლი საკუთარ მოედანზე 271 წუთიანი პაუზის შემდეგ. და შეირხა თუ არა **ტიმო ჰილდებრანდის** კარის ბადე... თუმცა, კრსტაიჩი თვითონვე იტყვის: *"სტადიონი აფეთქდა! ეს ნამდვილი სასწაული იყო!"* 60 000-მა ფანმა გამაყრუებელი ყიჟინა დასცა. "აუფ შალკეს" ტაბლო რეგულარულად აჩვენებს ხოლმე ხმაურის სიძლიერეს და გოლის მომენტში ტაბლოზე დაიწერა: 129 დეციბელი (დეციბელი ხმაურის სიძლიერეს ზომავს)! თუ ამაში კარგად ვერ ერკვევით, ახლავე აგიხსნით: 129 დეციბელი, ეს დაახლოებით იგივე სიძლიერის ხმაურია, როგორიც, მაგალითად, რაკეტის გაშვებას აქვს. ხმაურის სიძლიერე ბუნდესლიგის ყველა დიდ სტადიონზე იზომება და უნდა გითხრათ, რომ "აუფ შალკემ" აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. ასეთი მძლავრი ხმა არცერთ სხვა გერმანულ სტადიონზე არასდროს ყოფილა. და ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება ხსენებული სტადიონის ტრიბუნებზე, თუკი კობიაშვილის გუნდი გერმანიის ჩემპიონობას სწორედ "აუფ შალკეზე" გაინაღდებს. 49 წელია "შალკეს" გერმანიის ჩემპიონატი არ მოუგია და თუკი ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ 129 დეციბელი დაფიქსირდა, ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ ჩემპიონობის შემთხვევაში რაღა იქნება?



კრსტაიჩის გოლმა აუფ შალკეს კინაღამ სახურავი ახადა

იმისათვის, რომ უფრო უკეთესად გაგარკვიოთ, რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. 25 დეციბელი სუნთქვის ხმაა ერთი მეტრის დისტანციაზე, 80 დეციბელი ავტობანზეა ხოლმე, 110 დეციბელი როკ-კონცერტზე, 120 დეციბელის დროს, ახლო მანძილიდან დაყრუებაა შესაძლებელი, 130 დეციბელი რაკეტის გაშვების დროს ფიქსირდება, 140 დეციბელზე ნაღდად დაყრუვდებით, 190 დეციბელის დროს კი, დიდი შანსია, რომ მოკვდეთ. და კიდევ ერთხელ: შაბათს, კრსტაიჩის გოლისას "აუფ შალკეზე" 129 დეციბელი იყო!

*"ფანების მხარდაჭერა უბრალოდ არაჩვეულებრივი იყო. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ გოლი კრსტაიჩმა გაიტანა. ის ტრავმირებულია და მაინც თამაშობს. მლადენმა ყველას უჩვენა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს პროფესიონალი,"* - ამბობს სლომკა. მირკომ ამოისუნთქა. "ბაიერნთან" თამაში 12 დღის შემდეგაა, რაც სწორედ "შალკეს" წისქვილზე ასხამს წყალს - **ჯერალდ ასამოა, კრისტიან პანდერი** და **სიორენ ლარსენი** უკვე გამოჯანმრთელდნენ, მანამდე სრული დატვირთვით ვარჯიშს **პეტერ ლოვენკრანდსი** და **გუსტავო ვარელაც** განაახლებენ. ჰო მართლა, კრსტაიჩისგან განსხვავებით, **ჰალილ ალთინთოფმა** თურქეთის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. მცირე ტრავმის (!) გამო!

მოკლედ, "შალკემ", როგორც იქნა, მოიგო (35 დღიანი პაუზის შემდეგ) და მერე რა, რომ "ხუმარებმა" ცუდად ითამაშეს. სლომკა ამბობს: *"იყო თამაშები, როცა შესანიშნავად გამოვიყურებოდით, მაგრამ წავაგეთ. ახლა კი პირიქით მოხდა. როცა ასე გიმართლებს, ე.ი. ჩემპიონობა შეგიძლია..."*

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იუვენტუსი: ერთი მილიონი ლემპარდამდე

## ინგლისელი კი ამბობს, რომ ლონდონში დარჩენა უნდა. ალტერნატიული კანდიდატები ისევ ალმირონი და ფრინგსი არიან...


ფრენკ ლემპარდი

"იუვენტუსი" სატრანსფერო ბაზარზე უკვე აქტიურობს და როგორც იტალიაში ამბობენ, ცდილობს, დასწრებაზე ითამაშოს. გასულ კვირაში ტურინელთა სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** და სატრანსფერო კონსლტანტი **რობერტო ბეტეგა** ლონდონში იმყოფებოდნენ და **ფრენკ ლემპარდის** აგენტს შეხვდნენ. "ბებერი ქალბატონის" სამიზნეში კიდევ ერთი ნახევარმცველია - ემპოლელი **სერხიო ალმირონი**. არგენტინელთან დაკავშირებით, "იუვეს" ახალგაზრდული სექტორის მენეჯერს ჩირო ფერარას კვირას "ლაციო"-"ემპოლის" შეხვედრის წინ ტელეკომპანია "სქაი სპორტის" ეთერში ერთი ფრაზა წამოსცდა, რასაც შემდეგ ხუმრობა უწოდა: *"ალმირონი? ეგ უკვე ავიყვანეთ"*. მართალი არ არის, მაგრამ ის კი მართალია, რომ არგენტინელის გადაბირებაზე "ბიანკონერი" მთელი სერიოზულობით მუშაობს. გასულ კვირაში ეს თავად "ემპოლის" პრეზიდენტმა **კორსიმ** დაადასტურა. ამ კვირაში ტოსკანურ კლუბთან მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება – უნდა განისაზღვროს ალმირონის სატრანსფერო ფასი (მოთხოვნა 10 მილიონი ევროა) და იმ ფეხბურთელის ვინაობა, ვისაც ტურინელები "ემპოლის" ათხოვებენ (სავარუდოდ, **პარო** ან **მარკიზიო**). თუმცა "ქალბატონი" იმაზეც მუშაობს, რომ თანხმობა მიილოს პირადად ფეხბურთელისგანაც, რომლის გადაბირებით "ფიორენტინა" და "პალერმოც" არიან დაინტერესებულები.

ამასობაში, "გაძეტა დელო სპორტი" წერს, სეკოსა და ბეტეგას ინგლისური მისია ძალზე ოპტიმისტურ ნიშნებს იძლევაო. "სტემფორდ ბრიჯზე" აღიარებენ, რომ თუ ლემპარდი წასვლას გადაწყვეტს და "ჩელსის" სალაროში 11,7 მილიონ ევროს შეიტანს (თანხა, რომელიც ფიფას ნორმატივის მიხედვით, კონტრაქტიდან ერთი წლით ადრე განთავისუფლებისთვის არის საჭირო), "იუვენტუსისთვის" ეს ციფრი სულაც არ არის მიუწვდომელი, მაგრამ ნამდვილ პრობლემად შეიძლება, ინგლისელის ხელფასი იქცეს. ლემპარდს ამჟამად სეზონში 4 მილიონ ევროს უხდიან, კონტრაქტის გასაგრძელებლად ის 6 მილიონს ითხოვს, კლუბი კი 5 მილიონს სთავაზობს. "იუვენტუსი", მზად არის, რომ გარკვეული ეკონომიკური მსხვერპლი გაიღოს და ლემპარდს ანალოგიური ხელფასი, ანუ წლიური 5 მილიონი დაუნიშნოს. "ბებერი ქალბატონისთვის" საფრთხეს მძაფრი კონკურენცია წარმოადგენს: ინგლისელის ხელში ჩასაგდებად "რეალი", "ინტერი" და "ბარსელონაც" იბრძვიან. ასეა თუ ისე, ტურინიში მალე საბოლოო პასუხს ელიან, პარალელურად კი ორ ალტერნატივაზე მუშაობა გრძელდება: ალმირონის გარდა, "იუვეს" ხალხი მოლაპარაკებას **ტორსტენ ფრინგსის** აგენტთანაც აწარმოებს.

იმ დროს, როცა იტალიური პრესა ლემპარდის "იუვეში" გადასვლაზე სპეკულირებს, თავად ფრენკი "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში აი, ასეთ კომენტარს აკეთებს: *"მე "ჩელსიში" დარჩენა მინდა, წასვლაზე არასდროს მიფიქრია და ამის გაკეთებას არც ვაპირებ. ვამაყობ, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" ვთამაშობ და "ჩელსის" ღირსებას ვიცავ. გაკვირვებული ვარ იმით, რასაც პრესის ფურცლებზე ვკითხულობ, ამის გამო ჩემს აგენტთან რამდენიმე შეხვედრაც მქონდა. შეშფოთებული ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ცოტა კი მაღიზიანებს ის, რომ ვილაცეები ჩემს მომავალზე ლაპარაკობენ. ასეა თუ ისე, ფიფას ნორმატივი მე არ მაინტერესებს, კლუბთან კონტრაქტით წელიწადნახევარი მრჩება და ხელშეკრულების გაგრძელებაც მინდა."*

**დიდიე დეშამი** ამბობს, რომ სატრანსფერო საკითხებზე არც კი ფიქრობს. მწვრთნელს ახლა სხვა საფიქრალი აქვს. პირველია, სამი მატჩით დისკვალიფიცირებული **ტრეზეგეს** შეცვლა. ფრანგი ფორვარდის გარეშე "იუვემ" წელს ცხრა შეხვედრა ჩაატარა – 5 ფრე და 4 მოგება. ახალგაზრდა ფორვარდებს შორის დეშამი ამ მომენტისთვის უპირატესობას **პალადინოს** ანიჭებს. მეორე პრობლემა ტიფოზებია, უფრო სწორად, ის საპროტესტო გამოსვლა, რომელიც გულშემატკივრებმა ბოლო საშინაო ტურში **ძებინასა** და **კამორანეზის** მოუწყვეს. ამის გამო დეშამმა თავის ტიფოზერიას ასეთი თხოვნით მიმართა: *"ყველას მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა გვჭირდება, რათა სერია A-ში დავბრუნდეთ, გზა ჯერ კიდევ გრძელი და რთულია, "იუვეს" ინტერესები გვავალდებულებს, რომ ფეხბურთელებს გვერდში დავუდგეთ და მხარდაჭერა ვაგრძნობინოთ."*

დავიდ ტრეზეგეს პრობლემები მხოლოდ 3-მატჩიანი დისკვალფიკაციით არ ამოიწურება. ბევრად უფრო გულნატკენი დარჩა ფრანგი ფორვარდი იმის გამო, რომ **რაიმონ დომენეკმა** ის საფრანგეთში ნაკრებში არ გამოიძახა. "ლურჯების" თავკაცის ამ გადაწყვეტილებას დეშამმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: *"დომენეკმა შეურაცხყოფა მიაყენა ტრეზეგეს და "იუვენტუსს". დავიდი განბილებულია არა იმიტომ, რომ მწვრთნელმა არ გამოიძახა, არამედ თავად იმ მიზეზის გამო, რის გამოც ის ნაკრებს მილმა დატოვა. როცა დომენეკი დავიდის არგამოძახების მიზეზად ფეხბურთელის სერია B-ში თამაშს ასახელებს და ამ ჩემპიონატის დონეს ნაკრებში გამოძახებისთვის არასაკმარისად მიიჩნევს, ამით შეურაცხყოფას აყენებს ფეხბურთელსაც და ჩვენს კლუბსაც. კიდევ იმიტომ, რომ სეზონის დასაწყისში სულ სხვანაირად ლაპარაკობდა: მახსოვს სექტემბერში რომ თქვა, ტრეზეგე მაინც ტრეზეგეა, რომელ ჩემპიონატშიც არ უნდა გამოდიოდესო. დომენეკს ავიწყდება, რომ "იუვენტუსი" კვლავაც მაღალი დონის გუნდად რჩება. მის ლოგიკას თუ მივყვებით, გამოდის, რომ ნაკრებში მიწვევას არც ბუფონი, კამორანეზი, დელ პიერო და ბოჟინოვი იმსახურებენ. გარდა ამისა, დომენეკი ერთადერთი სანაკრებო მწვრთნელია, რომელიც კლუბების მწვრთნელებს არასოდეს ურეკავს, რომ ფეხბურთელების მზადყოფნის შესახებ ინფორმაცია მიიღოს. მე მისი ზარი არასოდეს მიმიღია, ისე, როგორც ბევრ ჩემს კოლეგას... ტრეზეგეს გამოსვლა? ყველა ხედავს, რომ ეს მისი საუკეთესო სეზონი არაა, მაგრამ ამის ახსნა ძნელი არ არის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დავიდმა მუნდიალზე ითამაშა, მაგრამ ვერ შეასრულა ის როლი, რომელსაც თავად ისურვებდა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გუნდში გვიან დაბრუნდა, სხვებთან შედარებით, უფრო ხანმოკლე მოსამზადებელი პროცესი გაიარა, მაშინვე ტრავმა მიიღო და გამოჯანმრთელების შემდეგ, ნოემბერში ისევ დაშავდა. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ სერია B-ში გამოსვლით დიდად ბედნიერი არაა და სადღაც მესმის კიდეც მისი, რადგან სერია A-ს თავდამსხმელისთვის B-სთან შეგუება იოლი არაა. იმედი მაქვს, რომ ნაკრებში არგამოძახება დავიდზე ცუდ გავლენას არ მოახდენს."*

**გოგა ახალაძე**

### კომენტარი

## ფრინგსი: იუვე? ტყუილია!

### ბრემენელი ირწმუნება, მოლაპარაკებებს არავისთან ვაწარმოებო...

**დიდი** ხანია, ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ტურინის "იუვენტუსს" "ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველის, ტორსტენ ფრინგსის გადაბირება უნდა. იტალიურმა გამოცემებმა არაერთხელ დაწერეს, რომ "ბებერი სინიორას" ხელმძღვანელებმა 30 წლის საყრდენ შუამარბთან მოლაპარაკებები წამოიწყეს. მაგრამ "მუსიკოსთა" გენერალური მენეჯერი კლაუს ალოფსი აცხადებს, რომ ეს მტკნარი სიცრუეა და იქვე ამბობს, მართალიც რომ იყოს, ტორსტენს ჩვენთვის ერთხელაც არ უთქვამს, რომ "ვერდერის" დატოვება უნდაო.
არადა, რამდენიმე დღის წინათ ფრინგსის მრჩეველმა ნორბერტ პფლიპენმა "კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: *"ალოფსს უკვე ვუთხარი, რომ ტორსტენს ბევრი გუნდიდან აქვს შეთავაზება და უფრო მეტიც, კლაუსს ფრინგსით დაინტერესებული გრანდებიც ჩამოვუთვალე."* რაც ყველაზე საინტერესოა, თვითონ ფეხბურთელი ალოფსის ნათქვამს ადასტურებს და ამბობს: *"იუვენტუსთან" მოლაპარაკებები? სისულელეა! არავისთან მისაუბრია, იტალიურ პრესაში ტყუილები იწერება."*





მსოფლიოს უძვირფასესი სტადიონი

# ესეც უემბლი!

## 2352-დღიანი მოლოდინი დასრულდა. პირველი გამოცდა შაბათს, ინგლისელი და იტალიელი ახალგაზრდების მატჩში...

შაბათს, 17 მარტს, "უემბლიზე" პირველი გულშემატკივრები შეუშვეს - პირველები 2 352-დღიანი მოლოდინის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში 757 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, სამუშაოები უსაშველოდ გაიწელა და მშენებელმა კომპანია "მულტიპლექსმა" არა ერთ სკანდალში გაჰყო თავი. მაგრამ მოლოდინი ნამდვილად ღირდა იმად, რაც ფანებმა სტადიონზე იხილეს. მართალია, მცირედი სამუშაოები ჯერ კიდევ ჩასატარებელია, მაგრამ ამან ვერ დაჩრდილა საერთო დიდებული ატმოსფერო.

მსურველებს სტადიონზე მოსახვედრად ბილეთი უნდა შეეძინათ. შაბათ დილით, "უემბლის კლუბის შესასვლელთან" დაახლოებით ექვსი ათასმა ფანმა მოიყარა თავი. მაგრამ მათ ერთსაათიანი ლოდინი მოუხდათ. მიზეზი მავანი თანამშრომლის დაუდევრობა გახლდათ, რომელმაც... შესასვლელი კარების გასაღები დაკარგა. სირცხვილისგან აწითლებულმა ოფიციალურმა პირებმა ეს პრობლემა, როგორც იქნა, გადაჭრეს, მაგრამ იმის გამო, რომ ფანები ტრიბუნაზე დაგვიანებით მოხვდნენ, ბევრმა მათგანმა ვერ მიუსწრო სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილ გასართობ ღონისძიებას. აღსანიშნავია, რომ უზარმაზარ ნაგებობაში არ მუშაობდა არცერთი ლიფტი. დამონტაჟებული არ იყო არც საბანკო ავტომატები, რის გამოც მნახველთა უმრავლესობამ ადგილობრივ კაფეებში ვერაფერი შეუკვეთა. ყველა აღნიშნავდა, რომ "უემბლიზე" ჭამა ძალიან ძვირი სიამოვნება იქნება. პირველ დღეს ერთი ჭიქა წითელი ღვინო 4 გირვანქა ღირდა, ერთი კათხა ლუდი - 3.5 გირვანქა, გამაგრილებელი სასმელი - 3.2 გირვანქა, თევზი და შემწვარი კარტოფილი - 7 გირვანქა ხოლო ჩიზბურგერი - 5 გირვანქა.

სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერაც ათობით ტრაქტორი და ბულდოზერი დგას. ეს იმიტომ, რომ ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მშენებლობა არ დასრულებულა. ამ დროისთვის მხოლოდ ერთი პარკინგია მზად. ის 2 900 მანქანას იტევს და მხოლოდ განსაკუთრებული სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. არ დაგავიწყდეთ, რომ საერთო ჯამში, "უემბლიმ" 90 ათასი ქომაგი უნდა მიიღოს.

ზემოთ ახალი "უემბლის" მშენებლობის ვადა ვახსენეთ - 2 352 დღე. ძველი სტადიონი, 1923 წელს სულ რაღაც 300 დღეში აშენდა. საოცარი სხვაობაა ძველი და ახალი არენების ფასშიც. ისტორიული ნაგებობა საფეხბურთო ასოციაციას 750 ათასი გირვანქა დაუჯდა. დღეს კი, როგორც ვთქვით, 757 მილიონი გადაიხადა, რის გამოც "უემბლი" მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირი საფეხბურთო ნაგებობა გახდა. ამბობენ, რომ ხარჯი შეიძლება გაიზარდოს. ვადის გადაცილებით მიყენებულმა ზარალმა, შეიძლება, 350 მილიონს გადააჭარბოს. მშენებლობის დროულად ვერდასრულების გამო, ჩაიშალა არა ერთი პროექტი, მაგალითად, "თეიქ ზეთის", "როლინგ სთოუნზისა" და რობი უილიამსის კონცერტები. შარშანდელი ასოციაციის თასის ფინალი, "უემბლის" ნაცვლად, ისევ კარდიფში გაიმართა.

მაგრამ ეს პრობლემები უკვე წარსულია. დღეს არის დიდებული სტადიონი, რომელზეც სახელგანთქმული ტყუპი კოშკები უზარმაზარმა თალმა (მისი ყველაზე მაღალი წერტილი მიწიდან 133 მეტრზეა) და მოძრავმა სახურავმა შეცვალა. "არსენალის" ქომაგები სიამაყით ამბობენ, რომ "უემბლი" მათ ახალ "ემირიტს სთედიუმს" წააგავს. ამ ორი სტადიონის მშენებლობისას გამოყენებულია ერთი და იგივე, შუშისა და რკინის კონსტრუქციები, ხოლო ტრიბუნები წითელი სკამებითაა შემოსილი.

სიახლეა ისიც, რომ ახალი უემბლის ტრიბუნიდან გაცილებით კომფორტულად შეიძლება თამაშის ყურება. აღებულია სვეტები, რომელსაც ძველი ნაგებობის სახურავი ეჭირა და ათასობით ფანს თვალში ჰქონდა გაჩხერილი. მინდვრიდან ერთ-ერთი ყველაზე შორი წერტილია მუხეთე იარუსის, R რიგის 33-ე სკამი. მართალია, იქიდან ფეხუბთელის მაისურზე გვარის ამოსაკითხად დურბინდია საჭირო, მაგრამ სიშორე თამაშის აღქმას ხელს არ უშლის. იმ წერტილიდანაც კი მინდორი საუცხოოდ ჩანს.

რაც შეეხება უსაფრთხოებას, "უემბლის" ჯერ არ მიუღია საერთო უსაფრთხოების სერტიფიკატი. სტადიონის აღმასრულებელი დირექტორი ალექს ჰორნი იმედს გამოთქვამს, რომ ასოციაციის თასის წლევანდელი ფინალი ახალ სტადიონზე გაიმართება, მაგრამ იქამდე ტესტის ჩაბარებაა საჭირო. "უემბლი" პირველ მატჩს მომავალ შაბათს უმასპინძლებს. ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებები.

მილანი

# ანჩელოტი: უკეთესად ვითამაშებთ

## გალიანის გურკუფის იმედი აქვს...



კარლო ანჩელოტი

"მილანმა" ბოლო ტურში შინ "ატალანტას" 1:0 მოუგო. გამარჯვების გოლი მე-40 წუთზე **ამბროზინიმ** გაიტანა. მაგრამ "სან სიროზე" მისულმა მაყურებელმა სეზონის ყველაზე უსახური "მილანი" იხილა. გოლის შემდეგ გუნდმა თამაშს თავი დაანება და ბურთი და მოედანი მეტოქეს დაუთმო. ასე რაციონალური და შედეგზე მოთამაშე "როსონერი" წელს არავის უნახავს. პირველ ოთხეულში მოხვედრა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სამი ქულა "მილანის" ერთადერთი საფიქრალი იყო. შედეგი მოვიდა, მაგრამ თამაში საერთოდ გაქრა. შესაბამისად, მატჩის შემდეგ **ანჩელოტი** სანახევროდ კმაყოფილი იყო. ნამატჩევს გაკეთებულ კომენტარებში მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა: *"პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი ცუდად და ვერ შევძელით უპირატესობის გამყარება. ზედმეტად გავაკეთეთ აქცენტი კონტრშეტევებზე. ფიზიკური ძალა გვაკლდა, იმიტომ, რომ დაღლილები ვიყავით, მაგრამ გვაკლდა ასევე სიმშვიდე, რადგან სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით, სამი ქულის აღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ ტაიმში შეტევაში ბევრი კარგი კომბინაცია გავითამაშეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ აღარაფერი გამოგვდიოდა. ახლა სანაკრებო პაუზა იწყება, რაც, არ დაგიმალავთ და, ძალიან გვჭირდება, რადგან ჩვენს თამაშს დავიბრუნებთ, ჩვეული ბრწყინვალება და მასთან ერთად ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელიც დაგვიბრუნდება, ნესტა და სერჟინიო. ამბროზინი? დღევანდელი თამაშის გმირი ის იყო, მასიმო თავს არ ზოგავს და იმსახურებს ასეთ ტიტულებს."*

ამბროზინის მიმართ ქების სიტყვები არც **ადრიანო გალიანიმ** დაიშურა: *"მასიმო ჩვენთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, ამ ერთ თვეში თავისი თავურებით ორი თამაში მოგვაგებინა (წინა სიენაში, 4:3). ახლა ყველა ხვდება, ტრავმის გამო რამდენად გვაკლდა."* ტრავმის გამო, "მილანს" ახლა კაპიტანი **მალდინი** დააკლდება, თუმცა გუნდში იმედი აქვთ, რომ პაოლო ამ სეზონში მოედანზე დაბრუნებას მაინც მოასწრებს: *"ჩვენი კაპიტანი თერაპიის სპეციალურ კურსს გადის – ამბობს გალიანი – მოედანზე ამ სეზონში დაბრუნდება, როგორც კი ჩემპიონატი დასრულდება, ოპერაციას გაიკეთებს და სამ-ოთხ თვეში ხელახლა დაგვიბრუნდება"* – *ასეთი გახლავთ გეგმა, რომელიც პროფესორ მარტენსთან და ჩვენს საექიმო შტაბთან ერთად დავსახეთ."* მალდინის მოლოდინში "მილანი" მეოთხე ადგილისკენ სვლას განაგრძობს. *"51 ქულა ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი – ეს ურიგო შედეგი არაა იმის გათვალისწინებით, რაც ზაფხულში დაგვემართა და თითქოს ეს არ კმაროდა, ნახევარი გუნდი დაშავებულია. ახლა 15 შეხვედრა გვრჩება* –ამბობს გალიანი და ელიმება, რადგან ჩემპიონატის 10 ტურთან ერთად ჩემპიონათა ლიგის ფინალამდე დარჩენილ 5 შეხვედრასაც გულისხმობს – *ვეცდებით, რომ ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩავატაროთ და მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ. ანჩელოტის შეუძლია, მშვიდად იყოს: მის თანამდებობას არაფერი ემუქრება, მომავალ წელსაც "მილანში" იმუშავებს. ინძაგი თადარიგში? პირველ ადგილზე "მილანის" ინტერესები და მიზნები დგას, ფეხბურთელებმა ეს კარგად იციან. მაგალითისთვის, მე ძალიან მეწყინა, რომ მოედანზე გურკუფი ვერ შევიდა, ის დიდი ტალანტია და უფრო ხშირად თამაშს იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ გაზრდა სჭირდება. მჯერა, რომ სეზონის ბოლო ფაზაში გურკუფი მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს."*

საოცნებო ტრანსფერი

# კაკა რონალდინიოს მილანში უხმობს

## ცოტა ხნის წინათ გაუჩო რონალდომაც დაპატიჟა

აი, ამას ჰქვია ბრაზილიური ლობი. **კაკა**, როგორც ნამდვილი მილანისტა, **სილვიო ბერლუსკონის** ოცნების ახდენაში დაეხმარება. ბერლუსკონის ოცნება კი **რონალდინიოს** "მილანში" ჩაყვანაა. კვირას "ატალანტასთან" გამარჯვების შემდეგ, კაკამ თამაშს მოკლე კომენტარი გაუკეთა, მერე კი გაუჩოს თემაზე გადავიდა და თქვა, ვეცდები, რომ "მილანში" გადასვლაში დავარწმუნოო. *"რონალდინიოსთან ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ მას მომავალ კვირაში ვნახავ, როცა ჩვენი ნაკრები ჩილესა და განის ნაკრებებთან ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს. რას ვეტყვი? პირველ რიგში, გავარკვევ მას რა აინტერესებს, მერე კი ავუხსნი, რომ "მილანი" უდიდესი კლუბია, შევეცდები, დავარწმუნო, რომ ჩვენს გუნდში გადმოვიდეს"*, – თქვა ბრაზილიელმა.

კაკამდე რამდენიმე დღით ადრე იგივეს გაკეთება რონალდომაც სცადა, როცა ესპანური "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაუჩოს "მილანში" გადასვლისკენ მოუწოდა. *"რონალდინიო ჩემი მეგობარია და ბედნიერი ვიქნები, თუ ისიც ჩემს გვერდით იქნება* – თქვა კიჭამ – *დარწმუნებული ვარ, რომ რონალდინიოს აქაურობა ძალიან მოეწონება და ჩვენი კლუბის ფილოსოფიას იდეალურად მოერგება. მასთან პირადად ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ ვიცი, რამდენს ნიშნავს ის, რაც პრეზიდენტმა ბერლუსკონიმ და ვიცე-პრეზიდენტმა გალიანიმ განაცხადეს – თუ საქმე რონალდინიოს "ბარსელონიდან" წასვლაზე მიდგა, "მილანი" ყველაზე სერიოზული პრეტენდენტი იქნებაო."*

გასულ კვირაში "მილანის" დირექტორებს საპატიო სტუმარი ჰყავდათ რონალდიონიოს ძმისა და აგენტის, **რობერტო ასისის** სახით. მისი მილანში ჩასვლა საკმარისი იყო, იტალიურ პრესაში დიდი ამბავი ატეხილიყო – გაუჩო "როსონერიში" გადასვლის პირასააო. მაგრამ მენეჯერმა აჟიოტაჟის დაცხრობა სცადა: *"ჩვენსა და "ბარსელონას" შორის არაფერი შეცვლილა, ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერი იდეალურადაა. ყველამ იცის, რომ მე მილანში ვიყავი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ ჩემი კლიენტის, რიკარო ოლივეირას თაობაზე რაღაც დეტალები დამეზუსტებინა."*



რონალდინიო



ჰიტცფელდი და მისი შტაბი

ბაიერნი

# ჰიტცფელდმა განგაშის ზარს შემოჰკრა

**ფრანკფურტის "აინტრახტთან" წაგების შემდეგ (0:1) ოტმარ ჰიტცფელდმა, ტრადიციულად, გაარჩია მატჩის ამომწურავი სტატისტიკა, ოღონდ, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენს გერმანელ კოლეგებთან თითოეულ ნაკლზე გულახდილად ისაუბრა. პირველი, რაზეც ბავარიული გიგანტის თავკაცი ყურადღებას ამახვილებს, მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებების რაოდენობაა - მიუნხენელებმა "აინტრახტის" საჯარიმოში 90 წუთის განმავლობაში ბურთი მხოლოდ 9-ჯერ ჩაჰკიდეს, რაც ოტმარის აზრით, ძალიან ცუდი მაჩვენებელია. "გენერალი" დამწუხრებულია იმის გამოც, რომ მისი შეგირდები ვერ აკეთებენ გადამწყვეტ პასებს, ისეთ პასებს, მეტოქის დაცვას რომ გაარღვევს და დააბნევს. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რეკორდმაისტერმა "აინტრახტთან" ერთი გოლიც რომ ვერ გაიტანა - ეს უკვე მე-7 შემთხვევაა მიმდინარე სეზონში (ბუნდესლიგაში), როცა "ბაიერნი" მოედანს უგოლოდ ტოვებს.**

ჰიტცფელდი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მისი გუნდი "აინტრახტთან" უპირატესობას ფლობდა (ბურთის ფლობა 36%-64% ბავარიელთა სასარგებლოდ), მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ამან შედეგი ვერ გამოიღო. ამრიგად, "ბაიერნმა" მიმდინარე სეზონში უკვე მე-8 თამაში წააგო და აქედან 5 მარცხი ისეთ გუნდებთან განიცადა, რომლებიც სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებიან. "აინტრახტამდე" იყო მარცხი აახენში (ასევე 0:1) და აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, "ბაიერნთან" მატჩამდე, "ალემანიაც" და "აინტრახტიც" საკუთარ მოედანზე ჩატარებული თამაშების მიხედვით, ყველაზე სუსტ გუნდებად ითვლებოდნენ. აი, მიუნხენური გიგანტი კი საკმაოდ იოლად დაამარცხეს.

*"რაღაც ვერ არის წესრიგში,"* - ამბობს მწვრთნელი და იქვე აღიარებს, - *"როგორც ჩანს, "რეალის" გაგდებამ და "ვერდერთან" უამრავი საგოლე მომენტის შექმნამ დაგვაბრმავა. ფაქტია, რომ გამარჯვებულის მენტალიტეტი აღარ გვაქვს და არც ქილერის ინსტინქტი, რაც ძალიან საჭიროა."* ჰიტცფელდმა ნამდვილად იცის კიდევ ერთი რამ, მაგრამ ამის შესახებ არაფერს ამბობს: "ბაიერნს" კლასი და პოტენციალი არ ეტყობა და სწორედ ამის ბრალია, მიუნხენელები სუსტ მეტოქეებთან ქულებს რომ ანიავებენ. და კიდევ ერთი რამ: "ბაიერნს" არ ჰყავს სახიფათო ნახევარმცველები! არ გვეთანხმებით? თავად განსაჯეთ:

**მიხაელ ბალაკმა** ბუნდესლიგაში ჩატარებულ 107 შეხვედრაში 17-ჯერ გახსნა ანგარიში და საერთო ჯამში 44 გოლი გაიტანა, ანუ, საშუალოდ მატჩში 0.41 გოლი გაჰქონდა. ახლა ვნახოთ **ბასტიან შვაინშტაიგერის** მაჩვენებელი: მხოლოდ 13 გოლი 121 შეხვედრაში, ანუ, საშუალოდ მატჩში 0.11 გოლი. **ოუენ ჰარგრივსს** ამ მხრივ სულაც კატასტროფულად აქვს საქმე: 5 გოლი 143 მატჩში, ანუ, საშუალოდ შეხვედრაში 0.03 გოლი. შედარებით სახიფათოა **მარკ ვან ბომელი**: 4 გოლი 22 თამაშში, ანუ, საშუალოდ მატჩში 0.18. თუმცა ვან ბომელზე დასკვნების გაკეთება ჯერ მაინც ნაადრევია, რადგან ის "ბაიერნში" პირველ სეზონს ატარებს.

ახლა ვნახოთ ჰამბურგელი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** მონაგარი: 15 გოლი 37 თამაშში (საშუალოდ მატჩში 0.41).

ეს ციფრები და საერთოდ, მიმდინარე სეზონი ამტკიცებს, რომ რეკორდმაისტერს აუცილებლად სჭირდება ისეთი შუამარბები, რომლებსაც გოლების გატანა ეხერხებათ, ტემპს აკონტროლებენ და საგოლე პასებსაც უხვად არიგებენ, ანუ, "ბაიერნს" არ ჰყავს და ძალიან სჭირდება ტიპური ათიანი.

**ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, რომ ძალიან მოსწონს ბრემენელი **დიეგო** (კონტრაქტი 2010 წლამდე) და ხსენებული ვან დერ ვაარტი (კონტრაქტი 2010 წლამდე, მაგრამ 2009 წელს 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია გუნდის გამოცვლა). თუმცა ბრემენული კლუბი, რომელიც ბოლო წლებში რეკორდმაისტერის სერიოზულ კონკურენტად იქცა, ბრაზილიელს არ შეელევა. "ჰამბურგის" შეფებიც ამბობენ, რომ ვან დერ ვაარტი არ იყიდება, თუმცა ვინც ამ გუნდის ბოსებს იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ისინი აზრს ყოველ წუთს იცვლიან და ფულიც უყვართ (სჭირდებათ კიდეც). ასე რომ, ვან დერ ვაარტი ბავარიელთათვის უფრო რეალური კანდიდატია, თუმცა აქ სხვა რამეა პრობლემა და კერძოდ ის, რომ "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესს** ჰოლანდიელი, მაინც და მაინც, არ მოსწონს - ძალიან ხშირად იმტვრევაო.

განსხვავებული მდგომარეობაა თავდამსხმელის ძებნის მხრივ. **მიროსლავ კლოზესთან** ერთად სასურველი ფორვარდების სიას იტალიელი **ლუკა ტონი** ლიდერობს. **პაულ ბრაიტნერმა**, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბავარიული გუნდის მრჩეველი გახდა, "ფიორენტინას" აყლაყუდა გოლეადორი საქმეში უკვე არაერთხელ ნახა. იტალიაში ტრანსფერები, როგორც წესი, ყველაზე გვიან ხორციელდება ხოლმე. ესეც რომ არ იყოს, ფეხბურთელებს იმის ცოდნა სურთ, თუ რომელ ევროტურნირზე იასპარეზებს (ან იასპარეზებს თუ არა საერთოდ რომელიმეზე) მათი მსურველი გუნდი. "ბაიერნს" კი ჩემპიონთა ლიგის საგზური ჯერ არა აქვს განაღდებული, ტონისა და **არიენ რობენს** კი, რომელიც ასევე ჰიტცფელდის სასურველი მოთამაშეა, უეფას თასზე ასპარეზობის პერსპექტივა არ ხიბლავთ, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი.

სწორედ ამიტომ შემოჰკრა ოტმარმა განგაშის ზარს. *"გერმანიის ჩემპიონობაზე ვოცნებობთ, ამ დროს კი სამეულშიც არ ვიმყოფებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სულაც არაა გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოვჩნდეთ,"* - აცხადებს ჰიტცფელდი და იქვე ამატებს, - *"აი, რა რის ყველაზე საშიში!"* "გენერალი" თავის შეგირდებს შემდეგს სთხოვს: *"მებრძოლი სულისკვეთება აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში! მხოლოდ "რეალთან" ან "ვერდერთან" კი არა, ნებისმიერ მატჩში ცეცხლი უნდა დავანთოთ!"* ოტმარი იმასაც ხვდება, რომ კონტრაქტის გაგრძელების შემდეგ წნეხის სიმძიმე გაიზარდა. მთელი გუნდი ზეწოლის ქვეშაა მოქცეული, რადგან დიდი ხანია, "ბაიერნს" საუკეთესო სამეულში მოსახვედრად არ უბრძოლია - რეკორდმაისტერი ხომ ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდა.

*"ახლა ზოგიერთ ფეხბურთელს გამოცდები ეწყება, რაც აპრილის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება და "მილანთან" საპასუხო მატჩის წინ დასრულდება,"* - აცხადებს ჰიტცფელდი და გამოსაცდელ ფეხბურთელებში, პირველ რიგში, **კლაუდიო პისაროსა** და **როკე სანტა კრუსს** გულისხმობს. გაიზრდება თუ არა სავარაუდო ტრანსფერების რაოდენობა, ეს სწორედ სანტა კრუსსა და პისაროზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა ბოლოდროინდელი თამაში არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი მომდევნო სეზონში გამოსწორდებიან. ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, რომ "ბაიერნი" ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიური იქნება, უფრო ადრე კი ბეკენბაუერმა თქვა, აღარ ვიძუნწებთ და დიდ ვარსკვლავებს შევიძენთო. ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო იმისა, რომ ჰიტცფელდმა კონტრაქტი გაახანგრძლივა. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალი ტრანსფერებისთვის 50 მილიონი ევროა გამოყოფილი. "კიკერი" პირდაპირ წერს, რომ ოტმარი პირადად არცერთ ფეხბურთელს არ მოითხოვს, უფრო სწორად, არ იტყვის, ესა და ეს მოთამაშე მიყიდეთო, რადგან ეს მისი სტილი არაა. *"მაგრამ მე ჩემი წარმოდგენები მაქვს,"* - ამბობს მწვრთნელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მის გარეშე არაფერი გადაწყდება...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ჯანლუკა ძამბროტასთან

# დელე ალპიზე ასეთი სიყვარული არასოდეს მიგრძვნია

## იტალიელი ვარსკვლავი სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს...

**ჯანლუკა ძამბროტა "ბარსელონის" ერთადერთი ახალწვეულია, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ მოიკიდა ფეხი. მისგან განსხვავებით, ეიდურ გუდიონსენსა და ლილიან ტურამს დროის უდიდესი ნაწილის გატარება სათადარიგოთა სკამზე უწევთ. იტალიელი კი თითქმის ყოველ შეხვედრაში ასპარეზობს და უდიდეს სამუშაოსაც ასრულებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძამბროტას პრიმერა დივიზიონში გაცილებით მეტი მოვალეობა დაეკისრა. "ბარსელონაში" მას მთელი ფლანგი ჩააბარეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეტევას დაცვაზე ნაკლები ყურადღება არ უნდა დაუთმოს. დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი წარმოუდგენელ ენერგიას მოითხოვს, თუმცა ძამბროტა ამოცანებს ჯერჯერობით წარმატებით ართმევს თავს. წინა ტურის მატჩში მან გოლიც გაიტანა. "რეკრეატივოს" კარში შეგდებული ბურთი საკმაოდ ლამაზი გამოდგა. ჯანლუკა დამწუხრებულია, რომ "ბარსა" ჩემპიონთა ლიგას გამოემშვიდობა, თუმცა აპენინელი ოპტიმიზმს ნამითაც არ კარგავს. მას სჯერა, რომ კატალონიური გრანდი წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდება, მომდევნო სეზონში კი ჩემპიონთა თასსაც დაიბრუნებს.**

**- ჯანლუკა, თქვენს გუნდს ეფექტური გოლით დაეხმარეთ. გულწრფელად გეტყვით, რომ ის ძალიან მომეწონა. მგონი, ადრე ასეთი ლამაზი ბურთი არასოდეს გაგიტანიათ...**

- იტალიაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა "ბარის" ღირსებას ვიცავდი არათუ გოლის გატანა, არამედ საგოლე მომენტების შექმნაც კი მიჭირდა. დიახ, ასეთი ბურთი არასოდეს შემიგდია. გამოგიტყდებით, ძალიან გამიხარდა. მთელი დღის განმავლობაში თანაგუნდელებში თავს ვიწონებდი. ყველა ბედნიერი იყო და წარმატებას მილოცავდა. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა.

**- ალბათ, დამეთანხმებით, რომ "ბარსელონაში" განსხვავებული ფეხბურთის თამაში გიწევთ. ახლა უფრო დატვირთული ხართ. ბევრს დარბიხართ და პასუხისმგებლობაც შესაბამისად დიდი გაქვთ...**

- წინა კითხვას დავუბრუნდები და მოგახსენებთ, რომ მუნდიალზე მხოლოდ ერთი გოლის გატანა შევძელი. თუ გახსოვთ, უკრაინის ნაკრების კარი დავლაშქრე. ბარსელონურ თავგადასავალს რაც შეეხება, დიახ, აქ მართლაც დიდი დატვირთვა დამაწვა. მოედნის მთელ სიგრძეზე მოძრაობა მევალება. მწვრთნელი ჩემგან, ფაქტობრივად, ორი კაცის სამუშაოს შესრულებას ითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად რთულია... თუმცა მე ამაზე არ ვფიქრობ. მთავარია, დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შევასრულო. "ბარსელონაში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს.

**- რამდენადაც ვიცით, ბავშვობაში "ბარსას" დიდი გულშემატკივარი იყავით. ახლა კი მის ღირსებას იცავთ. საინტერესოა, მოლოდინი ხომ არ გაგიცრუვდათ? უკვე რამდენიმე თვეა აქ ხართ და შესანიშნავად გაერკვეოდით სიტუაციაში...**

- იმ დროინდელი "ბარსა" პლანეტის ყველაზე სიმპათიურ კლუბად მიმაჩნდა. მომწონდა მისი მაისურის ფერები და დიზაინი. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გამორჩეულად არც ერთ ფეხბურთელს არ ვეთაყვანებოდი. უბრალოდ მთელი გუნდი მიყვარდა. ლაუდრუპის, სტოიჩკოვის, კუმანისა და რომარიოს თამაში განუსაზღვრელ სიამოვნებას მანიჭებდა. მართლაც გენიალური კლუბი იყო. კლუბი, რომლის კეთილდღეობისთვის უამრავი ჩემპიონი იღწვოდა.

**- გავიდა 20 წელი და ჯანლუკა ძამბროტა "ბარსას" ქომაგების ნამდვილი კერპი გახდა. "სარაგოსასთან" სათასო შეხვედრაში ინჩასებს თქვენი სურათი ეკავათ და თქვენს სახელს სკანდირებდნენ. საინტერესოა, ტურინში თუ გაფასებდნენ ასე?**

- გულშემატკივართა დაფასება "დელე ალპიზეც" არ მაკლდა, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ ამხელა სიყვარული იქ არასოდეს მიგრძვნია. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ემოციები დამეუფლა, როცა გავაცნობიერე, რომ ათიათასობით კატალონიელი გულშემატკივარი ჩემს სახელსა და გვარს სკანდირებდა. არადა, მე ხომ იტალიელი ვარ, საკმაოდ შორიდან მოვედი და "ბარსელონის" კანტერაში ერთი დღეც არ გამიტარებია.

**- აქ გატარებული თვეების შემდეგ 10-ბალიანი შეფასებით საკუთარ თავს რამდენ ქულას დაუწერდით? მოკლედ, მაინტერესებს, თქვენი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- თვითკმაყოფილება ჩემი თანამგზავრი არასოდეს ყოფილა. რაც არ უნდა კარგად ვითამაშო, მაინც მეტს მოვითხოვ. ხშირად დავმდგარვარ სარკესთან და ჩემი თავი საყვედურებით ამივსია. შეფასებას რაც შეეხება, ვფიქრობ, 7-8 ქულა ყველაზე ადეკვატური და სამართლიანი იქნება. სხვათა შორის, ადრე ბევრად უფრო ცუდად ვაფასებდი საკუთარ თამაშს. კეკლუცობას არ დავიწყებ, ბოლო წლებში სერიოზულ პროგრესს მივაღწიე. მაგრამ ღრმად მწამს, რომ კიდევ უფრო მეტი შემიძლია. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ესპანური ფეხბურთი ჩემთვის ჯერაც ახალი მოვლენაა. დღემდე მიწევს ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლა. მერწმუნეთ, მომავალ სეზონში ამოცანებს ბევრად უფრო იოლად გავართმევ თავს.

**- როგორ ახსნის მსოფლიო ჩემპიონი ძამბროტა იმ ფაქტს, რომ "ენფილდზე" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში სათადარიგოთა სკამზე იჯექით?**

- ნუ გგონიათ, რომ რაიმე განსაკუთრებული და ჯერ არნახული მოხდა. ეს ხომ ფეხბურთია. ფეხბურთში კი ყველაფერი ხდება. სეზონი იმდენად ხანგრძლივია, რომ ერთი კაცი ყველა მატჩს ვერ ჩაატარებს. "ბარსელონის" ძირითად გუნდში 23 მოთამაშეა. ყველას განსაკუთრებული მისია აკისრია. გულწრფელად მჯერა, რომ უკლებლივ ყველა შესაბამისი და საჭირო მომენტში უნიკალური საქმის გაკეთების უნარიც შესწევს. მთავარია, სათადარიგოთა სკამზე დაჯდომას მშვიდად შეხვდე და სკანდალი არ მოაწყო. არ ვამბობ, რომ იქ ჯდომას უნდა შეეგუო. უბრალოდ, შეუძლებელია, სეზონის მსვლელობისას ძირითადიდან ერთხელ მაინც არ ამოვარდე.

**- რიიკაარდისთვის ახსნა-განმარტებები არ გითხოვიათ?**

- არა, მე სულ სხვა განათლება მაქვს მიღებული. რიიკაარდს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუსვამ კითხვას, თუ ძირითადში თვეების განმავლობაში არ დამაყენებს. დაუშვებელია, რომ ფეხბურთელებმა მწვრთნელი ჭირვეულობითა და ეგოიზმით წნეხის ქვეშ მოვაქციოთ. ეს არავის არგებს, არც რიიკაარდს და არც ჩვენ. ვიმეორებ, "ლივერპულთან" მატჩში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ჩემ ნაცვლად სხვამ ითამაშა.

**- ანუ, ყველა მატჩში მონაწილეობის ილუზია თავიდანვე არ გქონდათ?**

- რა თქმა უნდა, არა. საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ბარსელონაში" მოვხვდებოდი. აქ სრულიად ახალი ატმოსფერო, კულტურა და ტრადიციები დამხვდა. განა გასაკვირია, რომ ამ ყველაფერთან შეგუებას, კონკურენციასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლას დრო სჭირდება? ისე გამოგყავთ, თითქოს სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშე ვიყო (იცინის). არადა, ძველი გვარდიის ბევრი წარმომადგენელი შურით მიყურებს.

**- არა, ბატონო, ნამითაც არ მიფიქრია, რომ სათადარიგოს კაცი ხართ. პირიქით, ძირითად შემადგენლობაში გასაოცრად მოკლე დროში მოიკიდეთ ფეხი. თემა შევცვალოთ. ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვება თქვენთვის უცხო ხილი აშკარად არ არის. ალბათ, უფრო მეტად ჩემპიონთა ლიგაში წარმატება გაგახარებდათ...**

- არ დავმალავ, ლიგიდან გამოვარდნა უმტკივნეულესი დარტყმა იყო. "ბარსელონას" თასის შენარჩუნება ჰქონდა დასახული, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. რა გაეწყობა, ბედს უნდა შევეგუოთ და მომავალი სეზონისთვის მოვემზადოთ. მჯერა, რომ გაისად შეუდარებლად უკეთ ვითამაშებთ და გამარჯვების მეტი შანსიც გვექნება. მთელი სერიოზულობით ვაცხადებ, მომავალ წელს "ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის უპირველესი ფავორიტი იქნება. ვფიქრობ, გავიმარჯვებთ კიდეც.

**- ესე იგი, კატალონიაში რჩებით?**

- რა თქმა უნდა.

**- რომ ამბობენ, ძამბროტას დაბრუნებას "იუვენტუსი" ცდილობსო? ისიც ითქვა, რომ "მილანი" სერიოზულადაა დაინტერესებული. გამოდის, "კალჩოში" არ ბრუნდებით?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონაში" დარჩენა და ტიტულების მოპოვება მსურს. კატალონიურ გრანდთან 2010 წლამდე მაქვს კონტრაქტი გაფორმებული. ვგონებ, წასვლა არ იქნება სწორი გადაწყვეტილება. რა გამოდის, "ბარსელონას" ერთი წლით თავი შევაფარე და გავიქეცი? შარშან არჩევანი გავაკეთე და ეს არჩევანი მხოლოდ ერთ წელს არ უკავშირდებოდა. ძალიან მინდა, "ბარსასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვო.

**- რა გრძნობა დაგეუფლებოდათ, "ბარსელონას" დანიელ ალვეში რომ შეეძინა?**

- ის გენიალური ფეხბურთელია. "სევილიაში" არაერთხელ დაამტკიცა, რომ მის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი შეძენით უბედურად ნამდვილად არ ვიგრძნობდი თავს. ჩვენი გუნდი აშკარად უფრო გაძლიერდებოდა.

**- როცა კონტრაქტი შემოგთავაზეს რიიკაარდმა და ბეგირისტაინმა თუ დააკონკრეტეს რომელ პოზიციაზე სათამაშოდ გამზადებდნენ?**

- არა, მათ არაფერი უთქვამთ. ისედაც ხომ ყველაფერი ნათელი იყო. ყველამ იცის, ძამბროტას რა შეუძლია. კარში ჩასაყენებლად არავინ შემიძენდა (იცინის).

**- გასაგებია, რომ ფლანგის მოთამაშე ხართ. მე მაინტერესებს, ხომ არ უთქვამთ, მარცხენა ფრთისთვის გამზადებდნენ, თუ მარჯვენისთვის?**

- სხვათა შორის, არც ეს დაუკონკრეტებიათ. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ მარჯვნივ და მარცხნივ თანაბარი წარმატებით შემიძლია თამაში.

**- როცა "ბარსა" 3-4-3 ტაქტიკით თამაშობს, ყველაზე მეტად ვის უჭირს?**

- ჩვენი მწვრთნელი ამ ტაქტიკას მაშინ იყენებს, როცა გოლი ჰაერივით გვჭირდება. მაგალითად "ლივერპულთან" მატჩში ნაგებული თამაშის ამოქაჩვა გვმართებდა. ამიტომ ძირითად შემადგენლობაში ეტოო, დეკუ, მესი და რონალდინიო ერთდროულად მოხვდნენ. როცა შეტევას ამხელა ძალას ახმარ, ცხადია, დაცვაში პრობლემები შეგექმნება, მაგრამ აქ გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. გოლი გვჭირდებოდა. სხვათა შორის, "სევილიასთან" შეხვედრაში სხვაგვარი სიტუაცია იყო. ისევ 3-4-3 განლაგებით ვასპარეზობდით, მაგრამ გარემარბები უკანაც ჩამოდიოდნენ და დაცვას ძალიან არ გასჭირვებია.

**- აქაური ვარჯიშები იტალიურისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება?**

- საკმაოდ. სწორედ ამ განსხვავებასთან შეგუებაა ყველაზე დიდი სირთულე, თუმცა გუნდის ინტერესებისთვის რას არ გააკეთებ.

**- რონალდინიოს წინააღმდეგ შეუნიღბავი კამპანია მიმდინარეობს. თქვენთვის ეს გასაკვირი ხომ არ არის?**

- ვინც ამ კამპანიას აწარმოებს, ან იდიოტია, ან უმეცარი. გაუჩოს 17 გოლი აქვს გატანილი. აი, მითხარით, რა აქვთ სალაპარაკო?! არც არაფერი. ასე რომ, მათთვისვე აჯობებს, ენა ჩაიგდონ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ძამბროტას გოლი რეკრეატივოს კარში



რომარიო

ვეტერანი

# რომარიო 998

## ვასკოელმა ვეტერანმა პელეს ერთ კომპონენტში გაუსწრო და მეორეში წამოეწია...

**რომარიომ** ჰეთ თრიკი შეასრულა და 998 გოლამდე ავიდა. კარიოკის შტატის ჩემპიონატის მორიგ ტურში, "ვასკო და გამამ" მოკრძალებულ "ბოავიშტას" 6:2 გადაურბინა. 41 წლის თავდამსხმელმა სამი გოლი მეორე ტაიმის 20-წუთიან მონაკვეთში შეაგდო. *"მე პასუხს ვცემ მათ, ვინც ჩემს კარიერას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ თვლიდა დასრულებულად. ცოტაც და მეორე ფეხბურთელი გავხდები, რომელიც მე-1 000 გოლს გაიტანს,"* - თქვა რომარიომ ნამატჩევს.

პირველი **პელე** იყო. მას ეს ნიშნული 1969 წელს გადალახა. ოფიციალური ინფორმაციით, პელეს აქტივში 1 282 გოლია. ნათელია, რომ რომარიოს მასთან გათანაბრების თეორიული შანსიც კი არ აქვს. რომარიოს გოლები მოიცავს ახალგაზრდულ ნაკრებებსა და ამხანაგურ მატჩებში გატანილ გოლებს. პელეს მონაგარშიც ბევრია ისეთი გოლი, რომელსაც დღეს სათვალავს აღარ მიათვლიდნენ. ბრაზილიელ სტატისტიკოსთა აზრით, რომარიომ პელეს ერთ კომპონენტში უკვე გაუსწრო. ესაა ოფიციალურ მატჩებში გატანილი გოლების რაოდენობა. პელეს ასეთი 764 გოლი მოეპოვება. რომარიომ კი შაბათის შემდეგ 765 ბურთი დააგროვა. ამავე დროს, რომარიო სახელოვან თანამემამულეს ეროვნულ და შტატების ჩემპიონატებში გატანილი გოლებით გაუთანაბრდა - 541.

"ვასკო" მორიგ მატჩს ხვალ, ბრაზილიის თასზე, "ბრაზილიენსესთან" ჩაატარებს, მომდევნო უქმეებზე კი დაუძინებელ მტერ და რომარიოს ერთ-ერთ ყოფილ კლუბ "ფლამენგოს" შეხვდებიან. სავსებით შესაძლებელია, მე-1 000 გოლი ამ თამაშში გამოცხვეს. რომარიო კარიოკის შტატის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია - 6 მატჩში მას 9 გოლი აქვს გატანილი.

## უოლკოტმა სეზონი დაასრულა

**თეო უოლკოტმა** სეზონი დაასრულა. "არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ეს ინფორმაცია "ევერტონთან" ნამატჩევს (0:1) გაავრცელა. უოლკოტმა ლივერპულში მხოლოდ ათი წუთი ითამაშა. მას მხარის ტრავმა აწუხებს. ექიმებმა კი ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. თავდამსხმელი მინდორს მხოლოდ მომავალ სეზონში დაუბრუნდება. ვენგერის თქმით, მტკივანი მხარით, უოლკოტი შესაძლებლობების მხოლოდ 50 პროცენტს ავლენდა.

## სუაზო სევილიაში?

"კალიარის" ვარსკვლავი **დავიდ სუაზო**, შეიძლება, სევილიაში აღმოჩნდეს. ჰონდურასელი თავდამსხმელის სანაცვლოდ ანდალუსიელები 8 მილიონ გირვანქას ამზადებენ. სუაზოს "ინტერი" და "რეალიც" აკვირდებიან. იანვრის ტრანსფერებისას სამეფო კლუბმა კალიარელებს გარიგებაც შესთავაზა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. სარდინიელთა პრეზიდენტი მასიმო ჩელინო ამბობს, რომ მორიგი სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ფეხბურთელის ტრანსფერს ხელს აღარ შეუშლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი





ნეპტუნასი-ტარტუ როკი. სერგო ათუაშვილი და გიორგი ცინცაძე

ლეგიონერები. მიმოხილვა

## ცინცაძე vs ათუაშვილი

ბალტიის თასზე "ნევეჟისმა", "როკმა" და "ნეპტუნასმა" ერთმანეთში არაერთი მატჩი გამართეს, მაგრამ ხან ერთ გუნდს აკლდა ქართველი, ხან მეორეს და ხანაც მესამეს. გასულ შაბათამდე ბალტიისპირეთში ქართულ დუელს ამაოდ ველოდით. ბოლოს და ბოლოს, 17 მარტს "ნეპტუნასი"-"როკის" დაპირისპირებაში **გიორგი ცინცაძემაც** ითამაშა და **სერგო ათუაშვილმაც**. თავი არც ერთს შეურცხვენია. როკერმა გიორგიმ 25 წუთში 17 ქულა ჩააგდო (9-დან 6 ორქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო). ხოლო სერგომ 6 წუთში ორივე ორქულიანი გამოიყენა, ზედ ჯარიმაც მიამატა და 5 ქულას მოუყარა თავი. გუნდურ ჭიდილში მასპინძელმა ათუაშვილის "ნეპტუნასმა" იმარჯვა და "როკს" ზედიზედ მეოთხე მარცხი აგემა - 104:81.

ბალტიის თასი. 14 ტურის შემდეგ. 1. ლიეპაია (ლატვია) -10 მოგება, **2. როკი (ესტონეთი) - 9** / 3. კალევი (ესტონეთი) - 8, **4. ნევეჟისი (ლიტვა) -8, 5. ნეპტუნასი (ლიტვა) - 6**, 6. საკალაი (ლიტვა) - 5, 7. პანევეჟისი (ლიტვა)-4, 8. ატლეტასი (ლიტვა)-2.

### ესპანეთი

"ესტუდიანტესმა" ნაოპერაციები **ვიქტორ სანიკიძის** გარეშე რომ ითამაშა, გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ. ქართველი ფორვარდი მოედანს 3-4 კვირაში დაუბრუნდება. ამასობაში ნიკა ცქიტიშვილის "კახამ" კანარის კუნძულებზე წააგო. ისევე როგორც დანარჩენ სევილიელებს, თავი არც ცქიტოს გამოუჩენია.

ესპანეთის ჩემპიონატი. 25-ე ტური. 1. რეალი-19 მოგება, 2. ტაუ-19, 3. ხირონა-17, 4. ბარსელონა-16, 5. ხუვენტუდი-15, 6. უნიკახა-14, 7. გრან კანარია-14, 8. ვალენსია-13, **9. კახა-12, 10. ესტუდიანტესი-12**, 11. ფუენლაბრადა-11, 12. გრანადა-11, 13. მურსია-10, 14. ალიკანტე-10, 15. ბილბაო-9, 16. ბრუესა-8, 17. ვალიადოლიდი-8, 18. მენორკა-7.

### იტალია

ვლადიმერ ბორისას თანაგუნდელებისთვის "რომა" იგივეა, რაც ქართველი ბავშვებისთვის ბუა. "მონტეპასკი" შარშან სერია A-ს მეოთხედფინალიდან სწორედ დედაქალაქელებმა გამოთიშეს. იგივე განმეორდა იტალიის თასზეც და... რეგულარულ პირველობაზე "რომამ" სიენელთა წაუგებელ სერიას კვირას დაუსვა წერტილი - 84:82.

ვოვა ბორისამ მხოლოდ 9 წუთი ითამაშა.

იტალიის ჩემპიონატი. 23 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 19 მოგება**, 2. ვიდივიჩი - 16, 3. მილანი -15, 4. ბენეტონი -14, 5. რომა - 14, **6.** ვარეზე -13, **7. ნაპოლი -12**, 8. პრემიატა -12, 9. კანტუ-12, 10. უპეა-11, 11. სკაფატი-11, 12. კლიმამიო -11, 13. ბიელა -11, 14. უდინე - 10, 15. სივილია - 8, 16. აველინო - 7, 17. რეჯო ემილია - 6, 18. ლივორნო - 5.

### ადრიატიკა

მანუჩარ მარკოიშვილის "ოლიმპიამ" ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში პირველადგილოსან "რაბოტნიჩკის" უმასპინძლა და ისეთი შედეგი დაფიქსირდა, ლიდერ-აუტსაიდერის შეხვედრას რომ ეკადრება. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ მანუმ კვლავ დამაჯერებლად ითამაშა - 12 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

ადრიატიკის თასი. 25 ტურის შემდეგ. 1. რაბოტნიჩკი (სერბეთი) -20 მოგება, 2. პარტიზანი (სერბეთი) -19, 3. ციბონა (ხორვატია) -19, 4. ჰემოფარმი (სერბეთი)-18 / 5. ბუდუჩნოსტი (სერბეთი)-15, 6. ზადარი (ხორვატია)-14, 7. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-14, **8.** ჰელიოსი (სლოვენია)-13, 9. **ოლიმპია (სლოვენია)-12,** 10. ბოსნა (ბოსნია)-9, 11. შიროკი (ბოსნია)-9, 12. ზაგრები (ხორვატია)-8, 13. სლოვანი (სლოვენია)-3, 14. სპლიტი (ხორვატია)-2.

### საფრანგეთი

ტრავმამოშუშებული **ვატო ნაცვლიშვილის** მსგავსად არასტაბილურია "დიჟონიც", რომელმაც წინა ტურში გასვლით შეხვედრაში ძლიერი მეტოქე დაამარცხა, ხოლო შაბათს ბოლოადგილოსან "რეიმსთან" შინ 64:68 დათმო.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 25-ე ტური. 1. ნანსი-18 მოგება, 2. რონი-17, 3. შალონი-17, 4. სტრასბური-16, 5. ორლეანი-15, 6. პო ორტეზი-14, 7. ლე მანი-14, 8. შოლე-14, 9. დიჟონი-13, 10. ვილერბანი-13, 11. გრავლენი-13, 12. ლე ავრი-12, 13. პარიზი-12, 14. კლერმონი-10, 15. ტულონი-9, 16. ბეზანსონი-8, 17. ბურჟი-6, 18. რეიმსი-4.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 13.03 | ატლანტა-ფილადელფია 104:92 | 26 | 10 | 2 | 0 | 15 |
| | | 14.02 | ბოსტონი-ატლანტა 109:88 | 24 | 9 | 1 | 3 | 5 |
| | | 17.03 | ინდიანა-ატლანტა 113:90 | 25 | 7 | 0 | 0 | 16 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 17.03 | ესტუდიანტესი-ბილბაო 94:86 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 18.03 | გრან კანარია-კახა 89:67 | 14 | 3 | 1 | 1 | 2 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ) | 17.03 | დიჟონი-რეიმსი 64:68 | 9 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ვლადიმერ ბორისა | იტალია (ჩ.) | 18.03 | რომა-მონტეპასკი 84:82 | 9 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 18.03 | ნაპოლი-ვირტუსი 69:80 | 32 | 2 | 1 | 0 | 14 |
| მანუ მარკოიშვილი | ადრიატიკა | 16.03 | ოლიმპია-რაბოტნიჩკი 59:77 | 39 | 4 | 4 | 3 | 12 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 13.03 | როკი-კალევი 71:77 | 20 | 3 | 2 | 2 | 9 |
| | ბალტიის თასი | 17.03 | ნეპტუნასი-როკი 104:81 | 25 | 1 | 3 | 3 | 17 |
| სერგო ათუაშვილი | ბალტიის თასი | 13.02 | პანევეჟისი-ნეპტუნასი 85:84 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 |
| | ლიტვა (ჩ.) | 17.03 | ნეპტუნასი-როკი 104:81 | 6 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ტატო ვაშაკიძე | ბალტიის თასი | 13.03 | ნევეჟისი-საკალაი 89:80 | 6 | 0 | 2 | 1 | 2 |
| | ბალტიის თასი | 17.03 | ნევეჟისი-ვალმიერა 89:96 | 11 | 0 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 14.03 | ასკ-ფალკო 78:63 | 33 | 6 | 5 | 0 | 9 |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (II ლიგა.) | 17.03 | აკადემია-პუნტუკასი 88:76 | 21 | 7 | 1 | 1 | 5 |

## ვარსკვლავები არჩევით

"28 აპრილს ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში რიგით მეოთხე ვარსკვლავთა მატჩი გაიმართება. ამ შეხვედრისთვის კალათბურთელები ინტერნეტგამოკითხვის შედეგად შეირჩევიან. დღეიდან საიტზე www.superleague.ge ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება სასურველ მოთამაშეს ერთი კომპიუტერიდან დღეში ერთხელ მისცეს ხმა. დღეში ერთხელ ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნდება გამოკითხვის შუალედური შედეგები". - გუშინ კაფე "მსოფილო სპორტში" "ოლ სტარისადმი" მიძღვნილი პრესკონფერენცია კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გახსნა.

საუბარი სუპერლიგის მენეჯერმა **ნიკა ხომასურიძემ** განაგრძო: "28 აპრილს მაყურებელს საინტერესო სანახაობას ვპირდებით. გარდა იმისა, რომ ვარსკვლავთა მატჩი თავისთავად თვალსასეირო უნდა იყოს, ვგეგმავთ სხვადასხვა გათამაშებებს და ვიმედოვნებ, რომ მაყურებელი შოუთი კმაყოფილი დარჩება. ზემოთ დასახელებულ ვებგვერდზე შეგიძლიათ მოგვმართოთ შენიშვნებით და პროექტებით. საინტერესო წინადადებებზე რეაგირებაც შესაბამისი იქნება".

ვარსკვლავთა მატჩი 28 აპრილს, 15 საათზე დაიწყება. პირველ გუნდს **დავით უსტიაშვილი** უხელმძღვანელებს, მეორეს - **ლევან მოსეშვილი**.

მოეწყობა კონკურსი ჩატენვებში, სამქულიანებსა და წინალობების დაძლევაში. ამ სახალისო შეჯიბრებების მონაწილეთა ვინაობას ქვემოთ გაეცნობით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ოლ სტარის კანდიდატები

#### აზოტი-დინამო-მაკაბი

უკანა ხაზი: **ლაშა გამყრელიძე** (აზოტი), **კოტე ტულუში** (აზოტი), **რამაზ გოგობერიშვილი** (აზოტი), **ზურაბ ბადრიძე** (დინამო), **გიორგი გულისაბედაშვილი** (დინამო), **ლექსო ლაფანაშვილი** (დინამო), **გიორგი დოლიძე** (მაკაბი).

ფორვარდები: **ანატოლი ბორისა** (აზოტი), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი), **ვლადიმერ ბეჟანიშვილი** (აზოტი), **ჟულიენ ტუჯანი** (აზოტი), **ლაშა კეშელავა** (დინამო), **დავით გვიმრაძე** (დინამო), **რევაზ დიდია** (აზოტი).

ცენტრები: **დავით უგრეხელიძე** (აზოტი), **გიორგი შერმადინი** (მაკაბი), **ვიქტორ კოლუაშვილი** (დინამო).

#### ავიამშენი-თსუ-სტუ

უკანა ხაზი: **ირაკლი ბერიშვილი** (თბილავიამშენი), **დავით ბერიშვილი** (თბილავიამშენი), **ირაკლი ხოშტარია** (თბილავიამშენი), **გიორგი ნიკოლაძე** (თბილავიამშენი), **ბესიკ ლეჟავა** (თსუ), **ბუბა ბერიშვილი** (თსუ), **ნოდარ ბერაია** (სტუ).

ფორვარდები: **შიო ხეცურიანი** (თსუ), **ზვიად ბაბიაშვილი** (თბილავიამშენი), **მიხეილ ბერიშვილი** (თსუ), **ლუკა შანიძე** (თსუ), **ირაკლი კეიდია** (თბილავიამშენი), **დავით იმნაძე** (თსუ), **გიგი ბარბაქაძე** (სტუ).

ცენტრები: **პლასიდე როდუმტა** (თბილავიამშენი), **რიჩარდ მათიაშვილი** (თსუ), **ლუკა ნოზაძე** (სტუ).

#### ბურთის ჩაგდება

**მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ), **ჟულიენ ტუჯანი** (აზოტი), **ანატოლი ბორისა** (აზოტი), **გიგი ბარბაქაძე** (სტუ).

#### სამქულიანები

**დავით ბერიშვილი** (ავიამშენი), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი), **ნოდარ ბერაია** (სტუ), **ზურაბ კორკოტაძე** (მაკაბი), **კოტე ტულუში** (აზოტი).

#### წინაღობების დაძლევა

**დავით არწივიძე** (თსუ), **ლაშა გამყრელიძე** (აზოტი), **გიორგი ნიკოლაძე** (ავიამშენი), **ირაკლი ბერიშვილი** (ავიამშენი).



პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მშვიდობით დაგვიბრუნდნენ

1992 წელს დაბადებულთა საქართველოს ნაკრებმა თურქული შეკრება იტუ-ს (სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი) ძლევით დაასრულა - 68:64. თუმცა ერთი დღით ადრე "გალათასარაის" 91-იანთა გუნდთან 6 ქულის სხვაობით დათმო - 67:73. მატჩების სტატისტიკას ბოლოში გაეცნობით, აქ კი გეტყვით, რომ კადეტები მეზობელი ქვეყნიდან სამშობლოში უკვე დაბრუნდნენ და დღეს 13 საათზე "აკადემიის" დარბაზში ღია ვარჯიშს გამართავენ.

თურქული შეკრებით კმაყოფილი ჩანს ნაკრების მეორე მწვრთნელი **გია კაზანჯიანი**: *"ტურნემ კარგად ჩაიარა. მასპინძლობით კმაყოფილნი დავრჩით. ხოლო სპორტულ მხარეს რაც შეეხება, აღვნიშნავ, რომ სტამბოლში გამართულმა ოთხმა მატჩმა ნათლად გვიჩვენა ჩვენი ნაკრების სუსტი მხარეები, რაზეც სამწვრთნელო შტაბი გულდასმით იმუშავებს".*

#### გალათასარაი-საქართველო 73:67

საქართველო: **ბოქოლიშვილი (21 ქ), მალრაძე (9), ჯავახიშვილი (9), ჩეჩელაშვილი (7), მამალაძე (5), გურაბანიძე (5), მირიანაშვილი (4), ჩერქეზიშვილი (3), ტეტელაშვილი (2), თენეიშვილი (2).**

#### იტუ-საქართველო 64:68

საქართველო: **ბოქოლიშვილი (23), გურაბანიძე (15), მამალაძე (7), მალრაძე (7), ჯავახიშვილი (7), მირიანაშვილი (4), თენეიშვილი (3), კაკაურიძე (2).**



რამაზ მანაგაძე და ვლადიმერ უგრეხელიძე

## ვეტერანი ქარიშხალადან

20 მარტს **რამაზ მანაგაძეს** 65 წელი უსრულდება. სიმბოლურია, რომ ჩვენს მეგობრობასაც ზუსტად ნახევარი საუკუნე უსრულდება. დიახ, ჩვენი მეგობრობა დაიწყო 50 წლის წინ, როცა ნეტარხსენებული გიორგი ავალიშვილის მიერ თბილისის "დინამოს" დიდ გუნდში მიწვეულები ვალერი ალთაბაევი და მე დაგვამატეს და ამით გააძლიერეს თბილისის "ნორჩი დინამოელის" გუნდი, რომელმაც 1957 წელს ვილნიუსში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა დიდ საკავშირო ტურნირში. გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო ხელბურთში ცნობილი მეკარის ჯემალ აბაიშვილის მამა ბატონი ევგენი. სწორედ ამ გუნდში დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც შემდეგში გაგრძელდა თბილისის "ქარიშხალას" ლეგენდარულ გუნდში თითქმის მთელი 10 წელიწადი და შემდეგ მთელი ცხოვრება.

იყო თუ არა თბილისის "ბურევესტნიკი" ლეგენდარული გუნდი? ჩემი აზრით, იყო. როცა გუნდი არაერთგზის მოუგებს ისეთ გრანდებს, როგორებიც იყვნენ რიგის ასკ, თბილისის "დინამო", კაუნასის "ჟალგირისი" და მოსკოვის ცსკ, ალბათ, თვითონაც იმსახურებს ლეგენდარულის ტიტულს, თანაც ორმეტრიანი კალათბურთელი რომ გვყავდა სანატრელი!

განა არ იყო ლეგენდა, როცა რიგაში დავამარცხეთ ევროპის სამგზის და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი რიგის ასკ, მართლაც ლეგენდარული გუნდი, რომელსაც თავის მოედანზე 5 წლის განმავლობაში თამაში არ ჰქონდა წაგებული! მაშინ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი 5 კალათბურთელი, ამ ნაკრების კაპიტნის მაიგონის ვალდმანისის ხელმძღვანელობით და ევროპის მაშინდელი ყველაზე მაღალი კალათბურთელი იანის კრუმინში. სწორედ ამ გიგანტის ნეიტრალიზება მოუწია მასთან შედარებით ტანმორჩილსა და სრულიად ახალგაზრდა რამაზ მანაგაძეს და რამაზმაც შეუძლებელი შეძლო - თითქმის გამოთიშა თამაშიდან დიდი იანი!

დიახ, თბილისის "ბურევესტნიკმა" მეტეორივით გაიელვა და მეტეორივით ჩაქრა. ამ გაელვებაში კი ელვარე წვლილი მიუძღვის რამაზ მანაგაძეს თავისი თავდაუზოგავი, მაღალტექნიკური და მოაზროვნე, ჭკვიანური თამაშით. გამოირჩეოდა კარგი სნაიპერული სროლებით საშუალო დისტანციებიდან და, რაც მთავარია, საიმედო და შეუვალი დაცვით. რასაც არაპროფესიონალი მაყურებელი, სამწუხაროდ, ნაკლებად ამჩნევს და აფასებს. მოედანზე რამაზის ვაჟკაცობას ზოგჯერ საზღვარი არ ჰქონდა. კაუნასში ერთხელ ფეხის ფალანგის 2 ძვალი გაუტყდა. თამაში მაინც არ დატოვა და მთელი მეორე ტაიმი ტრავმირებულმა ითამაშა. მეორე დღეს კი ფეხი გაუსივდა.

1963, 1964 და 1965 წლებში ჩვენ თბილისის "ბურევესტნიკის" შემადგენლობაში სამჯერ გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სტუდენტთა შორის, ხოლო 1964 და 1965 წლებში ასევე ერთად ვიყავით მიწვეულები საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებში.

მას შემდეგ რაც კალათბურთიდან ღირსეულად წავიდა, 1970 წლიდან თავისი სპეციალობით, როგორც ინჟინერ-ტექნოლოგი, შეუდგა საქმიანობას რძის მრეწველობაში. ყველას უყვარდა და პატივს სცემდა.

ვაჟკაცობა არასდროს აკლდა რამაზს. მარტო ის რად ღირს, რომ მტკვარზე ორი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი. ერთხელ წყალდიდობისას, მაისში და მეორედ, თებერვალში ყინვის დროს!

რამაზ მანაგაძე ბრწყინვალე პიროვნებაა ყველა იმ ნიშნით, რაც ქართველს ამშვენებს.

მეგობრების და თაყვანისმცემლების სახელით გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო რამაზ!

**ანზორ საკანდელიძე**

**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ულოცავს რამაზ მანაგაძეს 65 წლის იუბილეს და ჯანმრთელობას უსურვებს გამოჩენილ ქართველ ვეტერან მოთამაშეს.**

**საქართველოს სამბოს სამყარო დაბადების დღეს ულოცავს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი გოგუაძეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი



ბაადურ ჯობავა

საქართველოს ჩემპიონატი

# ფავორიტი წინ გავიდა

კვირას ტურნირის მონაწილეებმა დაისვენეს და ორშაბათს მეხუთე ტურის შეხვედრები გამართეს. ცენტრალურად ბაადურ ჯობავასა და ლევან ფანცულაიას შეხვედრა ითვლებოდა. ორივე ახალგაზრდა და ამბიციური მოჭადრაკეა. მათ საჭადრაკო სამყაროშიც უკვე აქვთ საკუთარი ადგილი მოპოვებული, თუმცა ჯობავას უფრო მეტისთვის მიუღწევია. თეთრებით ბაადური თამაშობდა, რაც კიდევ მეტად ზრდიდა მის შანსებს.

საერთოდ, ტურმა ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. საკუთარ მოსაზრებას საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი გვიზიარებს:

- ჯობავა-ფანცულაიას შეხვედრაში, მოლოდინისამებრ, ძალიან რთული ბრძოლა ვიხილეთ - შეტევის ორმხრივი შესაძლებლობები ჩანდა დებიუტის შემდეგ, თუმცა მიტელშპილში ოდნავი უპირატესობის მოპოვება შეძლო ბაადურმა და პაიკიც მოიგო. მაინც ვთვლი, რომ იმ მომენტისთვის ჯობავას გამარჯვება არ იყო გამოკვეთილი, - ანუ ფანცულაიას თავის დაცვა შეეძლო. თუმცა პარტიის ბოლოსკენ ლევანი შეცდა, ჯობავამ მშვენიერი ტაქტიკური მანევრი განახორციელა, რის შედეგადაც გამარჯვება მოიპოვა. ბაადურმა კვლავ დაამტკიცა საკუთარი ამბიციების მართებულობა და უპირველეს ფავორიტად იქცა.

მისი მეტოქე ტურნირზე მრავლადაა და ერთ-ერთი მათგანია მერაბ გაგუნაშვილი, მაგრამ მან გუშინ მოულოდნელად თეთრებით მარცხი განიცადა გაიოზ ნიგალიძესთან. მარცხის მიზეზად გაგუნაშვილის პასიური თამაში მიმაჩნია, - ლაზიერის გამბიტი გათამაშდა და რახან მერაბი თეთრებით იყო, მეტი აგრესიულობა მართებდა. ასე არ გააკეთა, რითიც მშვენივრად ისარგებლა ნიგალიძემ და თანმიმდევრობით შეიქმნა უკეთესი პირობები; ბოლოს კი მოიგო. გაიოზი ნიჭიერი მოჭადრაკეა და თუ ასე გააგრძელა, კარგ შედეგს მიაღწევს.

სხვა პარტიების შესახებაც შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ყველას ერთი განსაზღვრება მიესადაგება - ძალიან დაძაბული და თანაბარი ბრძოლები მიმდინარეობს, რისი შედეგიც არის ყაიმები. ამ მიზეზით ვერ იმარჯვა მიხეილ მჭედლიშვილმა, რომელიც შავებით ლევან აროშიძეს ხვდებოდა და ამ წყვილში ფავორიტად ითვლებოდა; ასევე ქულა გაიყო გიორგი ყაჭეიშვილმა - მანაც შავებით დავით არუთინიანს ვერ მოუგო; გია გიორგაძემაც ქულის გაყოფით დაასრულა შეხვედრა თამაზ გელაშვილთან. თეთრებით გიორგაძე თამაშობდა.

ჩვენი მხრივ შეგვიძლია დავძინოთ, რომ უფრო მეტს ველოდით ზოგიერთისგან. - არაფერს ვამბობთ აუტსაიდერ პარმენ გელაზონიაზე, რომელმაც მეხუთე პარტიაშიც იგემა მარცხის სიმწარე და ნული ქულა აქვს. თუნდაც ფავორიტების თამაში ტოვებს უკმაყოფილების გრძნობას - თამაზ გელაშვილი 1,5 ქულით ერთ-ერთი აუტსაიდერია, გია გიორგაძეს კი საოცარი სერია აქვს - 5 ყაიმი ზედიზედ. ჯერჯერობით ტურნირის ყველაზე საინტერესო აღმოჩენა 18 წლის ბათუმელი გაიოზ ნიგალიძეა, რომელმაც 3 ქულით ლიდერებს შორის დაიმკვიდრა ადგილი; ბაადურ ჯობავას შეუპოვარ ხასიათზე კი ზედმეტი საუბარი ფუჭია - იგი ისე ირჯება, როგორც რეიტინგ ფავორიტს და ქვეყნის პირველ მოჭადრაკეს ეკადრება...

**ზვიად შათირიშვილი**

**მეხუთე ტური:** ბაადურ ჯობავა (2650)-ლევან ფანცულაია (2611) 1:0; პარმენ გელაზონია (2268)-შოთა აზალაძე (2332) 0:1; ლევან აროშიძე (2531)-მიხეილ მჭედლიშვილი (2583) 0.5:0.5; დავით არუთინიანი (2552)-გიორგი ყაჭეიშვილი (2587) 0.5:0.5; მერაბ გაგუნაშვილი (2611)-გაიოზ ნიგალიძე (2224) 0:1; გია გიორგაძე (2610)-თამაზ გელაშვილი (2612) 0.5:0.5

| | |
|---|---|
| ბაადურ ჯობავა | - 4.0 |
| მიხეილ მჭედლიშვილი | - 3.5 |
| გაიოზ ნიგალიძე | - 3.0 |
| ლევან ფანცულაია | - 3.0 |
| მერაბ გაგუნაშვილი | - 3.0 |
| გიორგი ყაჭეიშვილი | - 3.0 |
| გია გიორგაძე | - 2.5 |
| დავით არუთინიანი | - 2.5 |
| ლევან აროშიძე | - 2.5 |
| შოთა აზალაძე | -1.5 |
| თამაზ გელაშვილი | -1.5 |
| პარმენ გელაზონია | -0. 0 |

**მეექვსე ტურში:** ფანცულაია (2611)-არუთინიანი (2552); აზალაძე (2332)-ჯობავა (2650); აროშიძე (2531)- გელაზონია (2268); ყაჭეიშვილი (2587)-გაგუნაშვილი (2611); ნიგალიძე (2224)- გიორგაძე (2610); მჭედლიშვილი (2583)- გელაშვილი (2612)

## სუმო



კოკაის მეექვსე მოგება, ივაკიამასთან

# შვიდი ორთან

მარტის ბაშოზე ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ **კოკაი (ლევან ცაგურია)** ხუთ სუმოისტთან ერთად (რომელთა შორის თითო იოკოძუნა, ოძეკი და სეკივაკეა) წინ გაჭრილ მონღოლ **ჰაკუჰოს** კვალში უდგას. 21 წლის ჰაკუჰო ერთადერთია, რომელმაც უკვე გაინაღდა დადებითი ბალანსი, თუმცა ეს არ იყო ახალგაზრდა ოძეკის პროგრამა-მაქსიმუმი, ისევე როგორც კოკაისთვის, რომელსაც დადებითი ბალანსის დაბევება დღესვე შეუძლია.

გუშინ ოსაკას გიმნაზიუმში ქართველმა ფალავანმა მეხუთე მაეგაშირა **ტამაკასუგა** ოშიტაოშით დაამარცხა, რითაც მას მომავალ რეიტინგში დაქვეითება გამოუწერა (ტამაკასუგასთვის ეს მერვე მარცხი აღმოჩნდა). თხუთმეტწამიანი ჯაჯგურის შემდეგ კოკაიმ 35 წლის ექსსეკივაკე დოჰიოზე დაანარცხა. დღეს კოკაი მეექვსე მაეგაშირა **კაკიძოეს** ხვდება - მეტოქე სერიოზული რიკიშია, მას 5-4 ბალანსი აქვს. ურთიერთშეხვედრებში კოკაი 5:4 იგებს. თუკი ქართველი იმარჯვებს, მას უფრო სერიოზული მიზნისთვის ბრძოლა შეეძლება - აქამდე მისი რეკორდი 10 მოგებაა ბაშოზე.

მაკუშიტას დივიზიონში დასანანი მარცხი იწვნია ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე), რომელმაც იორიკირით ტოკიტაირიუსთან წააგო. ტოჩინოშინს (4-1) დივიზიონის მოგების შანსი აღარა აქვს, თუმცა დადებითი ბალანსი და რეიტინგში წინსვლა უკვე გაინაღდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ჰარუ ბაშო

**მარტის სუპერტურნირი**

11-25 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**IX დღე.:** კოკაი - ტამაკასუგა 1:0 (ოშიტაოში, 16,1 წამი), ასაშორიუ - კოტოშოგიკუ 1:0, კოტოოშუ - კაიო 1:0, ჰაკუჰო - ტოჩიაძუმა 1:0, ტოიონოშიმა - ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი - კიოკუტენჰო 1:0, ასასეკირიუ - ამა 1:0, ტოკიტენკუ - კასუგაო 1:0, კისენოსატო - ფუტენო 1:0, ტაკეკაძე - კაკიძოე 1:0, ჰომაშო - ტაკამისაკარი 1:0, ამინიშიკი - როჰო 1:0, კაკურიუ - დეჯიმა 1:0, ტოჩიოძანი - ტამანოშიმა 1:0, ტოჩინონადა - იოშიკაძე 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა.** 8-1: ჰაკუჰო (ოძეკი); 7-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ტოჩიაძუმა (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ჰომაშო (მაეგაშირა 5), კოკაი (მ 7), ტოჩიოძანი (მ 14).

**X დღე:** კოკაი - კაკიძოე, ასაშორიუ - კოტომიცუკი, ტოჩიაძუმა - კასუგაო, ჩიოტაიკაი - ტოკიტენკუ, კაიო - ჰაკუჰო, კოტოოშუ - ჰომაშო, კოტოშოგიკუ - კიოკუტენჰო, ამა - ფუტენო, კისენოსატო - ტოიონოშიმა, ასასეკირიუ - ტამაკასუგა, ტაკამისაკარი - ტაკეკაძე, დეჯიმა - როჰო, ტამანოშიმა - ივაკიამა, ტოჩიოძანი - ამინიშიკი, შიმოტორი - ტოჩინონადა

## რაგბი

კლასიფიკაცია

# ორით უკან

ესპანეთში ერთა თასის მატჩში 17:31 მარცხი საქართველოს ნაკრების რეიტინგზე უმალ აისახა, "ბორჯღალოსნებმა" დაკარგეს მე-15 პოზიცია და ორი საფეხურით დაქვეითდნენ. ესპანელებმა ამით რეიტინგში ქულები მოიმატეს, მაგრამ წინ ვერ წაიწიეს, ისინი კვლავ 25-ეზე დარჩნენ. საქართველოს ნაკრებს 65.18 ქულა აქვს, ჩვენ წინ ტონგაა (66,66), რომელსაც იმ შემთხვევაშიც ვერ დავეწევით, თუ რუსებს 24 მარტს 15 ქულაზე მეტით ვაჯობებთ.

| IRB-ის რეიტინგი. ზედა 25 | |
|---|---|
| 1. ახ. ზელანდია | 94,59 |
| 2. საფრანგეთი | 85,66 |
| 3. ავსტრალია | 85,55 |
| 4 (+1). ირლანდია | 85,31 |
| 5 (-1). ს. აფრიკა | 84,71 |
| 6 (+1). არგენტინა | 79,61 |
| 7 (-1). ინგლისი | 79,35 |
| 8 (+1). უელსი | 76,26 |
| 9 (-1). იტალია | 75,39 |
| 10. შოტლანდია | 73,94 |
| 11. სამოა | 73,86 |
| 12. ფიჯი | 73,15 |
| 13. აშშ | 68,73 |
| 14. კანადა | 68,52 |
| 15 (+1). რუმინეთი | 66,79 |
| 16 (+1). ტონგა | 66,66 |
| 17 (-2). საქართველო | 65,18 |
| 18. იაპონია | 64,95 |
| 19. რუსეთი | 63,98 |
| 20. პორტუგალია | 63,43 |
| 21. ურუგვაი | 62,67 |
| 22. კორეა | 59,55 |
| 23. ნამიბია | 59,29 |
| 24. ჩილე | 59,27 |
| 25. ესპანეთი | 58,18 |

## თავისუფალი ჭიდაობა

# რიგაში გაირკვეოდა

ამ უქმეებზე რიგაში დამთავრდა ფრეინდელფელდის სახელობის ტურნირი ახალგაზრდებში, რომელშიც დიდი წარმატებით იჭიდავა ჩვენმა ნაკრებმა. ჩვენმა სპორტსმენებმა 14-გუნდა შეჯიბრებაში 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რისი დამსახურებით პირველობა არც გუნდურში დაუთმეს ვინმეს.

რიგაში ჩემპიონები **მურთაზ კვესაძე** (55), **ბექა ჭელიძე** (84) და **გიორგი ნიკურაძე** (მძიმე) გახდნენ. **გიორგი ჩიქოვანი** (96) ფინალში დამარცხდა, ბრინჯაოს მედლები კი **გიორგი ედიშერაშვილმა** (55), **გიგლა მაყიშვილმა** (60), **ნიკოლოზ რეხვიაშვილმა** (66) და **გოჩა ლომთათიძემ** (74) მოიპოვეს.

საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ეს ტურნირი მეორე შესარჩევი ეტაპია ივნის-ივლისის მიჯნაზე ბელგრადში გასამართი ევროპის პირველობისთვის. რამდენიმე წონაში ლიდერის ვინაობა თითქმის გარკვეულია, მაგრამ ბევრგან კონკურენცია ისევ გრძელდება და ახალგაზრდულის თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ლატვიაში ყველა კონკურენტი იახლა. გუნდი ჯერ არ დაბრუნებულა და ვერ გეტყვით, რას ფიქრობს მწვრთნელი ამა თუ იმ წონაზე, მაგრამ შესაძლოა, ზოგან ყველაფერი გარკვეულიყო. მაგალითად, 55-ში კვესაძემ საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც დაამარცხა ედიშერაშვილი და ახლაც აჯობა.

მწვრთნელი ალბათ ჭელიძის გამოსვლითაც კმაყოფილი დარჩება და შეიყვანს კიდეც ნაკრებში. წლეულს ჭელიძეც საქართველოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ მწვრთნელი ძირითადად იმას საყვედურობდა, შარშან უცხოეთში რომ ვერაფრით გამოიჩინა თავი. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია ჩიქოვანიც, რომელიც ამ ნაკრებში ახალი კაცია და მწვრთნელი ცოტა იმას შიშობდა, იყოჩაღებდა თუ არა დებიუტანტი. არა მგონია, სხირელი მისით უკმაყოფილო დარჩეს. ასევე ახალბედები არიან რეხვიაშვილი და ლომთათიძე. მწვრთნელს უფრო ლომთათიძის გამოუცდელობა აწუხებდა, მაგრამ ეს ბიჭი ჩინებულად აბარებს გამოცდას - საქართველოს ჩემპიონატზე ჯერ უმთავრეს ფავორიტად შერაცხული ყაზბეგელი, უფროსებში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი **გიორგი მარსაგიშვილი** დაამარცხა, ფინალში კი მეორე ფავორიტსა და საკმაოდ გამოცდილ **მარადი ზოიძესაც** აჯობა. ურიგოდ არც ახლა უჭიდავია და ვგონებთ, მწვრთნელის გულსაც საბოლოოდ მოიგებდა.

სხვა საქმეა ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი მაყიშვილი და მესამე პრიზიორი ნიკურაძე - მათ საქართველოს ჩემპიონატიც დამაჯერებლად მოიგეს, ევროპაზე ჭიდაობა აქამდეც გაინაღდეს, რიგაში კი მწვრთნელს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს საკუთარი ძალა.

VI 18

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი



კლასიფიკაცია

# ჩიხლაძე: +119

შვეიცარიასა (ლოიგერნი, 10 ათასი დოლარი) და ლიხტენშტაინში (ვადუცი, 10 ათასი) მოგებული ტურნირების წყალობით **ლადო ჩიხლაძემ** რეიტინგში წინ შესამჩნევად წაიწია წინ. საქართველოს ნაკრების წევრი ერთბაშად 119 ადილით დაწინაურდა - 21 წლის ჩოგბურთელი ახლა მსოფლიოს 467-ე ჩოგანია. თუმცა ეს არ არის ლადოს კარიერის მიღწევა, შარშან აგვისტოში ის რეიტინგში 463-ე იყო. ჩიხლაძეს ორი ტურნირის მოგებამ 24 ქულა შემატა, სულ ლადოს 62 სარეიტინგო ქულა აქვს. საქართველოს პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე** ტრავმირებულია, ამიტომ ის ნელ-ნელა თმობს პოზიციებს რეიტინგის მეორე ასეულში, ირაკლი დღეიდან მსოფლიოს 171-ე ჩოგანია, რაც წინანდელ შედეგს ორი საფეხურით ჩამორჩება.

გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტიც. **მაკა ჩახნაშვილმა** ერთი საფეხურით წაიწია წინ და 212 ქულით 143-ე ჩოგანია. ორი ადგილით დაწინაურდა **ანა ტატიშვილი**, რითაც მან საკუთარი მიღწევა კვლავ გააუმჯობესა, 17 წლის ტატიშვილს 86 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 267-ე ჩოგანია. სხვა ქართველები: 338 (+4) **სოფიო მელიქიშვილი** - 58 ქულა, 533 (-2) **სალომე დევიძე** - 25, 683 (-17) **სოფიო შაფათავა** - 15, 757 (+1) **ეკა გორგოძე** - 12, 814 (+66) **მანანა შაფაქიძე** - 10, 1080 (-) **თეონა ცერცვაძე** - 5, 1335 (-6) **მარიამ ქურდაძე** - 3. ჩახნაშვილი წლის რბოლაში 180-ე ადგილზეა, წყვილებში კი - 168-ეზე. ანა ტატიშვილი წლის რბოლაში 197-ეა, წყვილებში - 603-ე. როგორც ხედავთ, ყველაზე დიდი ნახტომი რეიტინგში მანანა შაფაქიძეს ჰქონდა, რომელიც ისრაელის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, რისთვისაც 2 სარეიტინგო ქულა მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. ლელო № 56 (2006)

*ვაგრძელებთ თხრობას საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებზე 1981 წელს.*

ველოსპორტი. წარმატებათა სერიას აგრძელებს **ემზარ გელაშვილი**. ტრეკზე რბოლაში ის იმარჯვებს საკავშირო შეჯიბრებაში ერთ წრეზე სპრინტში, მესამე პრიზიორი ხდება სსრკ ჩემპიონატში და იგებს სპრინტერთა საკავშირო პირველობას, ტალინში კი, წყვილთა რბოლაში (საკავშირო ჩემპიონატი) მესამე ადგილზე გადის. **პეტრე ჩევარდოვი** 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში ბრინჯაოს მედალს ეუფლება საკავშირო პირველობაში. სპრინტში სსრკ მესამე პრიზიორი, პრაღისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირების მეორეადგილოსანი ხდება **გ. დვალიშვილი**. ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე **ჯიმშერ მუზაშვილი** 4-დღიან ჯგუფურ რბოლას იგებს, შემდეგ, 200 წრეზე, არავის უთმობს პირველობას. ეს უკვე იუნიორთა საკავშირო პირველობაა (ლვოვი) და ისევ წარმატება - ამჯერად, ჯიმშერი მშობლიურ თბილისში იმარჯვებს 1000 მ ადგილიდან გიტში. ამ შეჯიბრებაში **ი. კაზაკოვი** მეორე ადგილზე გადის 4 კმ-ზე რბოლაში, **ა. კუკლენკოვი** - მესამეზე 60 წრეზე ასპარეზობაში. კაზაკოვი საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. მან პირველობა მოიპოვა გდრ-ში ტრეკზე გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში. საგზატკეცილო ველორბოლაში მოსწავლეთა საკავშირო პირველობის გუნდური მესამე ადგილი დაისაკუთრა საქართველოს ნაკრებმა.

ტყვიით სროლა. სსრკ-ის ნაკრების წევრი, თბილსელი **კონსტანტინე კოსმინინი** პირველ ადგილზე გადის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, 50 მ-ზე პისტოლეტიდან სროლაში. მანვე მოიგო დოსააფ-ის საკავშირო თასი. სოხუმმა უმასპინძლა საკავშირო პირად ჩემპიონატს "გაქცეულ ტახზე" სროლაში. აქ მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა **ა. გოროდიანკინმა**. იგივე პროგრამაში ახალგაზრდულ პირველობაზე (ლვოვი) **ა. მატოიანი** საუკეთესო იყო. ასევე საკავშირო ნაკრებში, ლვოვის საერთაშორისო ტურნირში, მეორე ადგილს იკავებს **ბ. კოკორევი** მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მ-ზე სწრაფ სროლაში. ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრები საერთო ჩათვლაში გუნდურ მესამე ადგილზე გავიდა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალს კი **ა. ზორენკო** დაეუფლა პნევმატური შაშხანიდან სროლაში. ამავე პროგრამაში საქართველოს ნაკრები მეორე პრიზიორი გახდა საბერძნეთში გამართულ იუნიორთა პირველობაზე.

სასტენდო სროლა. ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია **ტარიელ ჟღენტმა**. მრგვალ სტენდზე მან მოიგო სსრკ და ევროპის როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობები და გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ჟღენტთან ერთად, სსრკ ჩემპიონის ტიტულს (გუნდური პირველობა) დაეუფლნენ **თ. მატოიანი** და **გ. შენგელია**, ევროპისას - **თამაზ იმნაიშვილი**. პირადში კი იმნაიშვილი მსოფლიოზე მესამე იყო.

ფარიკაობა. საკავშირო ჩემპიონატი (რაპირა), საქართველოს ნაკრებმა - **ზ. აფციაურის, გ. გელაშვილის, ვ. აფციაურისა** და **გ. აბაშიძის** შემადგენლობით, ვერცხლის მედალი მოიპოვა. ახალგაზრდებში საკავშირო გუნდური პირველობა, ასევე რაპირაში, საქართველოს წარგზავნილთა გამარჯვებით დასრულდა. ნაკრებში გამოდიოდნენ **ვლადიმერ აფციაური, გიორგი გელაშვილი, სერგო დემეტრაშვილი, ზურაბ ჯავაშვილი**. პირადში გაიმარჯვა **დავით თურქიამ** (ხმალი), მეორე ადგილი დაისაკუთრა აფციაურმა (ხმალი). ასევე ხმლით ფარიკაობაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს **მერაბ ბაზაძე** დაეუფლა.

მძლეოსნობა. **ვიქტორ სანეევის** ნიჭიერი მემკვიდრე **სერგო ახვლედიანი** სამხტომში პირველ ადგილზე გავიდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა სიგრძეზე ხტომაში მოიგო **ა. ვასილენკომ**, მეორე შედეგი ჰქონდათ: ბირთვის კვრაში - **ა. პროშევს და მაია აზარაშვილს** 200 მ რბენაში, 100 მ-ზე კი ფინიშთან მესამე მიიჭრა; 110 მ თარჯრბენში **ს. დილიბაროვს** წილად ხვდა ბრინჯაოს მედალი; ასეთივე მიღწევა ჰქონდა **ა. ქორიძეს** ბირთვის კვრაში. ეს იყო და ეს. იმ წელს საქართველოს მძლეოსნებს სხვა წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ.



მაია ნადიბაიძე



შეტევაშია რამაზ შენგელია

საწყლოსნო სახეობები. ცურვაში მაღალი შედეგებით გამოირჩეოდა **ირინა გერასიმოვა**. 100 მ. თავისუფალი სტილით ასპარეზობაში ქუთაისელი სპორტსმენი სსრკ ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ირინამ, იმავე დისტანციასა და იმავე სტილით 200 მ ცურვაში ვერცხლის ორი მედალი დაისაკუთრა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. ასევე მეორე პრიზიორი გახდა **დიმიტრი იაკოვლევი**, რომელიც 200 მ ბატერფლაის სტილით ასპარეზობდა. წყალში ხტომაშიც მხოლოდ მოსწავლეთა სპარტაკიადამ წარმოაჩინა საუკეთესონი - **გიორგი ჩოგოვაძე** და **ელენა ბილიოვა**. გიორგიმ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მოიპოვა ოქროს მედალი, ელენემ კოშკიდან ხტომაში - ვერცხლი. წყალბურთში წინსვლის ერთგვარი შეფერხება შეიმჩნეოდა. უფროსებმა მხოლოდ თბილისის საერთაშორისო ტურნირში შეძლეს მესამე ადგილზე გასვლა, რაც სულაც არ იყო დამაკმაყოფილებელი. კარგად დაასრულა იუნიორთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი სსრკ ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელი **ზ. ახვლედიანი** ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

თანამედროვე ხუთჭიდი. სპორტის ამ სახეობაში პირველად მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ტიტული საქართველოს ნაკრებმა **ი. ბრიზგალოვის, დ. გრიგორისა** და **ი. სამსონოვის** შემადგენლობით. ბრიზგალოვი პირად პირველობაშიც ჩემპიონი გახდა. ამ წარმატების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში (საფრანგეთი) მიიღო მონაწილეობა და მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა. ზემოხსენებულ სამეულს საფრანგეთში მეოთხე მონაწილე, **ს. მაკაროვი** დაემატა.

მშვილდოსნობა. ოლიმპიური ჩემპიონი **ქეთევან ლოსაბერიძე** კვლავ მონოდების სიმაღლეზე იდგა. მან მოიგო ლვოვის საერთაშორისო ტურნირი "გაზაფხულის ისრები" (მ-2 ვარჯიში), სსრკ ნაკრებთან ერთად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და მეორე იყო გფრ-ის საერთაშორისო ტურნირის აბსოლუტურ პირველობაზე. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატში კი მეორე ადგილზე გავიდა **ოლგა ლადიგინა**.

ძალოსნობა. დიდ სარბიელზე წარმატებით გამოდის საჩხერელი **ამირან ქიტაძე**, რომელმაც ჯერ ლვოვის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, შემდეგ კი, ორჭიდში, ახალგაზრდებში სსრკ პირველობაც. ამავე ასპარეზობაზე, ასევე ორჭიდში, პირველობა მოიპოვა **ა. მედოევმაც** (100). ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილით დასრულდა **კახაბერ მისირელის** დებიუტი ორჭიდში.

კრივი. ლენინგრადში გაიმართა სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობა. საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა და პირად პირველობაში კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **ბ. სამხარაძე** (48), **მ. თოდაძე** (60), **ჯ. ქეიშვილი** (66) და **მ. შალამბერიძე** (80).

სპორტული ტანვარჯიში. ალმა-ათაში ჩატარებულ სსრკ ჩემპიონატში, ბჯენით ხტომებში, პირველ ადგილს იკავებს **ამირან ბერიანიძე**, მრავალჭიდში მესამე იყო **ზაზა ხომასურიძე**. ახალგაზრდებს შორის, სსრკ პირველობაზე მეორე ადგილზე **ეკა გერმანოზაშვილი** (თავისუფალი ვარჯიში) და ა. ბერიანიძე (ბჯენით ხტომები), მესამეზე კი **ლადო გოგოლაძე** (თავისუფალი ვარჯიში).

აკრობატიკა. ქართული სამეული კვლავ ბრწყინავს. ჯგუფურ ვარჯიშში სსრკ თასს ეუფლებიან **მაია შილაკაძე, ნონა კიკალიშვილი** და **მანანა მნათობიშვილი**. ამ ტრიომ, იმავე პროგრამაში, სსრკ ჩემპიონობაც მოიპოვა, წყვილთა ვარჯიშში კი **სვეტლანა მკრტჩიანი** და **თინათინ წიქარაძე** გაჩემპიონდნენ. ვაჟებში ჯგუფური ვარჯიში მეორე ადგილზე გასვლით დაასრულა ძალისმიერმა ოთხეულმა - **ჰამლეტ სუთიძის, კარენ არუთინიანის, ალბერტ არუთინიანისა** და **არტურ გაბრიელიანის** შემადგენლობით. ჯგუფურ ვარჯიშში მესამე შედეგი ჰქონდათ **ნინო ბერიანიძეს, ირმა დემურიშვილსა** და **ნინო ჩოხელს**, აგრეთვე - წყვილთა ვარჯიშში **დ. გაგოშვილსა** და **ზ. ნიკოლაიშვილს**. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ბერიანიძის, დემურიშვილისა და ჩოხელის სამეული ჯგუფურ ვარჯიშში ჩემპიონი გახდა, პირველი იყო **ზ. კილაძეც** (ხტომებში), წყვილში კი ვერცხლის მედალი მოიპოვეს **ქ. სახვაძემ** და **ი. გიორგობიანმა**.

კალათბურთი. სსრკ ნაკრებში მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედალს დაეუფლა **ნიკოლოზ დერიუგინი**, ახალგაზრდების საკავშირო პირველობა მოიგო თბილისის "დინამოს" გუნდმა. განათლების სპორტსკოლების აღსაზრდელთა სსრკ პირველობიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ ჭაბუკები. ჭაბუკებმა და გოგონებმა უძლიერესის სახელი მოიპოვეს საკავშირო ტურნირზე (ქ. ორიოლი), ტუაფსეში ჩვენმა ყმაწვილებმა მეორე ადგილი დაიკავეს, 16-17-წლიანებს კი მესამე საპრიზო ადგილი ხვდათ წილად ტრადიციულ საკავშირო ტურნირზე (ქ. სუმგაითი), გოგონათა (13-14-წლიანები) ასევე საკავშირო შეჯიბრებაში თბილისის ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა.

ხელბურთი. თბილისის "ბურევესტნიკი" კვლავ რჩება ანგარიშგასაწევ ძალად. ბრინჯაოს მედალი სსრკ ჩემპიონატში და მეორე ადგილი საკავშირო ტურნირზე - ასეთი იყო გუნდის იმ წლის მონაგარი.

რაგბი. თბილისის "ლოკომოტივი" სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორია.

ჩოგბურთი. **ლეილა მესხი** მაშინ 13 წლის იყო. მან თანატოლთა საკავშირო პირველობაზე ერთეულთა და წყვილთა შორის თანაგუნდელ **ადა პოლოსოვასთან** ერთად ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ერთეულთა თანრიგში **ალიკ ნახაპეტიანი** პირველი იყო, **ნინო წირღვავა** - მეორე, პოლოსოვა - მესამე. ამასთან, ნახაპეტიანმა წყვილთა თანრიგში ყველას აჯობა. საქართველოს ნაკრების (**ი.** და **მ. მალაციძეები, ი. ანტონიანი, ი. გერაძე, დ. კაჭარავა, ვ. ხურდა, ვ. გაბრიჩიძე**) გამარჯვებით დასრულდა, საკავშირო ახალგაზრდული პირველობა.

მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირის პირად ჩემპიონატში, ყარაგანდაში, **სარქის სარხოიანი** იმარჯვებს წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში, ერთეულთა თანრიგში კი მესამე პრიზიორი ხდება.

ბადმინტონი. სვერდლოვსკში, საკავშირო პირველობაზე თანატოლ ჭაბუკთა შორის, **დ. კავილაძე** ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, შესაბამისად, პირველ და მესამე ადგილებზე გადის.

ნიჩბოსნობა. საკავშირო პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. გოგონათა შორის 4-ადგილიანი ნავით ასპარეზობაში ბათუმელი **ნადია სიმკო** გუნდთან ერთად იმარჯვებს. 1961-62 წლიანთა საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედალს ეუფლება საქართველოს ნაკრების წევრი **ი. ეფიმოვა** (წყვილმოსასმელიანი ნავით). მოსწავლეთა საკავშირო პირველობა: მეორე ადგილი - **ი. მოლეტკინა, ა. ბულოიანი, ნ. კიკნაძე, მ. პრონინა** (4-ადგილიანი ნავით); მესამე პრიზიორები: **მ. ლოლოევი** (ერთმოსასმელიანით), **ნონა** და **დარეჯან გელაშვილები** (ორმოსასმელიანით) და **დ. ციხელაშვილი, ტ. გოგლიჩიძე** (ორადგილიანით). საკავშირო პირველობა (ლენინგრადი) 1965-66 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. პირველ ადგილზე გავიდა მცხეთელი **მ. გეჯაძე** (ერთადგილიანით), ვაჟებში - ფოთელები **ს. ივანიანცი** და **ა. დუდინოვი** (ორადგილიანი) - მეორეზე, მათივე თანაქალაქელი **გ. კუცია** (ერთადგილიანით) - მესამეზე.

აფროსნობა. თვალსაჩინო წარმატებას აღწევს **გ. ბიგანიშვილი** - მეორე ადგილი საკავშირო თასის გათამაშებაში ("ვარსკვლავის კლასი").

სამთო თხილამურები. კარპატებში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა ზამთრის III საკავშირო თამაშები. ბაკურიანელი **მერი კოზანაშვილი** მეორე იყო სპეციალურ სლალომში, მესამე - სწრაფდაშვებასა და გუნდურ სლალომში, **ვ. სანაკოევი** - პირველ ადგილზე გავიდა ვაჟთა სლალომში და მესამეზე - სწრაფდაშვებაში. ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე გიგანტურ სლალომში ბადალი არ ჰყავდა **გია ორჯონიკიძეს**, ხოლო სლალომში, სპეციალურ სლალომსა და სამთო სამჭიდში მესამე ადგილზე გავიდა.

ციგაობა. საქართველოს ნაკრები სსრკ თასის გათამაშებაში მესამე ადგილს ეუფლება, ქალთა შორის კი ასევე მესამე პრიზიორი ხდება **ქ. ჯეირანაშვილი**.

ფიგურული ციგურაობა. მოზარდთა საკავშირო პირველობის გამარჯვებული გახდა **ნელი დვალიშვილი**, მეორე იყო **ლია სამხარაძე**.

ალპინიზმი. ტექნიკურ კლასში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს ეუფლება საქართველოს ნაკრები **გივი ქართველიშვილის** (ექსპედიციის უფროსი), **ტარიელ ლუკაშვილის, მურად ჭიჭინაძის, ირაკლი გელდიაშვილის, ჯემალ ქელეხსაშვილისა** და **დევი თარხნიშვილის** შემადგენლობით (ლაშქრობა კიუკიურლიუზზე, 4622 მ). წლის ბოლოს, სეზონის საერთო შედეგებით, ქართველი მთამსვლელები სსრ კავშირში მეორე ადგილზე გავიდნენ.

მხატვრული ტანვარჯიში. წლის სპორტული სეზონი **მაია ნადიბაიძის** არაერთი წარმატებით აღინიშნა. მან მოიგო ტალინის საერთაშორისო ტურნირი და პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადა (გუნდური), ამავე ასპარეზობაში მეორე იყო ლენტით, მესამე - გურზებით და სახტუნელათი ვარჯიშებში, ვენის საერთაშორისო ტურნირში (მრავალჭიდში) - მეორე. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე კი ასევე მეორე პრიზიორი გახდა გურზებით და ლენტით ვარჯიშში. მრავალჭიდში **ირინა გაბაშვილს** მეორე ადგილი ხვდა წილად ტალინში საკავშირო სარბიელზე, მესამე იყო რიგისა და ტოკიოს საერთაშორისო ტურნირებში. კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები (**ი. გაბაშვილი, ლ. დოლიძე, ი. ჟემჩუჟინა, მ. ნადიბაიძე, მ. მორბედაძე** და **მ. ხალილოვა**) მესამე ადგილზე გავიდა; თბილისის ნაკრებმა მოიგო საკავშირო შეჯიბრება ტალინში, მრავალჭიდში აქ მესამე იყო **ირინე ჟემჩუჟინა**, რომელიც შემდეგ ვენის საერთაშორისო ტურნირში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

საპარაშუტო სპორტი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი **ნიკოლოზ უშმაევი** პირველობას არავის უთმობს აკრობატულ ნახტომებში სოცქვეყნების საერთაშორისო ასპარეზობასა (ვილნიუსი) და სსრკ პირველობაზე.

ჭადრაკი. **ნანა ალექსანდრია** 6,5:2,5 უგებს **ნანა იოსელიანს** და ხდება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი. **მაია ჩიბურდანიძის** გამარჯვებითა (8:7) და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მეორედ მოპოვებით დასრულდა მისი შეხვედრა ნანა ალექსანდრიასთან თბილისში. **ნონა გაფრინდაშვილმა** მოიგო ქალთა შორის იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირი. საფრანგეთში კი, ანალოგიურ ტურნირში, ნანა იოსელიანმა მეორე-მესამე ადგილები გაიყო. საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ **თ. გიორგაძე, ე. გუფელდი, ბ. გურგენიძე, ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. სტურუა, მ. ჩიბურდანიძე** და **ნ. იოსელიანი** მესამე ადგილს დაეუფლა სსრკ ჩემპიონატში. 20-წლამდე გოგონებს შორის სოცქვეყნების ტრადიციული ტურნირი დასრულდა თბილისელი **თამილა მესხის** გამარჯვებით. ქალთა შორის იმ წლის სსრკ პირველობას კი, 12-12 ქულით, ორი გამარჯვებული ჰყავდა და ორივე ქართველი - **ნ. გაფრინდაშვილი** და **ნ. იოსელიანი**, მესამე ადგილი **თამარ ხუბაშვილს** ერგო. ალმა-ათაში მე-40 საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) **ნინო გურიელმა** ვერცხლის მედლის მოპოვებით დაასრულა.

შაში. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა მოიგო 14 წლის **ლიანა ყაზარაშვილმა**.

ფრუნზეში, სპორტული ფილმების VIII საკავშირო ფესტივალზე, წარმატება ხვდა წილად **დ. ჩუბინაშვილის** (სცენარის ავტორი), **ჯ. ებრალიძისა** (რეჟისორი) და **ი. ვაჩნაძის** (ოპერატორი) ფილმს - "მატჩის დირიჟორი".

1981 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის სიას სათავეში ჩაუდგა **რამაზ შენგელია** (ფეხბურთი). შემდეგ მოდიან: **2. მაია ჩიბურდანიძე** (ჭადრაკი), **3. თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა), **4. მიხეილ სალაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **5. ალექსანდრე ჩივაძე** (ფეხბურთი), **6. დავით ყიფიანი** (ფეხბურთი), **7. ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა), **8. ვახტანგ ბლაგიძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **9. თემურ ხუბულური** (ძიუდო), **10. იგორ ბრიზგალოვი** (თანამედროვე ხუთჭიდი).

საუკეთესო მწვრთნელთა ათეული ასე გამოიყურება: **1. ნოდარ ახალკაცი** (ფეხბურთი), **2. ზურაბ მაჩხანელი** (სასტენდო სროლა), **3. ბიძინა მაზიაშვილი** (ძიუდო), **4. ამირან შეროზია** (თანამედროვე ხუთჭიდი), **5. ვლადიმერ მაისურაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **6. დემერლანდ დავითაია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **7. გურამ სალარაძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **8. იური გუტიაკულოვი** (წყალში ხტომა), **9. მურად წივწივაძე** (ფეხბურთი), **10. გივი ქართველიშვილი** (ალპინიზმი).

საუკეთესო გუნდები: **1. თბილისის "დინამო"** (ფეხბურთი), **2. მოჭადრაკე ქალთა გუნდი, 3. თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრები, 4. საქართველოს ნაკრები მრგვალ სტენდზე სროლაში, 5. აკრობატთა ნაკრები, 6. ქუთაისის "ტორპედო"** (ფეხბურთი), **7. ძიუდოისტთა ნაკრები, 8. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, 9. მოსწავლეთა ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში, 10. მთამსვლელთა ნაკრები.**

ფეხბურთელები - **ალექსანდრე ჩივაძე** და **რამაზ შენგელია** დაასახელეს ევროპის 1981 წლის 10 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის.

*(გაგრძელება იქნება)*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ელჯინსა და მაიკლს შორის გაჩხერილი




კობი ბრაიანტი

პროფესიულ კალათბურთში მოთამაშის სიდიადისთვის ხაზის გასასმელად ჩვენი ამერიკელი კოლეგები ხშირად და სრულიად გამართლებულადაც, ერთ აქსიომას იშველიებენ - თუ ამა თუ იმ ვარსკვლავს კარიერის მსვლელობისას ერთხელაც არ მოუგია უძვირფასესის, ანუ MVP-ის ტიტული, იგი ტიტანებში შესვლას არ იმსახურებს. ნაღდად ასეა, თუმცა ისტორია შეიძლება გადანერილ იქნას, რადგან...

**კობი ბრაიანტი** უძვირფასესის ტიტულთან ყველაზე ახლოს შარშან იყო და კარიერას ალბათ, ისე დაასრულებს, რომ ყველაზე სერიოზულ ინდივიდუალურ ჯილდოს ვერ ეღირსება. **შაკის** ჩრდილში ყოფნის მერე, ბრაიანტმა პირველი სეზონი "დიზელის" გარეშე ჩააგდო, შარშან კი ხალხმა უპირატესობა **სტივ ნეშს** მიანიჭა. კობი ამ ჯილდოს ვერც წელს მიიღებს, რადგან ფავორიტებში იგივე ნეში და **დირკ ნოვიცკი** ირიცხებიან, ბრაიანტი კი მეორე ეშელონის გამოკვეთილ ლიდერებშიც (**ლებრონ ჯეიმსი** და **ტიმ დანკანი**) კი ვერ ხვდება.

მიუხედავად ამისა, კობი ფენომენია და გულზე ხელის დადების გარეშეც კი 100%-ით შეიძლება იმის თქმა, რომ "მისი უპაერესობის", ანუ **ჯორდანის,** მერე კალათბურთში ასეთი ძლიერი შემტევი არ ყოფილა.

"მინესოტასთან" მატჩში კობიმ ზედიზედ მეორედ მოახერხა 50 და მეტი ქულის დაგროვება, რაც "ლეიკერსის" ისტორიაში ბოლოს 44 წლის წინათ დაფიქსირდა. მაშინ იდენტური შედეგი 1962 წლის დეკემბერში ლეგენდარულმა **ელჯინ ბეილორმა** აჩვენა. უფრო სწორად, ამ ბუმბერაზმა კაცმა ერთმანეთის მიყოლებით 50, 57 და 61 ქულა მოიმკო.

"მინესოტის" დაცვა ისეთივე ძლიერია, როგორც დავუშვათ, "გოლდენ სტეიტის", მაგრამ ბრაინატის ფენომენს ეს ნამითაც არ აყენებს ჩრდილს.

კობიმ კარიერაში მეჩვიდმეტედ დაასრულა მატჩი 50 და მეტი ქულით, ბოლოს კი 50-იანით შარშანდელ ფლეი ოფში "ფინიქს სანზი" ასიამოვნა.

ბრაიანტამდე მოქმედ მოთამაშეებში ზედიზედ ორი 50-იანი მატჩი მხოლოდ **ანტუან ჯეიმისონს** (2000-ის დეკემბერში "სიეტლთან" და "ლეიკერსთან", 51 და 51) და **ალენ აივერსონს** (2004-ის დეკემბერში "მილუოკისთან" და "იუტასთან", 54 და 51) ჰქონიათ.

მოკლედ, შევთანხმდეთ, რომ კობი ფენომენია, რომელიც MVP ვერასოდეს გახდება.

■ ■ ■

"როკეტსი" ზელიგის ისტორიაში გახდა მხოლოდ მეხუთე გუნდი, რომელმაც გასვლითი მატჩი 50 და მეტი ქულის სხვაობით მოიგო. ყველაზე სამარცხვინოდ მასპინძელი 1986 წელს დაამარცხეს, როდესაც 6-მატჩიანი ვოიაჟისას "სიეტლ სუპერსონიქსმა" "ჰიუსტონ როკეტსს" მისსავე პარკეტზე 136:80 აჯობა. ამის გარდა, 2003-ში "დეტროიტ პისტონზმა" "ბოსტონი" 118:66 გაასწორა მიწასთან.

■ ■ ■

"მაიამისა" და "ორლანდოს" შეხვედრაში **დუაიტ ჰოვარდმა** თამაშიდან 6-ვე ტყორცნა გამოიყენა. **შაკილ ონილის** დიდებულ კარიერაში, რომელიც რეგულარულის 959 მატჩს ითვლის, პირველად მოხდა, როდესაც ოპონენტის ცენტრმა მატჩიდან 3-ზე მეტი ტყორცნა უშეცდომოდ შეასრულა.

■ ■ ■

**რიჩარდ ჰამილტონმა** "დალასის" წინააღმდეგ ბოლო მეოთხედში 8-წუთიან მონაკვეთში 6-დან 5 საჯარიმო გააფუჭა. ჰამილტონის 8-წლიან კარიერაში პირველად მოხდა, როდესაც ამ უკანახაზელმა ერთ მეოთხედში 5 და მეტი ერთქულიანი შეასრულა არაზუსტად. იმ მომენტისთვის, როდესაც ჰამილტონმა პირველი საჯარიმო ვერ გამოიყენა, "დეტროიტი" 4 ქულას იგებდა, ხოლო მისი ბოლო არაზუსტი ერთქულიანისას იდენტური უპირატესობა უკვე სტუმრების მხარეს იყო.

**ზურაბ თალაკვაძე**

**პორტლენდი-სიეტლი 77:95**
25:26, 12:21, 24:20, 16:28

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (16 ქ. 8 მ. 4 პ), როი (14 ქ. 5 პ), მაგლოირი (11 ქ. 12 მ).
**სიეტლი:** რ. ლიუისი (27 ქ. 12 მ. 4 პ. 2 დ), უილკოქსი (26 ქ. 9 მ), კოლისონი (16 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), რ. ალენი (12 ქ).

**ლეიკერსი-მინესოტა 109:102**
29:22, 23:21, 35:25, 22:34

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (50 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ს. პარკერი (19 ქ. 9 პ. 7 მ), ოდომი (16 ქ. 9 მ. 8 პ), უოლტონი (10 ქ. 11 პ. 8 მ. 3 ჩ).
**მინესოტა:** რ. დევისი (33 ქ. 6 მ. 6 პ), გარნეტი (26 ქ. 15 მ. 6 პ. 3 დ), მ. ჯეიმსი (18 ქ. 11 პ).

**ფილადელფია-ჰიუსტონი 74:124**
15:32, 25:27, 16:34, 18:31

**ფილადელფია:** კორვერი (17 ქ), დალემბერი (12 ქ), ლ. უილიამსი (12 ქ).
**ჰიუსტონი:** მინი (24 ქ. 10 მ), მაკგრეიდი (21 ქ. 8 პ), ჰედი (13 ქ. 4 პ. 3 ჩ), ჩ. ჰეიესი (12 ქ. 13 მ), ჯუვან ჰოვარდი (11 ქ. 10 მ. 5 პ).

**მაიამი-ორლანდო 83:97**
16:28, 21:27, 22:21, 24:21

**მაიამი:** შ. ონილი (20 ქ. 4 მ), პოუსი (14 ქ. 7 მ), ჯეისონ უილიამსი (10 ქ. 6 პ).
**ორლანდო:** თურქოღლუ (20 ქ. 4 პ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 11 მ), მილიჩიჩი (12 ქ. 10 მ. 2 დ), ნელსონი (11 ქ. 6 პ), რედიკი (10 ქ).

**ნიუ იორკი-ტორონტო 92:74**
21:22, 19:20, 35:13, 17:19

**ნიუ იორკი:** მარბერი (21 ქ. 9 პ), ფრაი (20 ქ. 7 მ. 3 ჩ), ბალკმენი (15 ქ. 12 მ. 3 ჩ), ნ. რობინსონი (12 ქ. 2 ჩ), ჯეფრიზი (8 ქ. 10 მ).
**ტორონტო:** ბოში (21 ქ. 7 მ), ტი. ჯეი. ფორდი (14 ქ. 3 პ), ბარნიანი (7 ქ. 6 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ).

**დეტროიტი-დალასი 88:92**
22:25, 28:21, 19:21, 19:25

**დეტროიტი:** რ. მიურეი (18 ქ. 6 პ. 4 ჩ), მაკდაიესი (17 ქ. 6 მ), რ. ჰამილტონი (13 ქ, 4 პ), რ. უოლასი (13 ქ. 6 მ. 3 დ), პრინსი (12 ქ. 6 მ), უებერი (10 ქ. 3 ჩ).
**დალასი:** ნოვიცკი (28 ქ. 12 მ), დ. ჰარისი (22 ქ. 3 ჩ), ტერი (12 ქ. 6 მ. 6 პ), ჯოშ ჰოვარდი (12 ქ. 9 მ), სტექჰაუზი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი-კლიპერსი 101:95**
27:24, 21:21, 22:25, 31:25

**ნიუ ჯერსი:** კიდი (23 ქ. 13 პ. 6 ჩ. 6 მ), ვ. კარტერი (22 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 12 მ), მური (13 ქ. 6 მ).
**კლიპერსი:** მობლი (27 ქ. 6 მ), მაგეტი (23 ქ. 9 მ. 2 ჩ), ბრენდი (17 ქ. 9 მ. 6 პ. 2 დ), ტიმ ტომასი (12 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), კამანი (10 ქ. 8 მ. 3 დ).



საჩემპიონო ბრძოლები

# ბელის ტიტულები მორმეკთან

საფრანგეთის ქალაქ ლევალუა-პერეს, **მარსელ სერდანის** სახელობის სპორტის სასახლეს რინგზე, ფრანგმა **ჟან-მარკ მორმეკმა** ბოლო ორ რაუნდში გაჭირვებით გაუძლო WBA-ისა და WBC-ს ვერსიით, კრეისერის (მძიმე) წონაში მსოფლიოს ჩემპიონის, წარმოშობით იამაიკელი **ო'ნილ ბელის** გააფთრებულ შეტევას და ქულებით მოიპოვა გამარჯვება, რითაც ამ ორივე ტიტულს თავად დაეუფლა.

*"რინგზე რომ ამოვდიოდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი საფრანგეთი მხრებზე მაწვა, მაგრამ ბრძოლის დროს ეს ზეწოლა სასიკეთოდ გამომადგა. დღეს მე ჩემი ქომაგისთვის ვიბრძოლე და არ შემეძლო, მათი იმედები გამეცრუებინა"*, - განაცხადა ნაბრძოლევს მორმეკმა (33-3, 22 ნოკაუტი), ვინც სამივე მსაჯის ბარათზე მოიპოვა უპირატესობა (116-112, 115-113 და 115-113).

ბრძოლის შემდეგ პრესკონფერენციაზე, მსაჯების გადაწყვეტილებით გაბრაზებული ბელი (26-2-1) მორმეკის პრომოუტერ **დონ კინგს** მივარდა, მაგრამ ყოფილი ჩემპიონი დროზე დააშოშმინეს. მე ყველა რაუნდი მოვიგე, მაგრამ ეს არავინ დაინახა, ეს ნამდვილი ყაჩაღობააო, - იძახდა განბილებული ბელი.

მის მიმართ ეპითეტები არც მორმეკს გამოუთქვამს, თუმცა ის გაცილებით თავშეკავებული იყო: *"როგორც პიროვნებას, ბელს პატივს არ ვცემ, მაგრამ როგორც მებრძოლი, ის პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს. ჩემთან პირველ შეხვედრამდე არაფერს წარმოადგენდა, ახლა კი ჩემპიონის რანგში შემხვდა. მაშინ რომ წავაგე, პირობა დავდე, რომ რემატჩს აუცილებლად მოვიგებდი. ჰოდა, ახლა ეს პირობა შევასრულე"*.

შეგახსენებთ, რომ ბელი და მორმეკი პირველად შარშან, იანვარში შეხვდენ ერთმანეთს. იმ დროს ფრანგი WBA-ისა და WBC-ს ჩემპიონი იყო, ბელს კი IBF-ის სარტყელი ეკუთვნოდა. იმ გამარჯვების შემდეგ ბელს ერთი ბრძოლაც არ ჩაუტარებია და ამიტომ, IBF-ის ტიტული ჩამოერთვა.

სხვათა შორის, ბელი **ევანდერ ჰოლიფილდის** შემდეგ მეორე მოკრივეა, ვინც ზემოთ ნახსენები სამი გაერთიანების ტიტულებს ერთდროულად ფლობდა. სხვას მსგავსი მიღწევა კრეისერის წონაში არასოდეს ჰქონია.

ლას ვეგასში კი სუპერ ბუმბულის (იგივე ქვემსუბუქ) წონაში სატიტულო ბრძოლა შედგა ორ მექსიკელს - **ხუან მანუელ მარკესსა** და **მარკო ანტონიო ბარერას** შორის. ბარერამ, ვინც რინგზე WBC-ს სარტყელით ავიდა, ერთხელ ნოკდაუნი აგემა პრეტენდენტს, თუმცა ბრძოლის შემდეგ გაოგნებული დარჩა მას შემდეგ, რაც სამივე მსაჯის ბარათზე უპირატესობა (116-111, 116-111 და 118-109) მარკესს (47-3-1, 35 ნოკაუტი) ერგო. ბრძოლის შემდეგ, ახალმა ჩემპიონმა ძველს დაუყოვნებელი რემატჩი შესთავაზა - ბარერა დიდი ჩემპიონია და რემატჩს იმსახურებსო. მაგრამ თუ ბარერა შემოთავაზებას არ მიიღებს, მაშინ მარკესს კიდევ ერთ სახელოვან მოკრივესთან, ფილიპინელ **მანი პაკიაოსთან** შეხვედრა სურს.



ჟან-მარკ მორმეკი

"არ ვიცი, ესენი კრივის მსაჯები იყვნენ, თუ ფეხბურთიდან მოიყვანა ვინმემ. ან იქნებ, კარგად ვერ ხედავენ? როგორ შეიძლებოდა, ვინმეს ჩემს გამარჯვებაში ეჭვი შეეტანა. მოკლედ, ეს ბრძოლა მსაჯებმა მოიგეს, მე კი მათთან ბრძოლაში დავმარცხდი", - განაცხადა ბარერამ (63-5, 42 ნოკაუტი), ვინც მეტოქეს ნოკდაუნი მეშვიდე რაუნდში აგემა, თუმცა რეფერი **ჯეი ნადიმ** ჩათვალა, რომ პრეტენდენტს ფეხი გაუცურდა. სხვათა შორის, მარკესმა აღიარა, რომ ბარერამ მას ნოკდაუნი აგემა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ახალი ამბები

## ოლ სტარი ლონდონში?

ამერიკული პრესის ინფორმაციით, შესაძლოა NBA-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" ინგლისის დედაქალაქ ლონდონში გაიმართოს. ცოტა ხნის წინათ, ამ ქალაქში აშენდა უდიდესი სპორტული არენა, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს.

*"მას შემდეგ, რაც ჩვენ ვარსკვლავთა მატჩი ლას-ვეგასში ჩავატარეთ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ მხრივ ყველაფერია შესაძლებელი. თუ ინგლისელები თანახმანი იქნებიან, მაშინ არანაირი ბარიერი არ არსებობს"*, - განაცხადა NBA-ის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

## დალასმა ბაკნერი დაკარგა

"დალას მავერიქსს" ტრავმის გამო **გრეგ ბაკნერი** გამოაკლდა. ამ მცველმა "ფინიქსთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში მიიღო მარცხენა მუხლის ტრავმა და უკვე გამოტოვა თავისი გუნდის ორი შეხვედრა. ჯერჯერობით უცნობია, კიდევ რამდენი ხანი დასჭირდება სამკურნალოდ ბაკნერს.

*"ჯერ არ ვიცით, რამდენი ხნით დაგვაკლდება გრეგი*, - განაცხადა "დალასის" დამრიგებელმა **ეივერი ჯონსონმა**. - *შეიძლება ორი დღით, ერთი კვირით ან ათი დღით"*.

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ "მავერიქსის" კიდევ ერთ მცველს **დევეინ ჯორჯს** ტრავმის გამო არ უთამაშია ბოლო მატჩებში.

## ფილ ჯექსონი გრძელი ენისთვის დაისაჯა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და მისი მთავარი მწვრთნელი - **ფილ ჯექსონი** 50 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდიან. ამ სასჯელის მიზეზი გახდა კლუბის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელის უკმაყოფილო გამონათქვამები, რომელიც "ლეიკერსის" ლიდერის - **კობი ბრაიანტის** ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას შეეხებოდა.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა, კობი ბოლო ექვს კვირაში მესამედ დასაჯა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით. ამჯერად, ბრაიანტს ფილადელფიელი **კაილ კორვერისთვის** სახეში ჩარტყმის გამო მოუწია ერთი შეხვედრის გამოტოვება.

## შარლოტში ლარი ბრაუნი დაინიშნება?

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ახალი სეზონიდან "შარლოტ ბობკეტს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება - ამის შესახებ კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა, ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** განაცხადა.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, "ძარლოტის" შეფობა მთავარი მწვრთნელის პოსტს, ამჟამად "ფილადელფია სიქსერზის" კონსულტანტ **ლარი ბრაუნს** შესთავაზებს. გამოცდილი სპეციალისტი ამბობს, რომ მას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს მაიკლ ჯორდანთან და თუ ეს უკანასკნელი მას ამ პოსტზე მიიწვევს, უარით ვერ გაისტუმრებს.

*"მაგრამ ჯერჯერობით, კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს. ეს საკითხი დიდად არ მაღელვებს, რადგან ამ მომენტში ჩემი მდგომარეობით ისედაც კმაყოფილი ვარ"* - ამბობს ბრაუნი.

## ბოსტონმა წესი დაარღვია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 30 დოლარით დააჯარიმა "ბოსტონ სელტიქსი". მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს კლუბი ცდილობდა აქტიური კონტაქტი დაემყარებინა ტეხასის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდში მოთამაშე **კევინ დიურენტის** ოჯახთან.

NBA თავის პრეს-რელიზში წერს, რომ "სელტიქსის" წარმომადგენლებმა დაარღვიეს წესი, რომელიც უკრძალავს ასოციაციის კლუბებს NCAA-ს სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე კალათბურთელებთან და მათი ოჯახის წევრებთან კონტაქტს მანამ, სანამ ეს მოთამაშეები დრაფტის სიაში არ მოხვდებიან.

## ბატლერი 10 დღეს დაისვენებს

"ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთი ლიდერი **კერონ ბატლერი** დაახლოებით 7-10 დღე ვერ შეძლებს თამაშს.

დედაქალაქური კლუბის დამრტყმელი ტრიოს - **არენასი-ჯეიმისონი-ბატლერის** ერთ-ერთმა წევრმა მარცხენა მუხლის ტრავმა 7 მარტს მიიღო, მაგრამ თამაშს მაინც განაგრძობდა. თუმცა, კერონმა "ინდიანასთან" პარასკევის შეხვედრაში მოედანზე გასვლა ველარ შეძლო. ახლა მას ექიმებმა 10-დღიანი მკურნალობა გამოუწერეს.

27 წლის კალათბურთელმა ამ სეზონში 60 მატჩი ჩაატარა და თითოში საშუალოდ 19.1 ქულას, 7.5 მოხსნას, 3.7 შედეგიან გადაცემასა და 2.1 ჩაჭრას აგროვებდა. წელს, ბატლერმა კარიერაში პირველად "ყველა ვარსკვლავის მატჩში" ითამაშა.

## პეტროვიჩმა ზადარი ჩაიბარა

ხორვატიის "ზადარის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა **პეტარ პოპოვიჩი** და მის ნაცვლად გუნდში ცნობილი სპეციალისტი **ალექსანდრ პეტროვიჩი** მიიწვია.

ლეგენდარული **დრაჟენ პეტროვიჩის** ძმამ - ალექსანდრმა სამწვრთნელო კარიერა ზაგრების "ციბონაში" დაიწყო, ბოლო რამდენიმე წელი კი, იტალიურ და ესპანურ კლუბებში მუშაობდა. გარდა ამისა, პეტროვიჩი ცოტა ხანი, ხორვატიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც მოღვაწეობდა.

## პამესამ მწვრთნელი დაიტოვა

ესპანეთის "პამესას" შეფობამ კონტრაქტი გაუგრძელა ბერძენ მწვრთნელ **ფოცის კაციკარისს**. ეს სპეციალისტი ვალენსიურ კლუბში 2008 წლის ზაფხულამდე იმუშავებს. ახალი ხელშეკრულება კონტრაქტის ვადის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებასაც ითვალისწინებს.

"პამესას" სულ ახლახანს, პრეზიდენტი შეეცვალა - კლუბი **მანუელ ლორენტემ** ჩაიბარა და კაციკარისთან კონტრაქტის გაგრძელება ახალი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი იყო.

## ოთხთა ფინალს ხირონა უმასპინძლებს

გასულ კვირას, FIBA-ს ევროპის თასზე "ოთხთა ფინალის" ყველა მონაწილე გაირკვა. ესენი არიან, "ხირონა", "ესტუდიანტესი" (ორივე - ესპანეთი), "აზოვმაში" (უკრაინა) და "ვირტუსი" (იტალია).

გუშინ გაირკვა, რომ "ოთხთა ფინალის" მატჩებს "ხირონას" სტადიონი უმასპინძლებს. 13 აპრილს გაიმართება ნახევარფინალები - "ხირონა" "ესტუდიანტესს" შეხვდება, "აზოვმაში" ბოლონიის "ვირტუსს". ფინალი 15 აპრილს არის დანიშნული.

## ცურვა





თომას ლურცი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

# ტიტულები დაცულია

მელბურნში სტარტი აიღო მსოფლიოს ჩემპიონატმა სპორტის საწყლოსნო სახეობებში. მედლების პირველი ორი კომპლექტი ღია წყალში მოცურავეებმა გაითამაშეს. 5 კილომეტრზე ცურვაში ბადალი არ ჰყავდათ მოქმედ ჩემპიონებს - გერმანელ **თომას ლურცსა** და რუს **ლარისა ილჩენკოს**.

ასპარეზობა ძლიერ ტალღებსა და მედუზების ხროვაში ჩატარდა, რამაც მოცურავეებს ძლიერ გაურთულა საქმე. კაცების ასპარეზობას გადალლის გამო ოთხი მონაწილე გამოეთიშა, ქალების გაცურვისას კი რამდენიმე ინციდენტი მოხდა. კერძოდ, ილჩენკოს ერთ-ერთმა კონკურენტმა თავში ჩასცხო, რის გამოც მან თვალსაცავი სათვალეები დაკარგა და თითქმის ნახევარი დისტანცია ასე იცურა.

ყოველივეს მიუხედავად, ლურცი და ილჩენკო კვლავ ყველაზე სწრაფები იყვნენ. გერმანელმა ტიტული ზედიზედ მესამედ მოიპოვა, რუსისთვის კი ეს ზედიზედ მეოთხე ტრიუმფია!

*"კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ გაცილებით ძნელია ტიტულის შენარჩუნება, ვიდრე მისი პირველად მოპოვება. ასპარეზობის წინ ყველა ერთმანეთს ულიმოდა, ცურვის დროს კი ბევრი მეტოქეს იდაყვებით ავიწროებდა"*, - დაიჩივლა ილჩენკომ, ვინც ერთი მხრით აჯობა თანაგუნდელს, ევროპის ჩემპიონ **ეკატერინა სელივერსტოვას**. ბრინჯაო ერგო ავსტრალიელ **კეიტ ბრუკს-პეტერსონს**. ლურცმა კი ფინიშთან წამზე მეტით მიასწრო რუს **ევგენი დრატსევს**. მესამეზე ბერძენი **სპირიდონ გიანიოტისი** გავიდა.

წყალხტომებში პირველი ოქროს მედლები ჩინელებმა დაისაკუთრეს. **ქინ კაიმ** და **ვან ფენმა** 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, მათმა თანაგუნდელებმა **ძია ტონმა** და **ჩენ რუოლინმა** კი 10-მეტრიანი კოშკიდან აჯობეს ყველას.

სინქრონულ ცურვაში, ინდივიდუალურ ტექნიკურ დისციპლინაში, რომელიც პირველადაა შეტანილი მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში, ოქროს დაეუფლა რუსი **ნატალია იშჩენკო**.

## ჩოგბურთი

### ტურნირები

# ნადალმა ნავსი გატეხა

მეორე ნომრად განთესილი ესპანელი **რაფაელ ნადალის** გამარჯვებით დასრულდა მასტერსის სერიის პირველი ტურნირი - ინდიან ველსი, რომლის ფინალშიც მან სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მოუგო. მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის ეს პირველი ტიტულია მას შემდეგ, რაც საფრანგეთის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონი გახდა.

ნადალმა პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში სერბი მეტოქისგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. თუმცა, აგრესიული თამაშითა და ხაზიდან შესრულებული ძლიერი დარტყმებით, მიზანს მაინც მიაღწია.

*"აქ რომ მოვდიოდი, არც კი ვფიქრობდი, რომ ამ ტურნირის მოგება შემეძლო. მაგრამ ყოველი შეხვედრის შემდეგ ვრწმუნდებოდი, რომ კარგ ფორმაში ვარ და ახლა მიღწეულით ბედნიერი ვარ. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. უკვე რვა თვეა, რაც ტიტული არ მომეპოვებინა და ამით დავიღალე კიდეც. სამაგიეროდ, ახლა დიდ ტურნირზე მივაღწიე გამარჯვებას"*, - განაცხადა ნადალმა.

შეხვედრის დასაწყისში, ჯოკოვიჩს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. ის ხომ პირველად თამაშობდა მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში. ჰოდა, ეს ნერვიულობა უარყოფითად აისახა მის თამაშზე და შედეგად, მან საწყისი ოთხი გეიმი დათმო. აქედან მოყოლებული, ჯოკოვიჩმა ნერვების მოთოკვა შეძლო და შედეგად, უკეთაც ათამაშდა, მაგრამ ჩამორჩენის აღმოფხვრა მეტოქემ აღარ დაანება.

სხვათა შორის, 19 წლის სერბს ფინალამდე ერთი სეტიც არ დაუთმია. მაგრამ, რაც მანამდე მეტოქეებმა დააკლეს, ამჯერად ნადალმა "აუნაზღაურა". მეორე სეტში ჯოკოვიჩი გაცილებით უკეთ ათამაშდა. მან მოწოდებაც გამოასწორა, მისთვის საფირმო ფორჰენდებსაც უზადოდ ასრულებდა, შიგა და შიგ კი, როცა ამის საჭიროებას ხედავდა, ბადესთანაც ასწრებდა გასვლას და ამით მიზანსაც აღწევდა.

მეოთხე გეიმში მას თამაშის შემობრუნების შანსი გაუჩნდა - სამი ბრეიკ პოინტი მიიღო, მაგრამ ესპანელმა ყველა გააქარწყლა. ორ შემთხვევაში მან ძლიერი მოწოდებით გაათანაბრა ანგარიში, ერთხელ კი სერბმა დროპ შოტი ვერ გამოიყენა.

*რამდენჯერმე კარგი შანსი გავუშვი ხელიდან. თუმცა, საერთო ჯამში, ჩემი გამოსვლით კმაყოფილი არ ვარ. არც ბექჰენდი გამომდიოდა, ვერც კორტზე სწრაფ გადაადგილებას ვახერხებდი. რაღაც მიშლიდა ხელს. იქნებ, გადავიღალე კიდეც. ყოველ შემთხვევაში, რაფაელმა ჩემი ნაკლები შესანიშნავად გამოიყენა. მას ფინალებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ამის წყალობით მიაღწია მიზანს, - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც ნადალზე ერთი წლით უმცროსია.

სერბმა ათი გეიმის განმავლობაში მეტოქეს ბრეიკის მოპოვების საშუალება არ მისცა, მაგრამ შემდეგ, ნადალმა ბექჰენდით შესრულებული რამდენიმე დიაგონალური დარტყმით მოახერხა მისი გატეხვა და გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, რომელიც თავის სერვისზე გამარჯვების ქულად აქცია.



რაფაელ ნადალი

მოკლედ, ნადალმა მთელი ტურნირი სეტის წაუგებლად დაასრულა და 2000 წლის შემდეგ გახდა პირველი ესპანელი, ვინც "პასიფიკ ლაიფ ოუპენი" (ინდიან ველსი) მოიგო. შვიდი წლის წინათ ანალოგიურ წარმატებას **ალექს კორეჩამ** მიაღწია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 169 600 დოლარი

**ფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)- ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 12) 6:2, 7:5

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7715 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4755 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2865 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2755 |
| 6(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2525 |
| 7(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2395 |
| 8(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2270 |
| 9(9). ტომი ჰაასი (გერ) | 2165 |
| 10(13). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2060 |
| 11(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1995 |
| 12(14). ენდი მარეი (ბრიტ) | 1905 |
| 13(11). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1900 |
| 14(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1765 |
| 15(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1715 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 1590 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1515 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1345 |
| 19(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1255 |
| 20(23). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1230 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 261 |
| 2(2). ტომი ჰაასი (გერ) | 200 |
| 3(5). ენდი როდიკი (აშშ) | 185 |
| 4(15). რაფაელ ნადალი (ესპ) | 180 |
| 5(8). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 172 |
| 6(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 167 |
| 7(3). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 163 |
| 8(4). მიხაილ იუჟნი (რუს) | 145 |
| 9(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 135 |
| 10(10). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 121 |
| 11(8). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 117 |
| 12(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 105 |
| 13(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 103 |
| 14(12). მარდი ფიში (აშშ) | 96 |
| 15(17). კარლოს მოია (ესპ) | 94 |
| 16(13). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 91 |
| 17(14). ტომი რობრედო (ესპ) | 87 |
| 18(20). რიშარ გასკე (საფ) | 78 |
| 18(18). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 78 |
| 20(21). ხუან კარლო ფერერო (ესპ) | 72 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 311 560 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 515 080 |
| 3. ტომი ჰაასი (გერ) | 498 190 |
| 4. მიხაილ იუჟნი (რუს) | 463 360 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 348 640 |
| 6. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 300 545 |
| 7. ენდი მარეი (ბრიტ) | 260 305 |
| 8. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 255 830 |
| 9. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 240 650 |
| 10. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 234 265 |
| 11. მარდი ფიში (აშშ) | 202 800 |
| 12. მარკოს ბაღდატისი (კვი) | 202 780 |
| 13. ტომი რობრედო (ესპ) | 195 690 |
| 14. ფაბრის სანტორო (საფ) | 191 425 |
| 15. რაფაელ ნადალი (ესპ) | 191 095 |
| 16. ბობ ბრაიანი (აშშ) | 189 960 |
| 16. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 189 960 |
| 18. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 186 260 |
| 19. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 180 980 |
| 20. დავიდ ფერერი (ესპ) | 175 750 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(2). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3645 |
| 2(1). მარია შარაპოვა (რუს) | 3564 |
| 3(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2947 |
| 4(3). ამელი მორესმო (საფ) | 2933 |
| 5(5). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2630 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2280 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2135 |
| 8(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1856 |
| 9(9). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1823 |
| 10(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 1683 |
| 11(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1670 |
| 12(18). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1557 |
| 13(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1552 |
| 14(12). დინარა საფინა (რუს) | 1528 |
| 15(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1447 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1284 |
| 17(17). ნა ლი (ჩინ) | 1282 |
| 18(15). სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1119 |
| 20(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1032 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 991 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 960 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 915 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 885 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 866 |
| 7. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 822 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 725 |
| 10. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 700 |
| 11. ანა ივანოვიჩი (სერ) | 630 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 625 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 601 |
| 14. ნა ლი (ჩინ) | 556 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 501 |
| 16. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 495 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 435 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 414 |
| 19. დინარა საფინა (რუს) | 411 |
| 20. ვერა ზვონარევა (რუს) | 327 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 284 715 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 710 890 |
| 3. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 542 923 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 492 463 |
| 5. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 478 320 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 471 605 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 455 640 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 396 523 |
| 9. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 341 827 |
| 10. ამელი მორესმო (საფ) | 340 373 |
| 11. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 309 593 |
| 12. კარა ბლეკი (ზიმ) | 294 663 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 251 911 |
| 14. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 241 983 |
| 15. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 222 803 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 222 041 |
| 17. სამანტა სტოსური (ავტრა) | 215 723 |
| 18. ანა ივანოვიჩი (სერ) | 195 530 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიც) | 182 593 |
| 20. ვერა ზვონარევა (რუს) | 182 349 |

## სხვადასხვა


ეროვნული ბიბლიოთეკა


ჰოკეი

# მისტერ ამერიკა

"დალას სტარზის" ერთ-ერთი ლიდერი - **მაიკ მოდანო** ჰოკეის ეროვნული ლიგისა და ამერიკული ჰოკეის ისტორიაში შევიდა. "ნეშვილთან" მატჩში ვეტერანმა ფორვარდმა კარიერაში 503-ე შაიბა გაიტანა და ამ მაჩვენებლით, ამერიკელ მოთამაშეებს შორის ყველა დროის რეკორდსმენი გახდა.

წინა რეკორდი **ჯო მალენს** ეკუთვნოდა, რომლის ანგარიშზე 502 გოლი იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მალენმა თავის შედეგს 1062 მატჩში მიაღწია, იმ დროს, როცა მოდანომ 503 შაიბის გატანას 1227 მატჩი მოანდომა.

ახლა, მაიკ მოდანოს წინ კიდევ ერთი მიზანი აქვს - გახდეს NHL-ის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ამერიკელი ჰოკეისტი. ამისათვის, მან უნდა გააუმჯობესოს **ფილ ჰაუსლის** რეკორდი, რომელიც 1232 ქულას (1495 მატჩში) უტოლდება. ამ დროისთვის, მოდანოს ანგარიშზე 1217 ქულა გახლავთ.

# შენეჰანი ბრუნდება, სტრაკა დაიმტვრა

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი **ბრენდან შენეჰანი** შესაძლოა უკვე ამ კვირას დაუბრუნდეს ყინულს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ვეტერანი თავდამსხმელი პირველად მოედანზე "პიტსბურგთან" (19 მარტი) ან "ფილადელფიასთან" (21 მარტი) მატჩში გამოჩნდება.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის შუა რიცხვებში, იმავე "ფილადელფიასთან" მატჩში, 38 წლის შენეჰანმა ტვინის შერყევა მიიღო. იმ მომენტისთვის, ბრენდანს 58 შეხვედრაში 54 ქულა (28 გოლი+26 პასი) ჰქონდა დაგროვებული.

ამასობაში, "რეინჯერსმა" გაურკვეველი ვადით დაკარგა კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდი - **მარტინ სტრაკა**. ჩეხმა ჰოკეისტმა "ბოსტონთან" მატჩში დაიზიანა მუხლი. 34 წლის თავდამსხმელმა, ამ სეზონში 69 მატჩში 65 ქულა (27 გოლი+38 პასი) დააგროვა.

აღსანიშნავია, რომ სტრაკას გარდა, ნიუიორკული კლუბის ლაზარეთში იმყოფებიან **მარსელ ჰოსა, კარელ რახუნეკი** და **ფიოდორ ტიუტინი**.

# ლემიე პინგვინებს აღარ ყიდის და სტენლის თასს უმიზნებს

მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ ქალაქ პიტსბურგში ჰოკეის ადგილობრივ კლუბ "პინგვინზისთვის" ახალი არენა აშენდება, გუნდის ერთ-ერთმა მფლობელმა **მარიო ლემიემ** განაცხადა, რომ აღარ გეგმავს "პინგვინების" გაყიდვას. ეს ინფორმაცია სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა.

*"დიდი ხნის წინათ ვთქვი, რომ ჩემი მიზანი - "პინგვინზის" პიტსბურგში დატოვება და სტენლის თასის მოპოვება იყო. პირველი მიზანი მიღწეულია, ახლა სტენლის თასის მოგებაზე უნდა ვიფიქროთ"*, - აცხადებს ლემიე.

ჩოგბურთი

# ჰონორარები როლან გაროსზეც გაათანაბრეს

საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა უიმბლდონის შეფებს მიბაძეს და გამოაცხადეს, რომ ქალთა და ვაჟთა ტურნირებზე საპრიზო ფონდი თანაბარი იქნება. აქამდე, "როლან გაროსი" "დიდი სლემის" ოთხი ჩემპიონატიდან ერთადერთი იყო, სადაც ვაჟები ქალებზე მეტ თანხას იღებდნენ, მაგრამ ფრანგებმა ეს "გაუგებრობა" ორი დღის წინათ მოაგვარეს.

2007 წლის სეზონში საფრანგეთის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 15 264 500 ევრო (20.34 მილიონი დოლარი) იქნება. ქალებსა და ვაჟებში გამარჯვებულები, თითოზე მილიონ ევროს მიიღებენ.

# მორესმომ ორდენი მიიღო და ოპერაცია გაიკეთა

ფრანგი ჩოგბურთელი **ამელი მორესმო** საფრანგეთის საპატიო ორდენის კავალერი გახდა.

მსოფლიო კლასიფიკაციის მეოთხე ნომერს ეს საპატიო ჯილდო ქვეყნის პრეზიდენტმა **ჟაკ შირაკმა** გადასცა. დაჯილდოებისას პრეზიდენტმა მორესმოს "უდიდესი ფრანგი ჩოგბურთელი" უწოდა.

გასულ კვირას, ამელიმ გამოტოვა ინდიან უელსის ტურნირი და კორტზე რამდენიმე დღის შემდეგ აპირებდა დაბრუნებას - ეს მაიამის პირველი კატეგორიის ტურნირზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ მოულოდნელად, მორესმოს ბრმა ნაწლავის ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრანგი ჩოგბურთელი დაახლოებით 6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. სწორედ ამიტომაც, ამელის მაიამის გარდა, ამელია-აილენდისა და ჩარლსტოუნის ტურნირების გამოტოვებაც მოუწევს.

სამთო თხილამურები

# შვეიცარია უმწვრთნელოდ დარჩა

მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის მსვლელობისას, შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **ფრიტც ცუგერმა**.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის დაბალი შედეგები, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში ამ ქვეყნის ქალი მოთხილამურეები აჩვენებდნენ. კერძოდ, მთელი წლის განმავლობაში, შვეიცარიელი ქალები მხოლოდ ორჯერ ავიდნენ მსოფლიო თასის ეტაპების პოდიუმზე, ხოლო შვედეთის ქალაქ ორეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი მედალიც კი ვერ მოიგეს.

ცუგერის შემცვლელის ვინაობა უახლოეს რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

კრივი

# უმცროსი კლიჩკო ბრიუსტერს შეხვდება

ზემძიმე წონაში IBF-ის მსოფლიო ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** შესაძლოა შემდეგ ბრძოლაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ამერიკელ **ლეიმონ ბრიუსტერს** დაუპირისპირდეს. კლიჩკოს მრჩეველმა **შელი ფინკელმა** დაადასტურა, რომ ამ მომენტისთვის, მოკრივეთა წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ და თუ ის წარმატებით ჩაივლის, კლიჩკო და ბრიუსტერი ამა წლის ივნისში ან ივლისში შეხვდებიან ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, ბრიუსტერმა მოულოდნელად დაამარცხა ვლადიმერ კლიჩკო WBO-ს ვაკანტური ტიტულისთვის ბრძოლაში, მაგრამ 2006 წელს, მოპოვებული საჩემპიონო ქამარი ბელარუს მოკრივე **სერგეი ლიახოვიჩთან** დათმო. თანაც, ამ ბრძოლაში ბრიუსტერმა მარჯვენა თვალი დაიზიანა და მის სამკურნალოდ ოპერაციაც კი დასჭირდა. გასული წლის დეკემბერში კი, ბრიუსტერმა კრივში დაბრუნება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ კვლავ აპირებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

პარიზი-ნიცა

# კონტადორი გაყვითლდა

"დისქავერი ჩენელის" ესპანელი **ალბერტო კონტადორის** ტრიუმფით დასრულდა პრო ტურის პირველი ეტაპი - პარიზი-ნიცას რბოლა, რომელსაც მეორენაირად "მზისკენ რბოლასაც" უწოდებენ.

ბოლო, მეშვიდე ეტაპის წინ, ორ ლიდერს - იტალიელ **დავიდე რებელინსა** და კონტადორს ოდენ 6 წამი აშორებდა. ბოლო ეტაპი კი ნიცის გარშემო ჩატარდა და ველომრბოლებს რამდენიმე სერიოზული ალმართის გავლა მოუხდათ. მარშრუტის სირთულის გამო, გარკვეული უპირატესობა კონტადორის მხარეს უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს უპირატესობა მას ძნელ პაექრობაში უნდა მოეპოვებინა.



ალბერტო კონტადორი

ამერიკული გუნდის ველომრბოლეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთ ლიდერს საკადრისი სამსახური გაუწიეს და საქმეც ამით გაუადვილეს. ამერიკელებმა **ტომ დანიელსონმა, ლევი ლაიპჰაიმერმა** და უკრაინელმა **იაროსლავ პოპოვიჩმა** კონტადორი პირველ ორ მთაზე (კოლ დე ლა პორტე და კოლ დე ლა ტურბი) ატარეს და გადამწყვეტ მთამდეც (კოლ დ' ეზი) მიაცილეს, რის შემდეგაც ესპანელმა რებელინთან ჩამორჩენა მალე ამოფხვრა და წინაც გავიდა. მან დაღმართზეც იოლად შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა და ნიცაში მდებარე ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

*"შევნიშნეთ, რომ რებელინი დაღლილი იყო და თანაც, მარტო დარჩენილიყო. ამიტომ, ბოლომდე გამოვაცალეთ არაქათი. ვიცოდი, რომ ფინიში სწორზე იქნებოდა, ამიტომ, ამ მთაზე უნდა მომეპოვებინა უპირატესობა"*, - განაცხადა 24 წლის კონტადორმა, ვინც ორი წლის წინათ ცერებრალური ანევრიზმის გამო, კომაში ჩავარდა და კინაღამ სული განუტევა. ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე პესრპექტიული ველომრბოლია პრო ტურის პელოტონში.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-7 ეტაპი. ნიცას გარშემო (129.5 კმ)

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3:15.47 (39.686 კმ/სთ); 2. დავიდ ლოპეს გარსია (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.19; 3. ხოაკიმ როდრიგესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.19; 4. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.22; 5. ალექსანდრე ბოჩაროვი (რუსეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.22; 6. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.22...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 29:55.22; 2. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.26; 3. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.42; 4. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.49; 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.57; 6. დავიდ ლოპეს გარსია (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.00...

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# სვინდალის ოცნების სეზონი



აქსელ ლუნდ სვინდალი და ნიკოლ ჰოსპი

დასრულდა სამთო მოთხილამურეთა სეზონი და გაირკვა იმ ორი მოთხილამურის ვინაობა, რომლებმაც მსოფლიოს თასი აბსოლუტურ ჩათვლაში მოიპოვეს. ესენი არიან ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** და ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**.

ალბათ გახსოვთ, რომ ბოლო ორი ეტაპის წინ, აბსოლუტურში ავსტრიელი **ბენი რაიხი** ლიდერობდა, ვინც სულ სამ ქულას უგებდა სვინდალს. თუმცა, რამდენადაც რაიხი ტექნიკურ რბოლებზეა განაფული, სვინდალს კი უფრო ჩქაროსნული რბოლები ეხერხება, ბროლის დიდი გლობუსის მოპოვების უფრო მეტი შანსი რაიხს უნდა ჰქონოდა.

მაგრამ ნორვეგიელმა გიგანტური სლალომის მოგებით, ხელთ იგდო ლიდერობა, სლალომი კი მე-15 ადგილზე დაასრულა, რაც სრულიად საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ აბსოლუტურში პირველობა შეენარჩუნებინა. არადა, სლალომში ერთი ადგილით დაბლა რომ გასულიყო, მაშინ ქულას ველარ მიიღებდა (ფინალურ რბოლაში მხოლოდ მოწინავე 15 მოთხილამურე ღებულობს ქულებს) და დიდ გლობუსსაც რაიხი დაისაკუთრებდა.

რაიხმა თავისი საქმე შესანიშნავად შეასრულა - თითქმის წამით აჯობა თანაგუნდელ **მარიო მატს**. მაგრამ მან რომ ფინიშის ხაზი გადაკვეთა, სვინდალი უკვე ზეიმობდა, რადგან იცოდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი გლობუსი მას დარჩებოდა. არადა, სანამ ლენცერჰაიდეში ჩავიდოდა, მას აბსოლუტურში მესამე ადგილი ეკავა რაიხისა და შვეიცარიელი **დიდიე კუშის** შემდეგ. სეზონის ბოლოს კი ნორვეგიელის უპირატესობამ 13 ქულა შეადგინა.

*"ძალიან ვინერვიულე. ერთხელ ტაბლოს გავხედე, იქ კი ჩემი გვარი მეხუთე ადგილზე ეწერა. ვიფიქრე, რომ აბსოლუტურში ლიდერობის შენარჩუნება არ მეწერა. მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მე-15 ადგილზე გავედი, რაც პირველად არც კი დავიჯერე. შესანიშნავი სეზონი მქონდა - სამი პატარა გლობუსი და ერთიც დიდი. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ორი ოქრო ავიღე. ამაზე მეტს ვერც ვიოცნებებდი"*, - განაცხადა სვინდალმა ვინც დაშვებაში, სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში ბროლის მცირე გლობუსებს დაეპატრონა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი გიგანტურ დაშვებასა და გიგანტურ სლალომში მოიგო ოქრო.

ჰოსპმაც დიდი გლობუსი ბოლო რბოლაში, გიგანტური სლალომის მოგებით მოიპოვა. ამ რბოლის წინ, ის თანამემამულე **მარლის შილდს** 30 ქულას უგებდა და მეორე ადგილიც ჰყოფნიდა იმისთვის, რომ ლიდერობა შეენარჩუნებინა. თუ ჰოსპს ხელი მოეცარებოდა, მაშინ შილდისთვის მერვე ადგილიც საკმარისი იქნებოდა ჩემპიონობისთვის.

სხვათა შორის, შილდმა ლიდერობა სლალომის შემდეგ დაკარგა. სეზონის ბოლო სლალომი სწორედ ჰოსპმა მოიგო. არადა, წინა რვა რბოლიდან შილდს შვიდი მოგებული ჰქონდა. გიგანტურ სლალომში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს ჩემპიონმა ორივე ცდა ბრწყინვალედ შეასრულა და დიდი გლობუსის გარდა, გიგანტურის პატარა გლობუსსაც დაეპატრონა.

სხვათა შორის, ქალ მოთხილამურეებში ყველა გლობუსი ავსტრიელების ნადავლი გახდა - დაშვებასა და სუპერგიგანტში პირველი **რენატე გიოჩლი** იყო, სლალომში კი პირველობა ადრევე გაინაღდა შილდმა. კაცებში კი ერთადერთი გლობუსი, რომელიც სვინდალმა ვერ მოიპოვა, სუპერგიგანტისაა. ეს ჯილდო შინ ამერიკელმა **ბოდე მილერმა** წაიღო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ლენცერჰაიდე (შვეიცარია)

### კაცები

გიგანტური სლალომის ბოლო ეტაპი

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:07.82 (1:03.47, 1:04.35); 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:08.03 (1:03.46, 1:04.57); 3. ბოდე მილერი (აშშ) 2:08.49 (1:04.70, 1:03.79); 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:08.63 (1:04.14, 1:04.49); 5. მარკ ბერთო (შვეიცარია) 2:08.69 (1:05.00, 1:03.69)...

სლალომის ბოლო ეტაპი

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:39.78 (48.19, 51.59); 2. მარიო მატი (ავსტრია) 1:40.75 (48.76, 51.99); 3. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 1:41.52 (49.53, 51.99); 4. მარკ ბერთო (შვეიცარია) 1:41.70 (49.44, 52.26); 5. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 1:41.75 (49.16, 52.59...

სლალომის საბოლოო კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 605; 2. მარიო მატი (ავსტრია) 600; 3. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 490; 4. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 340; 5. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 334...

გიგანტური სლალომის საბოლოო კლასიფიკაცია

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 416; 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 380; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 319; 4. კალე პალანდერი (ფინეთი) 299; 5. ფრანსუა ბურკე (კნადა) 249...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1268; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1255; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1098; 4. ბოდე მილერი (აშშ) 882; 5. მარიო მატი (ავსტრია) 744...

### ლენცერჰაიდე (შვეიცარია)

### ქალები

გიგანტური სლალომის ბოლო ეტაპი

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:11.98 (1:03.10, 1:08.88); 2. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:13.40 (1:03.99, 1:09.41); 3. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 2:13.51 (1:04.25, 1:09.26); 4. მანუელა მიოლეგი (იტალია) 2:14.12 (1:03.96, 1:10.16); 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:14.37 (1:03.72, 1:10.65)...

სლალომის ბოლო ეტაპი

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:45.67 (53.49, 52.18); 2. ანია პერსონი (შვედეთი) 1:45.95 (53.72, 52.23); 3. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:47.02 (54.09, 52.93); 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:47.04 (54.24, 52.80); 5. ანა ოტოსონი (შვედეთი) 1:47.25 (54.75, 52.50)...

სლალომის საბოლოო კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 760; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 418; 3. სარკა ზაროზსკა (ჩეხეთი) 405; 4. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 389; 5. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 344...

გიგანტური სლალომის საბოლოო კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 490; 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 419; 3. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 357; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 275; 5. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 228...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1572; 2. მარლის შილდი (ავსტრია) 1482; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1356; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1300; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 885...

## TV სპორტი

### 20 მარტი. სამშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:15 ტოქ-შოუ - 2:1.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:55 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხიმნასტიკი.
10:20 სპორტკლუბი.
11:20 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ამადორა-ბენფიკა.
13:05 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. იტუანო-სანტოსი.
15:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი. საფრანგეთი.
18:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
20:30 სპორტინფორმი.
20:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 სპორტინფორმი.
22:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ამადორა-ბენფიკა.
00:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:25 სპორტინფორმი.
01:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ნიუ ჯერსი (LIVE).
06:05 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. იტუანო-სანტოსი.

### EUROSPORT

11:30 მძლეოსნობა. მარათონი. სამხრეთ კორეა.
12:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ტოკიო. იაპონია (LIVE).
15:45 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-შოტლანდია. აომორი. იაპონია (LIVE).
18:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო-ადრიატიკო. VI ეტაპი.
18:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო-ადრიატიკო. VII ეტაპი (LIVE).
19:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვები. ტოკიო. იაპონია.
22:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ტოკიო. იაპონია.
00:00 პროფესიული კრივი (LIVE).
02:00 მოტოსპორტი.
02:30 სნუკერი.
03:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
04:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფლეი ოფი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისის თასი** | |
| **1/4 ფინალი. გადათამაშება** | |
| მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო | 1:0 |
| ტოტენჰემი-ჩელსი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| იუვენტუსი-ტრიესტინა | 5:1 |
| **სერია C1/A** | |
| გროსეტო-ნოვარა | 1:0 |
| **სერია C1/B** | |
| იუვე სტაბია-სალერნიტანა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰანზა-კიოლნი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრენობლი-სტრასბური | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| ამადორა-ბენფიკა | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ბრნო | 2:1 |
| **უკრაინა** | |
| შახტარი-მეტალურგი (დ) | 2:1 |
| *დემეტრაძე განაცხადში იყო* | |
| **უნგრეთი** | |
| მტკ-ვაშაში | 2:2 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-კოშიცე | 4:3 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ილვესი | 6:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 2:2 |
| ტაპარა-კიეკო | 1:7 |
| ჰპკ-ჰიფკ | 5:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სპარტა | 5:2 |

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 7:1**

2:0, 3:1, 2:0

გოლები: 1:0 ფლიშმანი-3 (ბ. გორდონი-20), 2:0 ფლიშმანი-4 (ბიჩი-16, იურჩინა-7), 3:0 სიომინი-35 (კ. კლარკი-20, პოტიე-22), 4:0 სიომინი-36 (ფლიშმანი-3), 5:0 სიომინი-37 (ბიჩი-17, ბრედლი-9), 5:1 კუბა-11 (იანიკი-8, ტარნავსკი-4), 6:1 ჟირუ-2, 7:1 ბ. გორდონი-5 (ფლიშმანი-4, შ. მორისონი-10).

**ატლანტა-ბაფალო 4:3 (ო)**

2:1, 0:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კოვალჩუკი-38 (ჟიტნიკი-28, მარიან ჰოსა-52), 1:1 სტეფორდი-9 (დ. რუა-37, ვანეკი-34), 2:1 ბელანჟე-16 (სატონი-12), 2:2 ვანეკი-35 (ნუმინენი-24, კალინინი-17), 3:2 ჟიტნიკი-7 (ჰაველიდი-18, ტკაჩუკი-26), 3:3 დ. რუა-15 (ტალინდერი-9, ბ. კემპბელი-40), 4:3 ტკაჩუკი-26 (ვიაჩ. კოზლოვი-50, ჟიტნიკი-29).

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 3:5**

2:2, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 კამალერი-30 (დ. ბრაუნი-24, ო'სალივანი-9), 1:1 მოენი-10 (პალსონი-17, ო'დონელი-14), 2:1 პენერი-26 (პერი-22, გეტცლაფი-27), 2:2 კამალერი-31 (ო'სალივანი-10), 3:2 სელიანე-44 (კუნიტცი-32, ჯეკმენი-10), 3:3 რობ ბლეიკი-14 (დ. ბრაუნი-25, ვიშნოვსკი-39), 3:4 ო'სალივანი-4 (ფროლოვი-33, ცილერი-2), 3:5 ნ. კლარკი-2 (კოსტოპულოსი-15, მილერი-7).

**კოლორადო-სან ხოსე 4:3 (ო)**

1:1, 1:2, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ჯ. ტორნტონი-20 (მ. კარლი-26, მ. მიხალეკი-35), 1:1 არნასონი-16 (ბ. კლარკი-29, საკიკი-53), 1:2 მ. მიხალეკი-20 (ჯ. ტორნტონი-76, ჰენანი-19), 1:3 გერინი-33 (ვლასიჩი-20, მარლო-39), 2:3 ლაილსი-12 (ბრუნეტი-46, საკიკი-54), 3:3 ბრუნეტი-25 (კლი-15, საკიკი-55), 4:3 ჰეიდუკი-30 (საკიკი-56, ბუდაი-2).

**დალასი-ფინიქსი 5:4 (ო)**

2:1, 0:2, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 სიოსტრიომი-8 (კ. ადამსი-8), 1:1 მორროუ-11 (ბარნსი-11), 2:1 ჰაგმანი-17 (ი. ლეჰტინენი-15, ი. იოკინენი-32), 2:2 დ. მორისი-5 (ნოლანი-22), 2:3 ტიარნკვისტი-5 (ბოინტონი-7, რიონიკი-14), 3:3 რიბეირო-12 (ნადი-35, მოდანო-17), 4:3 ზუბოვი-11 (ნადი-36, მიეტინენი-11), 4:4 დოენი-26 (რაინპრეხტი-18, ნ. კაპანენი-14), 5:4 რიბეირო-13 (ბუშე-29, ზუბოვი-39).

**პიტსბურგი-ოტავა 4:3 (ო)**

1:1, 2:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ტელბოტი-11 (გონჩარი-47, კ. არმსტრონგი-20), 1:1 ვერმეტი-18 (კ. კელი-20, კ. ნილი-14), 2:1 კროსბი-32 (რაიან უიტნი-42, მალკინი-46), 2:2 ალფრედსონი-26 (კორვო-23, მ. ფიშერი-24), 3:2 რაიან უიტნი-11 (კროსბი-76, გონჩარი-48), 3:3 რედენი-7 (სპეცა-46, ჰიტლი-50).

# სავსე სტადიონი ღელავს

ვისთვის როგორ: ჩვენ რომ შოტლანდია-საქართველოს ველით დიდი ამბით, ვიღაცისთვის ობერჰაუზენ-ბურგჰაუზენის ეპიკური დაპირისპირება უფრო მნიშვნელოვანია რომელიღაც ბუნდესლიგაში.

და რაც შეეხება ლირიკას, ეს წერილის კი არა, ლექსის სათაურია. მგონი, პოეზია პირველად შემოიჭრა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ამ ერთობ რიტმული სტრიქონებით. სამწუხაროდ, შემოკლებით დავბეჭდეთ - იყო პირველი ნაწილიც, რაიც ეძღვნებოდა იბერიის მეფე ფარსმანის (II ს) სტუმრობასა და ჩაუქობას რომში, რის შედეგადაც მაშინდელ იმპერატორ პიუს ანტონიუსს სტუმრის ძეგლის დადგმა უბრძანებია მარადიულ ქალაქში. შემდგომ, გავლებულია პარალელი ფარსმანსა და თანამედროვე ქართველ სპორტსმენს შორის.

ლექსი ცხელ-ცხელია, 15 მარტით დათარიღებული. დაკვირვებული თვალი უთუოდ ყურადღებას მიაქცევს ტაეპს - მიდი, რომ ყიჟინა მოსწყდეს პარიზს, **გლაზგოსა** და მილანს...

მაშინ ჯერ არ იყო გარკვეული, ითამაშებდა თუ არა კახა კალაძე გლაზგოში, 24 მარტს. 12 მარტს საქართველოს ნაკრების კაპიტანი "ლელოს" კორესპონდენტ დავით ცაბაძეს ეუბნება:

**- სულ მცირე, 7-8 დღე დამჭირდება გამოსაჯანმრთელებლად. კარგი იქნება, თუ ამ ვადაში ჩავეტიე. მსუბუქი ტრავმა არაა და დიდი დატვირთვის ნაადრევად მიღებას ექიმები მიკრძალავენ.**

**დ.ც. - გლაზგოში თამაშს შეძლებ?**

**კ.კ. - გადაჭრით მიჭირს რამეს თქმა, მაგრამ მეეჭვება, ალბათ უფრო ვერ ვითამაშებ. მცირედი შანსი ჯერ კიდევ არის და ვნახოთ.**

**დ.ც. - ნაკრების ხელმძღვანელობას თუ ესაუბრე?**

**კ.კ. - არა, ჯერ არა, ხვალ-ზეგ კიდევ შევხედავ ფეხს და საბოლოოდ ამის მერე გადაწყდება, შევძლებ თუ არა თამაშს.**

მეორე დღეს, ჩვენივე გაზეთში იბეჭდება ნაკრების მენეჯერის, **თამაზ ბოკერიას** სიტყვები: **კალაძეს ახლახან ვესაუბრე და მითხრა - თუ 18 მარტს, "ატალანტას" წინააღმდეგ 18 კაცში მაინც მოვხვდი, ესე იგი, 24 მარტს გლაზგოშიც ვითამაშებო!**

სამი დღის შემდეგ, 16 მარტს, საბოლოოდ ირკვევა, რომ კაპიტანი ვერ ითამაშებს!

კალაძემ ბოლოს სწორედ გლაზგოში ითამაშა - "სელტიკთან", 20 თებერვალს, ფეხი იტკინა და მეორე ტაიმში შეცვალეს. 12 მარტს, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ფეხბურთელი ჯერ სრული დატვირთვით არ ვარჯიშობს.

მაგრამ არის შანსი, რომ 18 მარტს, "ატალანტასთან" კალაძე სათადარიგოთა სკამზე მაინც მოხვდეს! 18-დან 24 მარტამდე მთელი 6 დღეა. ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტია შანსი, რომ კალაძემ 24 მარტს შოტლანდიის ნაკრებთან თამაში შეძლოს.

კიდევ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტნის პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე ასეთი ყოფილიყო:

- გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ, ცხადია, გუნდთან ერთად, გლაზგოში ვიქნები და თუ მცირედი შანსი მაინც იქნა, რა თქმა უნდა, ვითამაშებ!

შეგვიძლია, უფრო მოხდენილადაც ვათქმევინოთ: - თუ ფეხმა გამიშვა, ვითამაშებ, აბა რას ვიზამ?!

მაგრამ კაპიტანი პასუხობს ასე: - გადაჭრით მიჭირს თქმა, მაგრამ მეეჭვება. ძალიან კი მინდა თამაში, მაგრამ **ალბათ უფრო ვერ ვითამაშებ**. მცირედი შანსი ჯერ კიდევ არის და ვნახოთ.

კაპიტანი ფრთხილი კაცია. ის ყოველთვის ასე ლაპარაკობს. ასე იყო ფარერებთან და საფრანგეთთან თამაშის წინ (შეგიძლიათ, გაიხსენოთ, რა ვითარებაში მიიღო ის ტრავმა). მაშინაც თავიდანვე, ტრავმის მიღებისთანავე ასე ამბობდა - მცირე შანსია და **ალბათ უფრო ვერაო**. ცხადია, თავისი ტრავმის ამბავი თვითონ უკეთ იცის, მაგრამ...

არ გვინდა რევერანსები - დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თუ მცირე მიზეზი მაინც ექნა, ის არ გარისკავს და ნაკრებში არ ითამაშებს!



**კახი კალაძეს**

სავსე სტადიონი ღელავს,
ბურთი გრიგალივით დაჰქრის,
ეკრანს ვუყურებ და მჯერა
მიხვალ და შეტევას ჩაშლი.

"მიდი, გვასახელე კახა!"
იბერთ შეძახილი ისმის,
უცხოთ დაანახვე ახლაც,
რომ ჩვენ მღელვარე გვაქვს სისხლი.

ფეხზე გვემტვრეოდა ხუნდი,
ცხენებს ვასნავლიდით ნავარდს,
მოყვასს რომ ვხვდებოდით გულით,
დუშმანს მტრულადა და ავად.

ცეცხლი დაგვინთია ბურთით
ორთქლი ასდიოდა ჩოგანს,
ბევრჯერ, რომ ელავდა ხმალი
სარმაც იბრძოდაო ზოგან.

მიდი მოაგონე ყველას
უხმლოდ მოგვიგია ომი,
გაგვიკვირვებია ძველად,
პერსეპოლისი და რომი.

მიდი გაუმაგრე ქარტა
ქართვლის შეურცხვენელ სახელს,
რომ არ დაავიწყდე კახა,
შენით აღტაცებულ მნახველს.

მეფე ფარსმანივით ჩაუქს
შენაც გაცილებენ ტაშით,
ვაჟკაცს ვინ შეჰკადრებს აუგს
ფრთებს თუ არწივივით გაშლის.

სპორტსმენს სამშობლოზე მლოცველს
ხალხის გულში აქვსო ბინა,
მიდი, რომ ყიჟინა მოსწყდეს
პარიზს, გლაზგოსა თუ მილანს.

მიდი, გაგვახარე კიდევ
ჩვენც ხომ ველოდებით ფინალს,
ნატვრა გულის გულში გვიდევს
და მზის სხივებივით ბრწყინავს.

ვალერიან მამუკელაშვილი

*15 მარტი, 2007 წ*

ახლა მივყვეთ, მერე რა მოხდა. მიაქციეთ ყურადღება ჟურნალისტის **კითხვას: - ნაკრების ხელმძღვანელობას თუ ესაუბრე?**

არ უსაუბრია. მხოლოდ მეორე დღეს ელაპარაკა ნაკრების მენეჯერი. **პასუხი: - არა, ჯერ არა, ხვალ-ზეგ კიდევ შევხედავ ფეხს და საბოლოოდ ამის მერე გადაწყდება, შევძლებ თუ არა თამაშს.**

ხვალ-ზეგ კიდევ შეხედავს. კი მაგრამ, ვინ გადაწყვეტს? ცხადია, "მილანის" ექიმი! აბა, გლაზგოში თუ გაუშვეს და საქართველოს ნაკრების ექიმს გადააწყვეტინეს, ხომ შეიძლება, ათამაშონ კიდეც!

არა, მთლად ეგრეც არ არის, ბოლოსდაბოლოს, თვითონ თუ არ უნდა თამაში, ძალით ხომ არ ათამაშებენ? მოკლედ, ერთი-ორი დღე შეხედავს ფეხს და მერე თავად დაურეკავს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას. და გადაწყვეტილებას აცნობებს. გადაწყვეტილებას თავად ფეხბურთელი იღებს. ასეთ სათუო შემთხვევაში, რა თქმა უნდა - როცა ჯერ არ იცი, 18 მარტს "ატალანტასთან" ითამაშებ თუ არა.

და რას აკეთებს ამ დროს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა? როგორ, ნაკრების კაპიტანმა 20 თებერვალს ტრავმა მიიღო და 12 მარტამდე არავის უკითხავს, ითამაშებს თუ არა შოტლანდიასთან? ნაკრების მენეჯერმა უნდა იკითხოს ეს ამბავი თუ ნაკრების მწვრთნელმა? ტელეფონით უნდა იკითხოს თუ მილანში უნდა ჩააკითხოს და მოიკითხოს? აი, რამდენი შეკითხვა დაგროვდა.

საბოლოოდ, ასე მოხდა: 16 მარტს გაირკვა, რომ კალაძე "ატალანტასთან" ვერ ითამაშებდა და მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშებდა. სრულ დატვირთვაზე ჯერაც არ გადასულა, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობდით 12 მარტზე - როცა შანსი ჯერ კიდევ იყო. თეორიული, ცხადია - ვინც ის ინტერვიუ წაიკითხა, მიხვდებოდა, რომ კაპიტანი გლაზგოში არ ჩავიდოდა. ასპროცენტიანი. ინტონაციაზე ეტყობოდა - ალბათ უფრო ვერა...

"მილანის" ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ კალაძე აპრილამდე, "ბაიერნთან" მატჩამდე არ ითამაშებს და ტრავმას ბოლომდე მოიშუშებს. რა გლაზგო, გლაზგო უკვე გაიარეს მაგათ. ახლა მიუნხენი ელით. ჩვენ რა უნდა ვქნათ? რავი, სიტყვაზე უნდა ვენდოთ! აბა, ექიმის ცნობას ხომ არ მოვთხოვთ?

აგერ, ვიღაცამ ოპერაცია გაიკეთა. მაგაზეც ცნობას ხომ არ მოვითხოვთ, რომ ეს ოპერაცია მაინცდამაინც ახლა იყო საჭირო. მხოლოდ ინტრიგანს და მედიცინაში ჩაუხედავ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ასეთი ეჭვი: - ხომ უნდა წასულიყო ეს კაცი ნაკრებში, კლუბში კი ორი თამაში გაეცდინა? ბარემ ოპერაცია გავუკეთოთ და ამის ხარჯზე გააცდინოს. ყოველგვარი სიტუაცია საშენოდ უნდა გამოიყენო!

აქ გვარს აღარ დავასახელებ, იმიტომ რომ ზუსტად არ ვიცი და თან ასეთი ამბავი მოხდა ხელბურთშიც, მომხდარა ფეხბურთშიც, რაგბში... არა რაგბში ცოტა სხვა ამბავი მოხდა და ალბათ ამ კვირაში მაგაზეც ვისაუბრებთ. ალბათ, ჯერ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა დაწერას. რამდენიმე დღეა, მარცხენა ხელის შუათითი მაწუხებს და კლავიატურაზე კაკუნისას საშინელ ტკივილს ვგრძნობ. ეხუმრები შენ 5000 დაკაკუნებას? ამიტომაც, ვერ შეგპირდებით, ალბათ უფრო...

აგერ, კოლეგა პაატა ნაცვლიშვილსაც თურმე ორი წელი აწუხებდა... აკაკიოსის ლანდი! ჩემი წერილის სათაურია ესა. და ორი წლის შემდეგ პასუხი მივიღე (იხ. 6 მარტის "ლელო"). ნამდვილად არ ვაპირებდი გამოპასუხებას (ის თავისებურად მართალია და მეც ჩემებურად მართალი ვიყავი), მაგრამ ხომ ხედავთ, სად გადაიკვეთა: აკაკიოსი ბიზანტიაში და კახიუსი - რომში (მილანში)...

მე მაინც საკუთარ აზრზე ვრჩები და ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს ყველაფერი, რაც ახლა ხდება, მაშინ არ დაწყებულა! ოთხმოცდაათიან წლებში. ცხადია, აქ სპორტსა და სპორტის ჩინოვნიკებს არ ვგულისხმობ. უფრო ზემოდან მოდიოდა ეს - დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ.

და აკაკიოსი საერთოდ არაფერ შუაშია. აკაკიოსი შედეგია.

**მამუკა ჩიხლაძე**


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ან. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა